


კვირის პალიტრა



N11(40) 15/III. - 21/III.2001

ფასი 60 თ.

1168  
2001

# მილიონები დიდგოსელები

94

63

„დინამოს“  
„სპრავი“ ფული  
სჭირდება

სამი  
განკარტორის  
მინისტრი

მთავარი თემა: ბიზნესი





**ნემო ბურჭულაძე:**

**რუსეთში საკმაოდ დიდი  
ხანი პურის საცხობი  
ვმუშაობდი. პურს  
ვაცხობდი...**

**შემდეგ მბვირთავდას  
მომიწია მუშაობა...**

**გვ.4**

<b>მინიატურები</b>	
„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაპარგავი?!..“	3
<b>პერსონა</b>	
ნემო გურჯულაძე: „რასაც პანტელეიმონი ქუჩაში ყვირის, ელჟარლი კაბინეტში აკეთებს“	4
<b>სტარტი</b>	
ჩვენ „კრავი“ ფული გვჭირდება „დინამოსთვის“...	6
<b>მთავარი თემა</b>	
• რას ჰქვია ბიზნესი	8
• რას მეტი მაკონტროლებელი გვუქმდება, მით მეტი დააკლდება სახელმწიფოს	9
• ბაგარი მოკარულ და ბანუაქაველ პროლექტს მიაქვს	11
• საქართველოში მილიონერები მოგვიმერაველენ	14
• ჩემი საქმე ბავშვებისთვის პაპკერსების გამოცვლით ღვიძიყე	16
<b>ანტილარკანანი</b>	
ინფორმაციულ-შეხვედრებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან	12
<b>ქოწლიქტი</b>	
კონფისკაცია ანუ რატომ ღაელო სახელმწიფოს „სეკავშირის“ ვალი	18
<b>ქარა</b>	
„კლანი-არაყი, კლანი-არაყი – ეგვს სანატრელია...“	20
<b>შეამონათ თქვენი სოფნი</b>	
ტესტი ერუდიციაზე	21
<b>კრიმინალი</b>	
• ექვს პატიმარს ბანდიტობისთვის ასამართლებენ	22
• „ღანა ჯერ გურგუნი ჩამართყა, მერე კისერის გამოგრა...“	24
<b>ნამდვილი ამაყი</b>	
გურული ქალები	26
<b>ტესტი</b>	
ერთგული მკითხველი	27
<b>საფრთხე</b>	
ჩერნობილი ყოველღე შეიქლება განმეორღეს	28
<b>უსიქლოგური თემა</b>	
ბანსაგღვრეთ თქვენი რეალური ასაკი	31

21960

## საქართველოში მილიონერები მოგვიმერაველენ



ჩაგარდა კლასიფიკაცია სხვა-  
დასხვა პარამეტრით და შეიქლება  
დასკვნის გამოგანა. ჩვენი ჩინოვნი-  
კები და ჩვენი პარლამენტის წევრე-  
ბი ქარაუშუგულად ეკილებიან ქო-  
ნების აღრიცხვას. ზოგს სახლის ჩა-  
წერა „ავიწყდება“, ზოგს – მან-  
ქანისა და ზოგს, ბიზნესის წილის.

14

## პირველი რესპუბლიკის მნარე გამოცდილება

ოსთა მეორე აჯანყებაც ჩრდი-  
ლოელი მეზობლის – საბჭოთა რუ-  
სეთის მთავრობის წაქეზებითა და  
დახმარებით განხორციელდა. ოლ-  
ონდ იმ განსხვავებით, რომ შიდა  
ქართლში ხელის მოცარვის შემ-  
დეგ, მათ აღნიშნული ავანტიურა  
შემო იმერეთში – საჩხერის რაიონ-  
ში გადაიგანეს.



35

## ექვს პატიმარს ბანდიტობისთვის ასამართლებენ




დაშინანმა ძირს დავარდნილ  
ბავშვს დახედა და დაინახა, ბიჭს  
თავიდან სისხლი მოსდიოდა, აღარ  
სუნთქავდა. დაშინანს შეეშინდა, იფ-  
იქრა, რომ ბავშვის სიკვდილს მას  
დააბრალებდნენ და დანაშაულის  
დაფარვის მიზნით, თავისი სახლის  
სარდაფში დამარხა.

22

## სამი გენერატორის მინისტრი

ეგზოგიკურ კუნძულებზე ხშირ-  
ად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყ-  
ნის მოქალაქეები. ადგილობრივი  
გრადიციის თანახმად, მასპინძელი  
პატივისცემის სხვა სახეობებთან  
ერთად, სტუმარს თავის ცოლთან  
დაწოლასაც სთავაზობს.



საქართველოში  
ერთგული  
მკითხველი

51

**საყარო**

კერის სიფონია 32

**წმინდანები**

წმინდანი მონაგენი  
ცხრანი კვანი კოლაელი 34

**ისტორიის გაკვეთილები**

ოსთა აჯანყებები  
1918-21 წლები  
დამოუკიდებელ საქართველოში 35

**კარიკა**

უმაღლესი ბანათლები  
სუპერმარკეტები 38

**გამოსდილება**

რეკლამა მოყარბებული  
არასოდეს ყოფილა 40

**კატასტროფები**

დაურფილი ბუნდის ამბავი 43

**ესკიზები**

მდინარეს მესამე ნაპირის აქვს... 46

**რომანი**

(ბაბრქელეა)  
ბესიკ კეკელიძე.  
ახალი წლის საჩუქარი 48

**ფაქტობა**

სამი გენერატორის მინისტრი 51

**პეტ**

52

**პარსკვლავი**

პოლივუდის ახალი  
„საშინელებათა დედოფალი“ 54

**გომონდი**

დაჯილდოება – პოლივუდის  
საუკეთესო „წვეულება“ 56

**გიჟანის ლეგენდა**

კავშირგაბმულობის იმპერია 58

**საანოკი**

61

**პოროსკოვი**

კვირის (19.03-25.03)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტესტი**


რას ნიშნავს თქვენთვის  
კომპლიმენტი? 63

**კალენდოსკოვი**

ჩრდილ-ჩრდილი ამბავი 64

**გარეკანზე: გიორგი შოროლიანის კოლაჟი**  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამომცემი კვირაში ერთხელ, სუთვაბატორიით  
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორი“

# გაზარი მოკარულ და განუგაშებელ პროდუქციას მიაქვს



ქარხნის დირექტორმა, ჰკითხ  
შევარდნაძეს – რა ვქნათ, როგორ  
მოვიქცეთ? ხალხი წერს – ხმაურ  
რი გვაწუხებსო. ბაგონმა ეღუარ  
დმა უპასუხა – ორჯერ მეტად აუ  
წიე ხმას და ეგ ხალხი მოვა და  
შევეხვეწება, პირვანდელ ღონებზე  
დააყენე ისევო...

11


# „პლანი – არაჟი, პლანი – არაჟი მეგზ სანატრელია“

„ბირეაზე“ ლაპარაკობენ ყვე  
ლაზე და ყველაფერზე – საეჭვო  
ყოფაქცევის მეზობელი გოგონე  
ბით დაწყებული – ნულოვანი ვა  
რიანგის რაგიფიკაციის შედეგე  
ბით დამთავრებული. ასე რომ,  
„ბირეაზე“ არ მოიწყენ...



20

# ჩერნობილი ყოველდღე შეიქლება განმეორდეს



ჩვენი ყურადღება მხოლოდ  
მისმა უცნაურმა კოლექციამ  
იპყრო, თუმცა 15-20 წლის წინ  
მისით და მრავალი მისი თანა  
შრომლით დასავლეთის საღ  
ვერვო სამსახურები აქტიურ  
იყვნენ დაინტერესებულნი...

28

# ახალი წლის სასუქარი

– თუ თავი არ აქვს, ცოლი  
რალას მოჰყავს?! – გაბრაზდა  
თამრიკო.  
– არა, სხვა მხრივ ყველა  
ნაირად წესიერი კაცია, – დაი  
ცა ინგამ საქმრო.



48

# „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაყარგავი?!...“



ჭეშმარიტად!  
ისედაც ცოტანი ვართ ქართველები – დასაყარგავი კი არა, „ღერა-ღერა“ უნდა ვეძებოთ, თუკი სადმე – მსოფლიოს რომელიმე კუნტულში მიკარგული თანამემამულე გვეგულება, უნდა ვიპოვოთ, მივფეროთ და ჩამოვიყვანოთ...

ეს ყველაფერი ჩვენზე კარგად ჩვენმა პარლამენტმა უწყის – აბა, რისი პარლამენტია!..

ჰოდა, დაბრუნდა ფრიდონ ინჯია საქართველოში!

ცხადია, საქმე ერთ კაცში არ არის, თუნდაც ყოფილი მინისტრი და ამჟამინდელი პარლამენტის წევრი იყოს – პრეცედენტია მთავარი. თანაც, როგორ მეორდება ისტორია – მართლაც წიგნთა წიგნია ბიბლია: ნუთუ არ გაგახსენდათ ბიბლიური უძღვები შვილის დაბრუნების ამბავი? სწორედ ისე, როგორც უძღვები შვილი მიიღო მამამ, ის კი მუხლზე ემთხვია, „ქართულმა“ ხელისუფლებამაც „თავისი“ წილნაჭამი ფრიდონიც (ამბობენ, ევროპაში ფრიდონის ეპიხდნენო) მოისიყვარულა და „აზრზე მოსულმაც“ მადლობების კორიანტელი დააყენა: სულ ცალ-ცალკე უკოცნა მუხლები პარლამენტს, პრეზიდენტს, მთავრობას და... ხალხსა და მასმედიას (!) ხალხს, რომელიც მსოფლიო დონის ტელეკომუნიკაციებით უზრუნველყო და პრესას, რომელსაც კარგა ხანს არ გამოუღია საწერ-სალაპარაკო!

„მამაო, მომეც მე რომელი მერგების საცხოვრებელი ჩემი!“ – განუცხადა თავხედმა უმცროსმა შვილმა მამას, თავისი წილი მიიღო და „ახვია“... ბევრი იარა თუ ცოტა, არც ქეიფი დაიკლო, არც ქალები და სხვა საცდუნებელნი და ცარიელტარიელი ისევ „შამქმნელს“ მიადგა. მანაც შეიფარა – რა ექნა, შვილი – შვილია. ზემოთ პარალელი გახსენეთ და მთლად ზუსტად რომ არ ემთხვევა ყველაფერი – ამას თქვენც ხედავთ: ამას არავისთვის უთხოვია „თავისი“ წილი – უკითხავად აიღო. და კიდევ: როდესაც ბიბლიური უმადური შინ დაბრუნდა, უფროსმა ძმამ, მამას უთხრა: გააგდე, მაგან შეჭამა მთელი შენი ქონებაო. აქ კი „უფროსი ძმა“ არ ჩანს, პირიქით – ერთმა პატივცემულმა ქალბატონმა, რომელიც დაჩაგრულთა (ოღონდ უსამართლოდ დაჩაგრულთა) გამოსარჩლებაში ხელფასს იღებს, ასეთი რამ განაცხადა: „ამ საცკალ ადამუნს რომ ვინმე აცკენინოს, ტავს



მოვიკლავ!“ აბა, ოღონდ მაგან „ტავი არ მოიკლას“ და ვინ არის ხმის ამომღები?..

მიირთვი? – შეგერგოს! – თანამედროვე ქართული პოლიტიკის მტკიცე კრელოა! რაც შეეხება პრეცედენტს – კიდევ ერთი მინისტრი გეყავს რიგში: ამბობენ კიდევ, მალე გადმოაგეღვებს თეთრ რაშს კაკასიონის ქელსო, მაგრამ აქაც ზომ მომზადებულები უნდა დაეხვდეთ: წითელი დროშები და წითელი მანდატები, საპატიო ყარაული და მოგუგუნე „ინტერნაციონალი“...

ჩამოვა, „დააყენებს პალაფენიას“ და მერე ნახეთ...

ახლა გამსახურდიასდროინდელი მინისტრები?! ნაპარლამენტარები?! ნამოღვაწარები?! ნამწერლარები?! ნაკაცარები და ნაქალარები?! მილიონ-ნახევარი ქართველია საზღვარგარეთო – ამბობენ! აქედან რამდენი „გაქაჩავს“ უძღვებ შვილობაზე?! ბევრი, იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ გგონიათ!

ჰოდა, აღარ არის საჭირო ერის გათითოკაცებაზე ტირილწუწუნი – ჩვენ ბევრნი ვართ! მთავარია, ყველა, ვისაც დიდი კოვზით უჭამია, დავარწმუნოთ: ოღონდ ჩამოვიდნენ და ახლა ჩამჩას მისცემენ ხელში.

თქვლიფეთ და თქვლიფეთ – თუკი ვინმესთვის არის, თქვენისთანებისთვის არის საქართველო სამოთხე!

P.S. სამოთხეზე და ჩამჩაზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა: ნარკომანი მოკვდა და, ცხადია, ჯოჯოხეთში მოხვდა. „ეშმაკთუხუცესმა“ ჩაჰკიდა ხელი და სხვადასხვა „განყოფილებას“

ათვალიერებინებს: ერთში დიდ ქვაბში იხარშებიან ცოდვილები, მეორეში ტაფაზე იწვებიან, მესამეში სახორცე კაუჭებზე ჩამოკიდებულებს ატყავებენ... ბოლოს, ბოლოში და, ნეხვით სავსე აუზთან მიიყვანა – ცოდვილები წელამდე ნეხვში დგანან და... მარისუანას ეწევიან. აქ მინდაო – ნარკომანმა და ჩადგა ნეხვში. მისცეს ხელში „მასტერკა“ და სიამოვნებით გააბოლა...

ხუთი წუთის შემდეგ „მორიგე ეშმაკი“ შემოვიდა, მათრახი გაატკაცუნა და დასტეჟა: – მორჩა შესვენება, ჩაყვინთეთ!

... ასეა, „ჩაყვინთვის“ დროც მოვა!

პროპოკატორი

ერთი ხანობა, „მიყურებუ-  
ლი“, გამსახურდიას ხელისუ-  
ფლების მომხრე ძალები ამ  
ბოლო პერიოდში კვლავ  
გააქტიურდნენ — ნაწილი  
პარლამენტის გზით ფიქრობს  
დასახული მიზნის მიღწევას,  
ნაწილი — მასობრივი გამოს-  
ვლების ორგანიზებით. არც  
ისე დიდი ხნის წინ პოლი-  
ტიკურ ასპარეზზე ემიგრაცია-  
ში მყოფი უზენაესი საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე,  
ნემო ბურჭულაძე გამოჩნდა.

ლადი ბრძელოშვილი



# ნემო ბურჭულაძე:

## „რასაც პანბელაიშონი ქუჩაში ყვირის,

## ელუარდი კახინატივი აკეთებს“

— როგორ მოხვდით ეროვნულ  
მოძრაობაში?

— როგორ გითხრათ, ალბათ ჩემთვის  
პირველი ბიძგი 9 მარტის ცნობილ მოვ-  
ლენებში მონაწილეობა იყო. მართალია,  
მაშინ სულ ათიოდე წლის ვიყავი, მაგრამ  
ამ ფაქტმა ჩემზე მაინც დიდი გავლენა  
იქონია. იმ პერიოდში გადავიღე ზღა-  
პრებიდან კლასიკოსების კითხვაზე, მაშინ  
შემოვიღა ჩემს სამყაროში კონსტანტინე  
გამსახურდია, მაშინ გავიგე ზვიად გამსახ-  
ურდიას შესახებ, რომელიც 9 მარტის  
მოვლენებში აქტიური მონაწილეობის  
შემდეგ, ხალხში დიდი პოპულარობით  
სარგებლობდა.

მოგვიანებით, 60-იან წლებში, როდესაც  
პოლიტიკური ინსტიტუტში  
ვსწავლობდი, სტუდენტებმა იატაკქვეშა ორ-  
განიზაცია, „სეო“ ჩამოაყალიბეთ, რომელიც  
შემდეგანარად იმიფრებოდა: საქართველოს  
ეროვნული გათავისუფლების ორგანიზა-  
ცია. იმ პერიოდში ზვიად გამსახურდია  
და მერაბ კოსტავა საკმაოდ აქტიურად  
მოღვაწეობდნენ ეროვნული მოძრაობის  
გაღვივებისთვის, მაგრამ ტაქტიკური მო-  
საზრებებით, გადაწყვეტიეთ, მათ არ დაეკავ-  
შირებოდით — მათი ჩავარდნის შემთხ-  
ვევაში ეროვნული მოძრაობა რომ გაგრ-  
ძელებულიყო...

მოუხედავად ამისა, ჩვენთან იმდენი  
ხალხი იყო გაერთიანებული, მათ ყურამდე  
ჩვენმა საქმიანობამ მაინც მიაღწია.

შემდგომ პერიოდში, ეროვნული მოძრაო-  
ბის აღმავლობის ხანაში — როგორც ამ  
პერიოდს იხსენიებენ ხოლმე, მე „სახალხო  
ფრონტში“ ვიყავი გაერთიანებული. მოგვი-  
ანებით, გარკვეული შიდაფრაქციული  
უთანხმოების გამო „სახალხო ფრონტი“  
დაეტოვეთ და ზვიად გამსახურდიას ჯგუფს  
— „მრგვალ მაგიდას“ შეუერთდით.

— რაში გამოიხატებოდა თქვენი  
უთანხმოება „სახალხო ფრონტთან“?

— რა გითხრათ... ერთი მარტივი  
მიზეზის გამო — ნოდარ ნათაძე მზად იყო  
ორგანიზაციაში კომუნისტებიც მიეღო. ამის  
წინააღმდეგე არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ  
ერთი პრინციპული პირობა გვქონდა —  
„სახალხო ფრონტის“ წევრობის მსურვე-  
ლ კომუნისტებს თავისი პარტია უნდა  
დაეტოვებინათ. ამაზე ვერ შევთანხმდით  
და ასე აღმოვჩნდით ზვიადის ბლოკში,  
როგორც „ეროვნული სახალხო ფრონტი“  
— რადიკალური კავშირი“.

— მოვლენების შემდგომი გან-  
ვითარება ყველასთვის ცნობილია —  
არჩევნების შედეგად, ხელისუფლე-  
ბაში მოხვდით...

— მაშინდელ ხელისუფლებას ბევრ-  
ნაირი ებითეტი ამკობენ, მაგრამ დღევან-  
დელ ხელისუფლებაშიც კი, მას ყველაზე  
ზშირად ეროვნულ ხელისუფლებად მოიხ-  
სენიებენ. ეს შემთხვევით არ მომხდარა.  
ეს იმის შედეგია, რომ ხალხმა უკვე დაინ-  
ახა, რაში მდგომარეობს განსხვავება არსე-

ბულსა და ყოფილს შორის... ჩვენი სურ-  
ვილი, ეროვნული სახელმწიფოს აშენებ-  
სა, არასოდეს გაგვისაიდუმლოებია. ამიტ-  
ომაც, მას ლოგიკური რეაქცია მოჰყვა  
იმისგან, ვის მონობასაც ვებრძოდით.

— თვლით, რომ არსებული  
რეჟიმის დამყარებასა და ზვიად  
გამსახურდიას ხელისუფლების გან-  
დევნაში გადამწყვეტი როლი რუსეთმა  
ითამაშა...

— გადამწყვეტი კი არა, ერთადერთი  
და ძირითადი როლი.

— როგორ ფიქრობთ, თუ იყო  
დაშვებული შეცდომები თქვენი ხე-  
ლისუფლების მხრიდან და რომ არა  
ეს შეცდომები, თუ შეიძლებოდა  
მომხდარის თავიდან აცილება?

— მთლად შეუმცდარი და ანგელოზი  
ამქვეყნად არ არსებობს, მაგრამ, ყოველ  
შემთხვევაში, ისეთ სერიოზულ შეცდომას  
ნამდვილად ვერ ვიხსენებ, საგალოდ შედეგი  
რომ მოჰყოლოდა. უბრალოდ, ეროვნული  
მთავრობის დამხობით ისეთი ძალა იყო  
დანიტერესებული, რომ წინ ვერაფერი  
აღუდგებოდა. არც იმაში ვხედავ შეცდო-  
მას, რომ მაშინდელი მთავრობის შემაღ-  
გენლობა სუფთა არ იყო. ასეთი რამ  
ყოველთვის, ყველა ხელისუფლებაში ხდებ-  
ბოდა ხოლმე და მოხდება კიდევც. უნდა  
გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ძალიან დიდი  
ძალა დაგვიპირისპირდა. მოუხედავად ამისა,  
მაშინდელი მოვლენები მართლა დეკემბერ-  
იანვარში ხომ არ დასრულებულა —  
ეროვნული მთავრობის მედგარი წინააღმ-  
დეგობა და რეალური დაპირისპირება კიდევ  
ორ წელიწადს გრძელდებოდა და ამ ხნის  
განმავლობაში ჩვენი ხელისუფლების ყვე-  
ლა შტო მოქმედებდა. სხვათა შორის,  
როდესაც საბოლოოდ ისევ რუსეთის დახ-  
მარებით დაგვამარცხეს და 1993 წელს  
რუსის ჯარი ზუგდიდში შევიდა, ელუარდ  
შევარდნაძემ პარლამენტში გამოსვლისას,  
დეპუტატების შეკითხვაზე, უცხო ქვეყნის  
ჯარი რატომ შემოიყვანეთ, შემდეგი გა-  
ნაცხადა: ხომ არ გგონიათ, ზუგდიდში  
მხოლოდ მეგრელები იყვნენ. მთელი  
საქართველო იქ იყო, ჩვენ კი ორასი კა-  
ცი ანაბარა ვიყავით დარჩენილები, ის  
კაცი აქამდეც ჩამოვიდოდა და თქვენ ახლა,  
სად იქნებოდით, კარგად იცითო — შეაში-  
ნა თითოეული მათგანი. ამ სხდომის  
ჩანაწერიც არსებობს და შეგიძლიათ, ნახ-  
ოთ...

ამ სიტყვებით შევარდნაძემ პირველ  
რიგში ის დაადასტურა, რომ უცხოეთის  
ჯარი მთელი საქართველოს წინააღმდეგ  
გამოიყენა.

— დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ამბები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს დაემთხვა. ასეთ ვითარებაში რამდენად გამართლებული იყო თუნდაც კანონიერი ხელისუფლებისთვის ბრძოლა?

— ეს მოვლენები შემთხვევითი სულაც არ ყოფილა — ქრონოლოგიურად მოგახსენებთ: 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველოში დევნილობიდან დაბრუნდა ზვიად გამსახურდია. ჩამოსვლიდან რამდენიმე საათში ზუგდიდში დიდი მიტინგი ჩატარდა — არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ამ აქციას 100 ათასი კაცი ესწრებოდა.

25-ში კიდევ უფრო დიდი მიტინგი ჩატარდა, ხოლო 26-ში ზვიად გამსახურდია სამხედრო ფორმით, ღაცვის თანხლებით ფრონტის ხაზზე, აფხაზეთში გავიდა. სხვათა შორის, აღნიშნულ, პირველივე მიტინგზე განაცხადა — მე თბილისზე სალაშქროდ არ ჩამოვსულვარ, ჩამოვედი იმიტომ, რომ აფხაზეთი იკარგებაო. მისი სურვილი იყო, ყველა ქართული ძალა მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულიყო. როდესაც იგი ფრონტიდან ბრუნდებოდა, გზად ოჩამჩირეში, შევარდნაძის გენერალიტეტის შტაბში შეიარა. გაიმართა შეხვედრა, რომელზეც გამსახურდიამ შემდეგი წინადადება წამოაყენა: გაერთიანებულიყო ყველა შეიარაღებული ძალა ერთი მიზნისთვის — აფხაზეთის დასაბრუნებლად.

შეთანხმებას მიაღწიეს და გაერთიანებული შტაბის უფროსიც კი დანიშნეს. შეთანხმება, ალბათ ყველასთვის გასაკები მიზეზის გამო, დაირღვა, ხოლო შევარდნაძემ აფხაზეთის დაკარგვა იმით გაამართლა, რომ თურმე აფხაზეთში მას „მთელი რუსეთი ებრძოდა“. თუმცა, გაუგებარია, ამის შემდეგ სულ მცირე ხანში რატომ ამოქმედა იგივე რუსეთის ჯარი დასავლეთ საქართველოში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. აღნიშნულ შეხვედრაზე შევარდნაძის გენერალიტეტმა გამსახურდიას პირობა მისცა, რომ გაერთიანება მოხდებოდა და მტერს საერთო ძალებით შეებრძოლებოდნენ. ეს ყველაფერი ვიდეოფორზეც არის დაფიქსირებული. ისე, პრეზიდენტი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული საქართველოში, როდესაც ჩვენთან, ზუგდიდში, აფხაზეთში მებრძოლი შენაერთების რამდენიმე ხელმძღვანელი ჩამოვიდა და გვითხრა — აფხაზეთში ყველაფერი წინასწარ გაყიდულიაო. 27-ში დილით, ეს გაერთიანება რომ არ მომხდარიყო, სოხუმი ჩაბარდა. რატომღაც, შევარდნაძემ ამის თაობაზე სასწრაფოდ

განაცხადა — აფხაზეთი დაეცაო. არადა, სოხუმის დაცემა ხომ ჯერ კიდევ არ ნიშნავდა აფხაზეთის დაცემას...

— ამის შემდეგ განვითარებული მოვლენები და პრეზიდენტი გამსახურდიას ბედიც, საზოგადოებისთვის ცნობილია. საინტერესოა, რა ბედი გენიათ თქვენ...

— როდესაც უცხო ქვეყნის ჯარები ზუგდიდში შემოვიდნენ, რამდენიმე დეპუტატთან ერთად ქალაქიდან გავიქეცი — წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. ვისაც სად შეეძლო, იქ შეაფარა თავი. მე, პირადად, ორი წელი სვანეთში ვცხოვრობდი — ერთ ადგილას გაჩერება, მოგესვენებათ, საშიში იყო და თითქმის მთელი ზემო სვანეთი მოვიარე — ბუჩოდან დაწყებული და უშგულით დამთავრებული. ვცხოვრობდი ჩვეულებრივი გლეხი კაცის ცხოვრებით — ვითავედი, შემას გამზადებდი... 1995 წელს სვანეთი დავტოვე და მოსკოვში მყოფ, ჩვენი უზენაესი საბჭოს წევრებს შევეუერთდი. პრეზიდენტის დაკრძალვის შემდეგ, გროზნოში ჩატარებულ სესიაზე უზენაესი საბჭოს უფლებები პრეზიდენტს გადაეცა.

მოსკოვში პრეზიდენტის საკმაოდ რეგულარულად მუშაობდა — ვიდრე არ დააკავეს გურამ აბსანძე. მეორე დღეს ჩვენც აგვიყვანეს. ბინაში, სადაც ვცხოვრობდით, დიდი აჟიოტაჟით შემოიჭრა სპეცდანიშნულების რაზმი — რატომღაც, იარაღს და ნარკოტიკებს ეძებდნენ. ჩხრეკა-დაპატიმრებას საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ — დარწმუნებული ვარ, მათ მოატყუეს მოსკოველები ნარკოტიკებისა და იარაღის თაობაზე... მიუხედავად იმისა, რომ მეც და აბსანძემ ერთი ბრალდებით ვიყავით დაპატიმრებული, მე რატომღაც მალევე გამომიშვეს, გურამი კი საქართველოში იქნა ეტაპირებული — ალბათ, ჩემს თანამებრძოლებში ნდობა რომ დამეკარგა, იმიტომ.

— წელიწადი თქვენვე აღნიშნავდით, რომ ყველა იმ უბედურების მიზეზი, რაც კი საქართველოში დატრიალდა, რუსეთია. მაშინ, რატომ შეაფარეთ თავი მაინცდამაინც რუსეთს?

— რა ვითხრათ... ჯერ ერთი, მაშინ რუსეთში შესვლა-გამოსვლას ვიზები არ სჭირდებოდა და აქ ჩამოსვლა უფრო იოლი იყო. თანაც, საქართველოსთვის ხმის მოწვევანას იქიდან უფრო ადვილად ვახერხებდით. სხვათა შორის, აღნიშნული დაპატიმრებისა და გამოშვების შემდეგ ჩემთან რუსეთის სათათბიროს რამდენიმე

დეპუტატი და ადამიანის უფლებათა დაცველნი მოვიდნენ — სათათბიროში პრესკონფერენციის გამართვას მთავაზობდნენ. სასტიკად ვიუარე — ყველაფრის თავიდათავი რუსეთია და თუ სიტყვით გამოვალ, რუსეთს ძალიან მწვავედ გააკრიტიკებ-მეთქი. ამის შემდეგ დავტოვე რუსეთი და უკრაინაში გადავედი.

— სვანეთში მყოფს, გასაგებია, რომ მასპინძლები არაფერს გაგიჭირვებდნენ. საინტერესოა, რუსეთში თავს რით ინახავდით?

— ჩვეულებრივი, ფიზიკური შრომით, საკმაოდ დიდი ხანი პურის საცხობში ვმუშაობდი, პურს ვაცხობდი... შემდეგ, მტვრითავადაც მომიწია მუშაობა. რა ვიცი, დევნილობაში ყოფნისას ბევრ რამეზე ვმუშაობდი და ყოველგვარი პირფერობის გარეშე ვიტყვი, რომ ამ ხნის განმავლობაში მეც ისევე მიჭირდა, როგორც ჩემს ხალხს — საქართველოში...

— იმ პერიოდიდან რაიმე კურორტს ხომ არ გაიხსენებდით?

— რა ვიცი... მოსკოვში, მრავალსართულიან, მაღლივ კორპუსში ვცხოვრობდით. ერთხელ საქართველოდან ერთ-ერთი ჩვენი თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო ჩამოსული. აივანზე გამოსულმა, ჰაერი შეისუნთქა და ცხვირი აიბზუა — ფუ, ამ იმპერიულ ჰაერს რა გასუნთქებთო...

— საქართველოში ჩამოსულს, ალბათ ყოველივე იმისგან რაც დატოვეთ, დიდად განსხვავებული სურათი დაგხვდათ — ზვიადის მომხრეთა შორის არსებულ უთანხმოებას ვგულისხმობ...

— არ მგონია, ამ უთანხმოებას რაიმე სერიოზული პრობლემის გაჩენა შეეძლოს იმ გზაზე, რომელსაც ვადგავართ. ძეგრა, რომ საბოლოოდ, საქართველოს საკეთილდღეოდ განწყობილი ყველა ძალა გაერთიანდეს.

— თქვენი ორგანიზაციის, „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ შესახებ განაცხადეთ, რომ მზად ხართ, ყველასთან ითანამშრომლოთ, გარდა კომუნისტებისა, „მხედრონისა“ და ედუ-სო...

— ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია — პანტელეიმონ გიორგაძეც და ელუარდ შევარდნაძეც. რასაც პანტელეიმონი ქუჩაში ყვირის, ელუარდი იმას და უფრო მეტსაც კაბინეტში აკეთებს — პანტელეიმონის რუსეთისთვის 7 მილიარდი არ უჩუქებია, არც „ესენგემი“ შეუყვანია საქართველო...



## ჩვენ «პრავი»

# ფული გვჭირდება

# «დინამოსთვის»...

### გვიან გურული

როდესაც თბილისის „დინამო“ თავის ძველ მფლობელს – „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს დაუბრუნდა, ბევრმა (რალა დასამალია და, ჩვენც – ჟურნალისტების უმეტესობამ) ხელი ჩაიქნია – ძველი დრო ბრუნდება, „დინამო“ ისევ „მილიციის გუნდი“ ხდებაო. მაგრამ თუ კლუბში არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, საოცარი და მით უმეტეს, საგანგაშო არაფერი იყო. მეტიც – საგანგაშო უფრო იმ სიტუაციას ეთქმოდა, რომელიც ძველი მფლობელების ხელში სუფევდა გუნდში: გაუცემელი ხელფასები და პრემიები, ყოფილი თუ მაშინდელი ხელმძღვანელების სასამართლო პროცესები, გაუთავებელი ბრალდებები პრესისა თუ გულშემატკივრებისაგან და, რაც მთავარია, – ფიფა-უეფას მიერ „დაპირებული“ სანქციები გუნდისთვის საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ასეა თუ ისე, სიტუაცია მიწყნარდა, „მრეტების“ ვალი გასტუმრებულია – რამაც საერთაშორისო სანქციებს გადაარჩინა კლუბი, – ჩემპიონატის მეორე წრეც დაიწყო და, როგორც იტყვიან, –



„ჰა ბურთი და ჰა მოედანი!“ „დინამოს“ ახალ ხელმძღვანელობას უამრავი საქმე დახვდა გასაკეთებელი და დაგვეთანხმებით, გულშემატკივრისათვის სულ ერთია, ვინ იქნება ხელმძღვანელობაში – მთავარია, გუნდმა ნორმალური ფეხბურთი ითამაშოს და სტადიონს მაყურებელი დაუბრუნდეს...

ნიკა ივანიშვილი „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სწორედ მას ევალება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ კურირება. ფეხბურთი, განსაკუთრებით თბილისის „დინამო“, ყველა ქართველისათვის გამორჩეული მოვლენაა და ამდენად, ბატონი ნიკას პერსონისადმი გამძაფრებუ-

ლი ინტერესიც ბუნებრივია. იმის მიუხედავად, რომ ექვსი წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე უმუშავია შინაგან საქმეთა სამინისტროში, დღეს იგი უფრო პოპულარული კაცია, ბუნებრივად არის – ახლა ისეთ სფეროში მოუწევს მოღვაწეობა, სადაც მთავარი „მეკონტროლებელი“ ხალხის, გულშემატკივრების აზრია და ამიტომ ჩვენი დღევანდელი არჩევანიც – ვინ უნდა ყოფილიყო ის რესპონდენტი, რომელიც „ქართული ფეხბურთის ფლაგმანის“ შესახებ გვესაუბროდა, სრულიად გამართლებულია.

— **ბატონო ნიკა, როგორ მოხვდით „ამ გაუგებრობაში“?**

— რომელს გულისხმობთ – პოლიციას თუ „დინამოს“?

— **ჯერ ერთს და მერე მეორეს.**

– თბილისში, ვაკეში დავიბადე და გავიზარდე. 55-ე სკოლა დავამთავრე. ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭის ცხოვრებით ვცხოვრობდი – ვსწავლობდი, სპორტზე დავდიოდი – წყალბურთი მაშინ ძალიან „მოდაში“ იყო... შემდეგ უნივერსიტეტი დავამთავრე – ეკონომიური ფაკულტეტი. მოგვიანებით კი, როდესაც უკვე პოლიციაში დავიწყე სამსახური, იურიდიული ფაკულტეტიც „მივაყოლე“.

— **„დინამო“? დამეთანხმებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ძალიან ბევრი, წარსულში სახელოვანი სპორტსმენი მუშაობს, რომელთაგან უმეტესობა „დინამოს“ სპორტსაზოგადოების წევრი იყო, მეტიც — ბევრი მათგანი ყოფილი ფეხბურთელია და იქნებ უპრიანიც ყოფილიყო, ამ თანამდებობაზე რომელიმე მათგანის დანიშნვა... როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ის, რომ ამ თანამდებობაზე სწორედ თქვენ დაგნიშნეს?**

– ამ კითხვაზე უფრო დამაჯერებელ პასუხს ალბათ ის ადამიანები გაგცემენ, რომლებმაც ამირჩიეს (და არა „დამინიშნეს“). მე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ დამფუძნებელმა კრებამ ამირჩია და ხმა იმ ღვაწლმოსილმა სპორტსმენებმაც მომცეს, რომლებზეც თქვენ საუბრობთ.

ყოველ შემთხვევაში, „ხელმძღვანელ თანამდებობებზე“ მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს და აქაც ხომ ეს არის მთავარი სპორტის სიყვარულთან ერთად, ეს სიყვარული კი ნამდვილად არ მაკლია.

— „დინამო“ რომ „მილიციის გუნდი“ გახდა, ბევრმა წარსულისაკენ დაბრუნებად აღიქვა. დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში, მათ შორის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მკვიდრდება სპორტული კლუბების განკერძოების პრაქტიკა, დამეთანხმებით, რომ ასეთი ნაბიჯი, ცოტა არ იყოს, ანაქრონიზმად ჩანს...

— ვერაფრით დავეთანხმებით და ამის ნათელი დადასტურება კიევის „დინამო“ გახლავთ, რომელიც ჩვენი გუნდივით, მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაშია. რაც შეეხება „მილიციის გუნდად“ ყოფნას, მთლად ასეც არ არის საქმე — სპორტსაზოგადოება „დინამო“ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც ჯერჯერობით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები არიან, მაგრამ ვამზადებთ ახალ წესდებს და მალე ყველას შეეძლება საზოგადოების წევრობა.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა — კლუბში ძალიან ცუდად იყო საქმე და ახლა ბევრი რამ გამოსწორდა, დანარჩენიც მოგვარდება და ყველაფერი — სწორედ სახელმწიფოს ხელშეწყობით.

**— მაინც, რა მოგვარდა და რა სახსრებით?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ე.წ. „არასაბიუჯეტო შემოსავლები“: მართვის მოწმობების გადასახადებიდან, ჯარიმებიდან და ა.შ. ამ შემოსავლების 40% დადგენილი წესის მიხედვით, სამინისტროშივე რჩებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და სხვა საჭიროებებისათვის, ხოლო 60% ბიუჯეტში ირიცხებოდა დამატებითი შემოსავლების სახით. სწორედ ეს 60%, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ორი წლით გადმოგვეცემა და იმედი გვაქვს, „სულს მოგვათქმევინებს“. „მრუტების“ 300 ათასი დოლარიც ამ თანხიდან გადავიხადეთ და ფეხბურთელების პრემია-ხელფასებიც.

თუმცა, ცხადია, მხოლოდ ამის იმედად ვერ ვიქნებით — მით უმეტეს, რომ ეს თანხა ორი წლის შემდეგ დასაბრუნებელი გვექნება. სხვა სახსრები უნდა გამოვინახოთ...

**— სხვა სახსრებში ტრანსფერებიდან შემოსულ თანხას გულისხმობთ?**

— არა მარტო. ეგ კი არა — ყველაზე

ნაკლებად, სწორედ ტრანსფერების იმედი გვაქვს და არა იმიტომ, რომ უცხოეთში ღირსეულად „გაყიდვის“ ღირსი მოთამაშეები არა გვყავს. პირიქით — „დინამო“ იმისთვის გვინდა, რომ წარმატებებს მიაღწიოს და ეს მანვე პრაქტიკა — ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების „მუქთად“ გაყიდვა აუცილებლად უნდა მოვსალო.

სხვა სახსრებში იმ უძრავ-მოძრავ ქონებას ვგულისხმობ, რომელიც საზოგადოების მფლობელობაშია და დღეს გამოუყენებელია. თუნდაც სპორტული ინვენტარის ფაბრიკა, რომელიც ერთ დროს „ადიდასის“ ლიცენზირებულ პროდუქციასაც კი აწარმოებდა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ — უცხოური მდიდარი კლუბების შემოსავლის დიდი წილი გუნდის ატრიბუტიკით — მაისურების, სამკერდე ნიშნებითა და სხვა „წვრილმანებით“ ვაჭრობაზე მოდის, თუ ეს ყველაფერი ჩვენივე საწარმოში დამზადდება, ბუნებრივია, შემოსავალიც მეტი იქნება.

კიდევ ერთი, უმთავრესი წყარო, ეროვნული სტადიონი უნდა გახდეს. ის, რაც იქ დღეს ხდება, ყოველგვარ ნორმებს სცილდება. იმას არ ვამბობ, რომ სტადიონზე საფარო ობიექტები არ უნდა იყოს, მაგრამ არც ავეჯის სალონად უნდა იქცეს. არანორმალურია, როდესაც სტადიონის გარეთ, მთელ პერიმეტრზე სპორტული ინვენტარის მაღაზიებია ჩამწკრივებული და გაცხოველებული ვაჭრობაც აქვთ გაჩაღებული, სტადიონის შიგნით კი, სავარძლები და მაგიდები იყიდება. თანაც, რაც მთავარია, სტადიონი რატომღაც მაინც წამგებიანი ობიექტია. ამ საქმეში აუცილებლად ჩავერევით, რადგან ჩვენ აქციათა 35 პროცენტი გვეკუთვნის და სიტყვა გვეთქმის — ჩვენ „პრაივი“ ფული გვჭირდება.

ეროვნული სტადიონი არა მარტო შემოსავლის წყარო, არამედ „დინამოს“ მთავარი სპორტული არენა და სავარჯიშო-საწვრთნელი ადგილი უნდა იყოს სპორტის სხვა სახეობებშიც.

**— სწორედ სხვა სახეობებზე მინდოდა მეკითხა — „დინამო“ ხომ მარტო ფეხბურთი არ არის?**

— რა თქმა უნდა, და აუცილებლად მივხედავთ. პრეზიდენტის ზემოთ ნახსენები ბრძანებულება მხოლოდ საფეხ-

ბურთო კლუბს ეხება და ამიტომ იმ ფულს სხვებისთვის ვერ დავხარჯავთ. არადა, ყველას უჭირს — კალათბურთის „დინამოს“ 1.200 ლარი აქვს გადასახდელი, თორემ ჩემპიონატიდან მოხსნიან; წყალბურთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს; საჭიდაო დარბაზები დანგრეულია... ყველაფერს მიხედვით უნდა — ბოლოს და ბოლოს, ოჯახის წევრები არ მაპატიებენ ჭიდაობის უყურადღებოდ მიტოვებას (მსოფლიოს ორგანიზაციის ჩემპიონი გურამ სალარაძე ბატონი ნიკას სიმამრია. — ავტ.), წყალბურთი, როგორც გითხარით, „ჩემი ბავშვობის სიყვარულია“. დღეს კი, როდესაც ჭიდაობის ფედერაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გოჩა მასოხოვმა ორი, 20 ათას დოლარად ღირებული საჭიდაო ლეიბი გვაჩუქა — არც კი ვიცით, სად წავიღოთ. სტადიონზე შესანიშნავი საცურაო აუზი იყო — დღეს ისიც დამშრალა. არადა, ამ აუზს ჭკვიანი პატრონის ხელში საკუთარი თავის შენახვაც შეუძლია და წყალბურთელთა გუნდისაც.

**— დღევანდელ სპორტში მძლავრად მოქმედებს სპონსორობის ინსტიტუტი...**

— მართალი ხართ. დღეის მადლით, ეროვნულ გუნდს ასეთი სპონსორი გამოუნახა ფეხბურთის ფედერაციამ. „დინამოს“ კი სპონსორი არ ჰყავს — ეს „ქვის ხანა“ თანამედროვე ფეხბურთისთვის. ახლა ამ მიმართულებითაც ვუმზაობთ და კონკრეტული პერსპექტივაც გამოიკვეთა. ცხადია, სპონსორი „თოვლის პაპა“ არ იქნება და ტყუილად არაფერს მოგვეცემს — ურთიერთობა ორმხრივად სასარგებლო უნდა იყოს და ასეც იქნება.

**— ერთი სიტყვით...**

— ერთი სიტყვით, „დინამო“ აღდგება და ამისთვის ყველამ უნდა ვიღვაწოთ. ჩვენი მხრივ კი, ამას გაპირდებით: სტადიონი სტადიონს დაემსგავსება, გუნდი — გუნდს, სხვა სახეობებს ქმედითი დახმარება გაეწევა, 18 და 20 წლის ფეხბურთელებს „მესამე ქვეყნების“ დაბალი ღირსის ლიგებში არ „გადავკარგავთ“ კაპიტების ფასად...

და რაც მთავარია — ყველანაირად ვეცდებით, რომ ქართველ კაცს, ისევე, როგორც წლების წინ — სტადიონზე მიუხაროდეს „დინამოს“ თამაშზე.





# რას ჰქვია

# ბიზნესი

## მარინა ბაბუნაშვილი

რაც საბჭოთა კავშირი დაემხო, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სიტყვად „ბიზნესი“ იქცა. დღეს ყველაფერი – „უწესო ქალის“ „მოღვაწეობითა“ და მხესუშხირის ვაჭრობით დაწყებული, ათობით საწარმოსა თუ ათიათასობით კვ მეტრის მიწის ფართობის ყიდვა-გაყიდვით დამთავრებული, ამ უნივერსალური სიტყვით ინათლება. თუმცა ზოგჯერ, კი ვაზუსტებთ ხოლმე – წვრილი ბიზნესი, დიდი ბიზნესი, „ლევი“ ბიზნესი...

აი, ერთი მაგალითი – სცენა ე.წ. „დეზერტირების“ ბაზრის ტერიტორიის ცხოვრებიდან:

- რას შობი, ცა, აქანე?
- მცირე ბიზნესს ვეწევი!
- აგია, ცა, მცირე ბიზნესი? ჩამჯდარხარ ტალახში, იქნე ხელებს და კაცს თუ ქალს – მოი აგერო – ეძახი!
- აბა, რა ვქნა? სოფელში თოხის ქნევითა და მანდარინის კრეფით აფერი გამევიდა და... – ხმა გაეზარა „ბიზნეს-უუმენს“.
- წაი, დაია, სახლში, თვარა... მე ვიცი, რაფერ ბიზნესს გამოჰკრავ ხელს! – თითს უქნევს თანასოფლელები და გზას განაგრძობს...

დმერთმა ქნას, რომ მართლა ქართველ

როკფელერად იქცეს ნორჩი „ბიზნესმენი“, რომელიც მეტროს ვაგონებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში 20 თეთრიან ვაზეთს ყიდის. მის დღევანდელ საქმიანობას კი, დიდად სარფიანს ვერ უწოდებ:

- რამდენი გრჩება თითო გაყიდულ ვაზეთზე?
- ერთი თეთრი.
- მერე, რამდენს ყიდი დღეში?
- თუ 50 გაიყიდა, ცუდი არ არის. ზოგჯერ ოციც არ გამოძღის...

ორი წლის წინ შემთხვევით გავიცანი ე.წ. „გოგონა გამოძახებით“. მისი ინტერვიუ ვაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა. მაშინდელმა ინკოგნიტო რესპონდენტმა განმიმარტა, რომ „ამ სახის“ „ბიზნესი“ ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანია საქართველოში. თავისი გეგმებიც გამანდო – მცირე კაპიტალს დავაგროვებ და ნამდვილ საქმესაც წამოვიწყებ – საკუთარ სალონს გავეხსნი, სადაც ქალს გალაშხების, მოსვენებისა და გართობის საშუალება ექნებაო... ახლა დავინტერესდი, თუ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და შევიტყვე: „არ დასცალდა“ ბიზნესის გაშლა ლამაზმანს – ვილაც ფილადელფიელ „კოლეგას“ გადაჰყვია, მასზე გათხოვილა და ახლა იმხელა



ვილაში ცხოვრობს – დიდიდან რომ დაიწყებს, სადამომდე ვერ ახერხებს ყველა ოთახის შემოვლას... სადაურსა სად წაიყვანო – ამაზეა ნათქვამი...

საეჭვოა, საკუთარი ბიზნესის შესაქმნელად, ნოყიერ ამერიკულ მიწაზე ნაოცნებარი სალონი გახსნას. აი, აქ რომ დარჩენილიყო, იქნებ მართლაც განეხორციელებინა ჩანაფიქრი: სიდუხჭირეც უბიძგებდა ამისკენ და იქაურობისთვის წარმოუდგენელ იმ დაბრკოლებათა გადალახვის დიდი შესაძლებლობაც, რომელთა დაძლევა, როგორც გამოცდილი ხალხი ამბობს, მხოლოდ ჩვენში უხდებათ მართლა ბიზნესის კეთებისთვის მოწოდებულ ადამიანებს.

სიძნელეებსა და თავიანთ „ბიზნესურ“ ტკბილ-მწარე გამოცდილებაზე ისინი – სხვადასხვა სფეროში მომუშავე საქმოსნები თავად მოგვითხრობენ რუბრიკის მომდევნო პუბლიკაციებში.

### მარინა ბაბუნაშვილი


— საქმე ნულიდან დაგინწყით და სწორედ ესაა საინტერესო — გზა საწყისიდან დღევანდლამდე.

— დავამთავრე ლენინგრადის მაცვირებლის წარმოების ტექნოლოგიური ინსტიტუტი. მაშინ უმაღლესი სასწავლებელი სამუშაო ადგილებზე ანაწილებდა თავის კურსდამთავრებულებს. მე, როგორც ქართველს, რუსთავის „აზოტში“ მომიწია მუშაობის დაწყება. 1984 წელს, ახალი დირექტორის დანიშვნას რატომღაც ხელფასების შემცირება მოჰყვა. რადგანაც უკვე დაოჯახებული ვიყავი, გადავწყვიტე, მომეძებნა ახალი სამსახური და „აზოტიდან“ წამოვედი.

— უკეთესი თუ გქონდათ უკვე შერჩეული?

— გაგიკვირდებათ და, არა! მაგრამ იმის იმედი კი მქონდა, რომ ჩემი ჭკუისა და გაქანების წყალობით, უმუშევარი არ დავრჩებოდი. თანაც, პრინციპის ამბავი იყო და უკან დაბრუნება კატეგორიულად აღარ მინდოდა. ხუთი თვის მერე კრწანისის მელიორების კომპლექსთან არსებული პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში დავიწყე მუშაობა. რამდენიმე თვეში, ნაბიჯ-ნაბიჯ მივალწეე ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობას. პირველი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ გამოეუწვიე საფერფლე — საკმაოდ „ორიგინალური“ წარწერით: „ნუ მოსწევთ!“ ამან კარგი მოგება მოუტანა საწარმოს. შემდეგ, მელიორების კომპლექსში აშენდა საძებვე საწარმო და რადგანაც დაზგა-დანადგარებში კარგად ვერკეოდი, იქ მიმიწვიეს. ჩემს გზაზე დაყენებასა და გათვითცნობიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საძებვე წარმოების დიდ მცოდნესა და კვალიფიციურ ტექნოლოგს — კუკური კეჭაყმაძეს. იგი განსხვავებული ადამიანი იყო. ასეთები დღეს იშვიათად თუ შეგვხვდებიან. ბევრს ცოდნის სიტუნწე სჭირს: თვითონ ბევრი რამ იცის, მაგრამ არ უნდა, რომ სხვას ასწავლოს. ბატონი კუკური კი პირიქით, ყოველ წვრილმანს მიხსნიდა და მასწავლიდა. თანდათან საქმე კარგად აეწყო. ძეხვეულის რეალიზაცია მშვენივრად წავიდა. ცოტა ხანში დამოუკიდებლად დავიწყე ამ საქმის კეთება და როცა გარდაბანში, მინისტრთა საბჭოს დამხმარე მეურნეობაში გადაწყდა, გახსნილიყო ძეხვეულის საწარმო, უყოყმანოდ გადავედი. რომ გითხრათ, ხელთ სოლიდური თანხა მქონდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ვიცოდი, ხორცის კომბინატში დანადგარს პატარა ჭანჭიკი რომ მოშლო-

საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ მრავალი ნვრილ-ნვრილი საწარმო „დაჩეკა“ და „დააფრთიანა“. ბევრი ვერ აღმოჩნდა „სიცოცხლისუნარიანი“ და ისევე მალე დაიკეტა, როგორც გაიხსნა. ზოგმა, რომ იტყვიან, ნულიდან დაიწყო და დღეს სერიოზულ საქმოსნად ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი მათგანია თორნიკე ხვიტია, რომელიც დღეს დიდ საწარმოს უდგას სათავეში.



## რაც მგები მაკონტროლებელი გვეყოლება, მით მგები დააკლდება სხელებს

და, მაშინვე ჩამოწერდნენ, როგორც გამოუსადეგარს. ამიტომაც, უპირველესად ხორცის კომბინატს მივაპირე და თითქმის კაპიკების ფასად შევიძინე ბევრი დანადგარი. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა გორბაჩოვმა ქვეყნის გადარჩენის მთავარ საშუალებად თავისუფალი ეკონომიკა მიიჩნია. სწორედ მაშინ გაჩნდა უამრავი საწარმო. ხარისხითა და სტანდარტებით შეგებელი კონკურენცია გამეწია ამავე პროფილის სხვა საწარმოებისთვის. ასე მოვედი 1991 წლამდე. შემდეგ კი რუსთავის ცენტრში, საკოლმეურნეო ბაზართან გავხსენი ახალი წარმოება. დღესაც მიკვირს, როგორ გავრისკე საქმის დაწყება ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე რთულ სიტუაციაში. მოგენსენებათ, იმ წელს მოხდა პუტჩი, მერე დაიწყო აფხაზეთის ომი. ასამდე პარტია, ასამდე დაპირისპირებული ჯგუფი, „წითელი“ თუ „შავი“, „თეთრი“ თუ „მწვანე“ — ყველა და ყველაფერი ერთმანეთში აირია და ვინ ვის მტრობდა, ვინ ვისი ერთგული იყო, ვერ გაიგებდი. შეიძლება იფიქროთ — ქვეყანა თუ ინგრეოდა, შენ რა „გეძებებოდაო“, მაგრამ ამ შემთხვევაში რეზო თაბუკაშვილს დავესესხები და გიპასუხებთ: საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარული და ერთგულება უპირველესად, შენი საქმის კეთებითა და პროფესიონალიზმით გამოიხატება. ჩემი საქმე კი სწორედ წარმოება იყო.

— მართლაც რთულ პერიოდში მოგინიათ მუშაობა. საზოგადოების „ჭრელი“ ფენიდან

ხშირად გყავდათ დაუპატიჟებელი სტუმრები?

— უკ, მაგას ნუ მკითხავთ! (იცინის) ერთხელ, აფხაზეთის ომი ჯერ არ იყო დამთავრებული, საწარმოში მესტუმრა ერთ-ერთი გვარდიელი, მე და ჩემი ორი მეგობარი კედელთან ავეტუნა და თავი ასე გაგვაცნო: „პულიმოტას“ მეძახიან და ფული მესაჭიროებო. არეული დრო იყო. არც გაწვე-გამოწვეით, არც მორალის კითხვით საქმე არ გამოდიოდა, ამიტომაც ტკბილი სიტყვა და პატარა დანაშაულები უფრო სჭრიდა. მოუბრუნდი და ვუთხარი: ქართველი არა ხარ? სამივენი ოჯახის პატრონები ვართ და სად უნდა თქვა, რომ „კალბასის“ გულისთვის დავგზოცე? ნორმალურად მოხვე და შეძლებისამებრ დავემარაგე-მეთქი. მართლაც, 2.000 კუპონი (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ლარები) და ძეხვეული მივეცი. შემდეგ, ნაცნობის ხელით, აფხაზეთში მებრძოლებს ხშირად ვაწვდიდი ხოლმე ჩვენს ძეხვეულს.

მინდა გითხრათ, რომ „მომხდურებს“ არასდროს დავმალავივარ. შემოვარდებოდნენ ხოლმე, ატეხდნენ სროლას და ფულს ითხოვდნენ. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ისე იყო მიჩვეული მათ „მშვიდობიან“ გასტუმრებას და „კი, ბატონო“-ს ძახილს, რომ ერთხელაც, მორიგი ვიზიტის დროს, როცა „წამალგაკეთებულმა სტუმარმა“ თავისი გარდაცვლილი მეგობრის ორმოცისთვის მჭადების დაცხობა გვიბრძანა, კვლავ ერთუზიანებით მიუგო: „კი, ბატონო, აკერ არ ვარ? მაგის მეთი რა ვიცი?!“ არადა, აზრზე არ იყო, როგორ უნდა გამო-

ეცხო. მოუტანეს სიმინდის ფქვილი და დაჰპირდნენ, მოგვიანებით ორ დამხმარე ქალს მოგაშველებთო. შეუდგა ჩემი მეგობარი ცხოვრებას, ფქვილი არც გაუცრია, ზეთი არ გექონდა და ღორის ქონში ნაზუქებისმაგვარი მჭადები დააცხო. სულ ცივ ოფლს იწმენდა. სამოცდაათამდე რომ ავიდა, მერეღა მოუვიდნენ დამხმარეები. კიდევ კარგი, ის ქალები დატრიალდნენ, თორემ ცუდად გვექნებოდა საქმე. წაღების დროს გულითადად დაგვაპატიჟეს. მან კვლავაც ვერ უთხრა უარი, ოღონდ ეგაა, რომ ჭირის სუფრაზე პურის მაგივრად, ხორხოშელა მჭადები სულ მის მცხოვრებელს აჭამეს...

**— იმ ოფიციალურ მაკონტროლებელ ორგანიზაციებზე რაღას მტყვით, რომელთა სტუმრობაც ყველა მენარმეს მოპეზრებული აქვს?**

— სასიკეთოს ვერაფერს გეტყვით. თოფადის თქმისა არ იყოს, მრეწველობამ უნდა გადაარჩინოს საქართველო, არადა, იმდენი არაოფიციალური თუ ოფიციალური „შემწეობები“ გვყავს, რომ ბევრი შეგნებულად ერიდება საკუთარი წარმოების ქონას. ისე არ გამოვით, თითქოს ურჩი გადაამხდელი ვიყო. მე ჩემს კუთვნილ თანხას, წესისამებრ, თვეში ერთხელ ვიხდი, მაგრამ ოცმა ორგანიზაციამ რაღომ უნდა მომთხოვოს ერთი და იგივე?! იმის ნაცვლად, რომ ჩვენს ეროვნულ პროდუქციას გასაქანი მივცეთ, პირიქით, ყველანაირად ვაძუწუჭებთ სამამულო წარმოებას, არადა სამომხმარებლო ბაზარი მიაქვს ერგნეთის ბაზრიდან და უცხოეთიდან შემოტანილი, კარგად რეკლამირებულ უვარგის ნაწარმს. როგორღა უნდა მოვახერხოთ ხარისხიანი სამამულო პროდუქციის გამოშვება?! ამას წინათ, კიდევ ერთი უცნაური სახელწოდების სამმართველოს (რომელიც თურმე, ორი წელია გაუქმებულია) წარმომადგენელი მესტუმრა.

**— რა სამმართველოა?**

— მოსმენითაც კი დაიღლებით: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველო“. როგორ მოგწონთ? კორუფციას ყველგან აქვს ფესვები გადგმული. ციხეში და კოლონიების ტერიტორიაზე განლაგებულ მაღაზიებში, ლარად და ლარ-ნახევრად ღირებული პროდუქტი რაღომ უნდა იყიდებოდეს 5 და 6 ლარად?! სირცხვილია და საკუთარი ჯიბის გასასაქვლებლად ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია — გაჭირვებულ ადამიანს ხუთმაგად რომ მიჰყიდი რამეს.

**— ახლა თქვენი პროდუქცი-**

**ის შესახებ გვიამბეთ — რა და რა სახეობის ძეხვეულს უშვებთ?**

— თავდაპირველად, კომუნისტების დროინდელი სტანდარტებით, „მოსკოვურ“ სერვილადს ვაწარმოებდით. მერე კი, როცა წარმოებაში იტალიური ვაკუუმ-შესაფუთი დანადგარი შევიტანე, ევროსტანდარტების ძეხვეულის გამოშვება დავიწყე: „მონადირული“, რუსთავერი „საოუბლივი“ (მონარშული და შებოლილი) და „ვიჩინები“.

**— როგორც ვიცო, დიდი მეურნეობაც გაქვთ.**

— რუსთავის ცენტრში მხოლოდ ორი წელი ვიყავი, მერე გადავიხაცვლე გარეუბანში: მტკვრის მარჯვენა მხარეს 2 ჰექტარი მიწის ფართობი მაქვს. თავდაპირველად რამდენიმე ძროხა და ღორი შევიძინე, მერე კი, თანდათან მივაპატე და დღეს მეურნეობაში უკვე 26 ძროხა, 40 ღორი და ასობით ქათამი გვყავს. ამას გარდა, გვაქვს საკუთარი ლაბორატორია და ვეტსამსახური.

**— განა ქათმის ხორცსაც იყენებთ ძეხვის წარმოებაში?**

— არა, ქათამი და კვერცხი ჩვენი თანამშრომლებისთვის გვაქვს, რომელსაც ხელფასთან ერთად, გაცილებით იაფად ვაძლევ ხოლმე მუშახელს. წარმოიდგინეთ, რამხელა შეღავათია, რომ ხორცის, რძის, ყველისა და კვერცხის შესაძენად ბაზარში აღარ გვიხდება სიარული.

**— იყენებთ თუ არა ქიმიურ ფხენილს, ე.წ. კონცენტრატებს?**

— სიმართლე რომ ვითხრათ, ჩემს წარმოებაში არის ქიმიური ფხენილის მარაგი, მაგრამ მას მხოლოდ ზაფხულის ცხელ დღეებში ვიყენებ, რადგან ბევრ მაღაზიაში მაცივრებით მომსახურება მოუწესრიგებულია. შემოდგომით, ზამთარსა და გაზაფხულზე კი არასოდეს გამირევია კონცენტრატი: ჩემი ძეხვეულობა უახლესი დანადგარებით ისეთ პროცედურას გადის, რომ ყოველად შეუძლებელია მისი გაფუჭება, ყოველ შემთხვევაში, სამი თვის მანძილზე მაინც.

**— სამი თვის მერე?**

— (ელიმება) ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ გვქონია: ჩემი ძეხვი ერთ თვეზე მეტხანს გაუყიდავი არ რჩება.

**— სად ასაღებთ თქვენს პროდუქციას და რა სახელწოდებით უნდა მოგძებნოთ იგი მაღაზიებში?**

— წარმოებას ორი რეალიზატორი ჰყავს და პროდუქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. რაც შეეხება სახელწოდებას, უბრალოდ, „რუსთაველი“ ჰქვია.

**— უშუქობის პრობლემა მოხსნილი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა! აბა, „ენერგო მამების“ იმედოდ ხომ არ ვიქნებოდი? საწარმოს აქვს საკუთარი მიკროელექტროსადგურიც და გენერატორიც.

**— კარგა ხანს გვიკვირდა, როცა ვიგებდით, რომ უცხოეთში იოლადა არაფერი იყრებოდა, ნაგავსაც კი იყენებდნენ ადამიანის სასიკეთოდ. ამ მხრივ, თქვენთან როგორ არის საქმე?**

— საქონლისა და ღორის ძვლებს არც ჩვენ ვყრით: ვხარშავთ, ვუმატებთ ქაქოს და ამით ვკვებავთ ღორებს. ახლანა ჩემმა პეტერბურგელმა მეგობარმა, ბადრი კაკაბაძემ წისქვილი მაჩუქა, რომელსაც ოთხი ხარისხის ფქვილის დაფქვა შეუძლია. რა თქმა უნდა, დაბალი ხარისხის ფქვილს კვლავაც საქონლის საკვებად გამოვიყენებ.

**— როგორც პროფესიონალი, რუსული და უცხოური ხორცის პროდუქტის ყიდვისას, რა რჩევას მოგცემთ?**

— თუკი ვაკუუმ-სოსისში (ცელოფანში სათითაოდ დაბეჭდილი რომ არის. — ავტ.) სითხეს შეამჩნევთ, არამც და არამც არ შეიძინოთ. საერთოდ, სოსისს სინესტე აქვს, ამიტომაც მას შენახვის ვადა გაცილებით მცირე აქვს, ვიდრე ძეხვს. სითხის შემჩნევისას ჩათვალეთ, რომ სოსისს საკვებად უვარგისია.

**— გეგმვსაც ხომ არ გაგვიმხელთ?**

— უპირველესად, წისქვილის ამუშაება მინდა, მერე კი, შეიძლება „კეტრუპის“ გამოშვებაც ვცადო.



კორუფციის ქაობში ჩაფლულ საქართველოს ზურგი აქციეს უცხოელმა ინვესტორებმა. ამ სამწუნხარო ფაქტის გამო, ალბათ განუხორციელებელი დარჩება ბევრი ეკონომიკურად მომგებიანი პროექტი. შესაძლოა, ისრაელურ-ამერიკული ფირმის „ნოუ მენეჯმენტ ჯორჯიას“ მიერ ბაზალეთის ტბის პირას მშენებარე გამაჯანსაღებელ-დასასვენებელი კომპლექსიც „არ აშენდას“ სახელით მოინათლოს, ინვესტორმა კი, საქმეში ჩადებული უზარმაზარი თანხის მიუხედავად, გუდა-ნაბადი აიკრას და აქედან წავიდეს.



ბაზალეთის ტბის პირას მშენებარე ობიექტების მაკეტები

# ბაზარი მოკარულ და განუბაჟებელ პროდუქციას მიაქვს

ეკა ლომიძე

თუმცა, ეს — ვარაუდია, არსებულ სიტუაციაში უკეთ გასარკვევად კი მშენებარე კომპლექსის ხელმძღვანელსა და უცხოელი ინვესტორის წარმომადგენელს საქართველოში, ილია მოსიაშვილს შეეხვდი. სწორედ მისი რჩევით ჩადეს უცხოელებმა ფული ქართულ საქმეში. ბაზალეთის კომპლექსის გარდა, თბილისში „ფოლკსვაგენის“ სავაჭრო ცენტრი და კიდევ ბევრი სხვა საქმეც უკავშირდება ბატონი ილიას სახელს, რომელიც ბიზნესში ხელის შემშლელი უამრავი ფაქტორის გამო უკმაყოფილოა და ღუმილს, სატიკივარზე ლაპარაკს ამჯობინებს.

**ბატონო ილია, როგორც ვიცით, ბაზალეთის ტბის პირას დაწყებული მშენებლობა, ნაწილობრივ მაინც, 2001 წლის 26 მაისს უნდა დამთავრებულიყო, მშენებლობის თითქმის შეჩერებული ტემპი კი ამის იმედს არ იძლევა. რა ხდება?**

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ კომპლექსს პირადად ჩემთვის ვაშენებ და მართო ჩემთვისაა მნიშვნელოვანი. სამი წელია ტურიზმის დეპარტამენტსა და სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებს ვეხვეწები, რომ დროულად გავხსნათ კომპლექსი: რეგიონიც მოგებას ნახავს, ბიუჯეტიც და ინვესტორიც კმაყოფილი დარჩება და შემდეგ სხვა საქმეშიც ჩადებს ფულს-მეთქი, მაგრამ საქმის წინსვლა არავის აინტერესებს, ბულაჩაურიდან ბაზალეთის ტბამდე ნორმალური გზის გასაკეთებლად საგზაო დეპარტამენტი 6 მლნ ლარს ითხოვს. რად უნდა იმ ერთ ციციქა მონაკვეთს

ამხელა თანხა?! რა ვქნა, ვიჩხუბო? რა გამოვა მერე აქედან?

**— ეს ყველაფერი ისე გაგიგოთ, რომ აქედან წასვლის მეტი, სხვა გზა აღარ დაგჩენიათ?**

— საქართველოში დიდი ხანია ინვესტორი აღარ შემოდის, არც შემოვა, ჩემსავით კი არ გაისულელებს თავს ყველა. ამ ქვეყანაში ინვესტორის დასაინტერესებელი არანაირი პირობა აღარ არსებობს. სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას შეიძლება ისეთ რამეს წააწყდე, რომ ჭკუაზე შეიშალო. შეიძლება ფული გადაიხადო, შესაბამისი საბუთიც მიიღო და შემდეგ შენთან მაკონტროლებელი ორგანოს „სტუმრობისას“ აღმოაჩინო, რომ ეს საბუთი არსად დაფიქსირებული არ არის და ფარატინა ქალაქია. ეს კი მისმა მომცემმა იმიტომ გააკეთა, რომ ორგანიზაციისთვის გადახდილი ფული რამდენიმე კაცმა მოიპაროს და გააქროს.

**— ე.ი. სახელმწიფო ორგანიზაციები თაღლითებითა და ყაჩაღებით არის სავსე?**

— რას ვამბობ მე ისეთს, რაც ყველამ არ იცის?! ამიტომაც, არ მინდა ვინმეზე ან რამეზე კონკრეტულად ვილაპარაკო. ჩემი ნათქვამი ბუმერანგით დაბრუნდება უკან და ამითაც ვერაფერს მოვიგებ. ისრაელის სახელმწიფო რომ ყალიბდებოდა, პირველი პრემიერ-მინისტრი ბენ გურიონი იყო და სოცუზრუნველყოფის მინისტრი — გოლდა მიერი. ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე მან ბენ გურიონს უთხრა — სამწუხაროდ, ქვეყანაში თაღლითები, ჯიბიგრიბი და აფერისტები გაჩნდნენო. ბენს ტაში დაუკრავს და უთქვამს — მიხარია, ისრაე-

ლის ქვეყნად ჩამოყალიბება დასრულებულა, დამნაშავეების არსებობამ ეს უკეთ დაადასტურაო. ეს ამბავი იმისთვის არ მითქვამს, რომ საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობა გაგამართლო. კარგა ხანია, აქ ქვეყნის დამანგრეველი მოვლენები ვითარდება და ვილაცამ უნდა იბრძოლოს ამის წინააღმდეგ.

**— გარედან შემოსულის თვალი კი ამას, ალბათ უკეთ ამჩნევს. თანაც თქვენ, როგორც ინვესტორი და ბიზნესმენი, უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში ხართ. გარდა იმისა, რომ მშენებლობის პროცესი გაინეულა, სხვა მხრივ, ხომ არ დაზარალებულხართ? გავიგე, თქვენი „ფოლკსვაგენის“ მალაზიაც დაკეტილა.**

— სულ დაზარალებული არა ვარ?! „ფოლკსვაგენის“ მალაზიები მეც დავხურე ორთაჭალაში და სხვებმაც; აქ მუშაობა შეუძლებელია. ყველა წავა აქედან. ქვეყნის ეკონომიკა დანგრეულია, ბაზარი მოპარულ და განუბაჟებელ პროდუქციას მიაქვს და კანონიერი ბიზნესი ასეთ პირობებში ვერ იარსებებს. სახელმწიფოს ჩემი მილიონ-ნახევარი ლარი ვალი აქვს და არ მადლებს — ფული არა მაქვსო. რისთვის ვიხდით მაშინ დღეს-? ნუთუ იმისათვის არა, რომ თავის დროზე ეს გადასახადები გამოგვადგეს და ჩვენი ფული სახელმწიფომ დაგვიბრუნოს?! მილიონ-ნახევარს ერთად ვერ მოგცემთო, — მითხრეს. კარგით, 100.000 ლარი მომეცით ყოველ თვეში-მეთქი. არა, რას ამბობ, სადა გვაქვს მაგდენიო?! — იუარეს. აბა რა ვქნა, მირჩი-

ინფორმაციული-შეხვედრითი კონკრეტი

ეორი დვალის უბის ნივნაკოდან:

- 1. თეხევის კლიდან ლიკომედემ გადაჩეხა.
- 2. პაულ პეტერსი ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგია.
- 3. ყველა მტაცებელი ფრინველი მსხვერპლს პირველ დარტყმას კლანჭებით აყენებს.

4. თუკი დამხრჩვალმა ან გაგუდულმა ადამიანმა ხმა ამოიღო, იგი აღარ მოკვდება: ამას ნებისმიერი ექიმი დაგიდასტურებთ. P.S. უილიამ შექსპირის „ოტელოში“ გაგუდული დენდონა, სანამ საბოლოოდ განუტყვებს სულს, რამდენიმე რეპლიკას ამბობს.

5. სტალინის ქალიშვილს, სვეტლანა აღილუევას (იგი დღესაც დედის გვარზეა), შეერთებულ შტატებში დავრდომილთა რომელიმე პანსიონში ინახავენ სამადლოდ. P.S. ასე მოუვა მამის ყველა მაგინებელს.

6. ამერიკის პრეზიდენტი ნიქსონი ე.წ. „უოტერგეიტის სკანდალის“ შემდეგ გადადგა.

7. მაიას კალენდარი, თავისთავად, როგორც ბარელიეფი, ძალზე საინტერესოა და უმთავრეს სუვენირად ითვლება მექსიკაში.

8. აკვლანგი ცნობილმა მოგზაურმა და გეოგრაფმა ივ კუსტომ გამოიფნა.

9. პიემალიონის მიერ გამოქანდაკებული ქალს – რომელიც თავადვე შეუყვარდა და მას შემდეგ, რაც აფროდიტემ გაუცოცხლა, ცოლად შეირთო – გალატეა ერქვა. P.S. სხვათა შორის, ქანდაკებისადმი სექსუალური ლტოლვას ავალმატოფილია ეწოდება.

10. გასაბერი საბურავები დანდობაში გამოიფნა.

11. უკანასკნელმა ინკამ, ატაჰუალპამ, კონკისტადორ პისაროს მთელი დარბაზი აუცხო ოქროთი, მაგრამ ამანაც ვერ უშველა – იგი შეუბრალებად დაახრჩვეს.

12. ჩვენამდე მოღწეული მონეტებიდან ყველაზე ძველი, ლიდასშია მოჭრილი.

13. „ყველა ქვეყანას ჰყავს პრუსია და პრუსიელები“, – ამბობდა მიხეილ ჯავახიშვილი და საქართველოს პრუსიად ქართლს ასახელებდა.

14. მაიას ტომები ფლობდნენ უზარმაზარ ასტრონომიულ და მათემატიკურ ცოდნას. მათ ქურუმებს გამოანგარიშებული ჰქონდათ, რომ წელიწადი 365,242129 დღისგან შედგებოდა. P.S. თუ შეკადარებთ ამ ციფრს დღევანდელ უზუსტეს გამოთვლებს – 365,242198 დღე – ვნახათ, რომ ცდომ-

ეთ. გამოდის, რომ ჩემს სახლშიც უნდა ვაჭამო საჭმელი და იქითაც უნდა ვავატანო. ჩემი ფულით უნდათ ბიუჯეტში საქმე გაიკეთონ? როგორც კი მოთხოვნებს გაგამწვავებ, მყისვე მგლის ხროვასავით შემომისევენ მაკონტროლებელ ორგანოებს, რომელთა კირკიტაც სულ არ მადარდებს, მაგრამ ყოველ წუთში მათთან კონტაქტი გუნებას მიფუჭებს და ინვესტორისა და ქვეყნის ხელისუფლების ურთიერთობა უარესდება.

— როცა საქართველოში მოდიოდით, მოვლენების ასეთ განვითარებაზე ალბათ არ ფიქრობდით, თორემ ამხელა საქმესაც არ ნამოიწყებდით.

— „ნიუ მენეჯმენტ ჯორჯიასთან“ ამერიკაში დაიწყო ჩემი ურთიერთობა, ეს არის ჰოლდინგური ფირმა, რომელიც ფართო სექტორის ბიზნესს ეწევა. მეც საქმე უნდა მეკეთებინა ისრაელში, მაგრამ სიმართლეს გეტყვით – საქმიანი კონტაქტების დამყარება გამოვიწვინა. გადაწყვიტა, მოსკოვში უნდა გამოვმგზავრებულიყავი. სწორედ მაშინ შევცვალე გადაწყვეტილება და საქართველოში წამოვედი. მართალია, ეროვნებით ებრაელი ვარ, მაგრამ სენაკში დავიბადე და გავიზარდე. საქართველოში ჩამოვყალიბდი პიროვნებად და ჩემი ნამდვილი სამშობლოც აქ არის. ვიფიქრე, ჩემს ქვეყანაში საქმესაც ვაგაკეთებ საჩემოდ და საქართველოსთვის ერთ აფურს მეც დავდებ მეთქი. ქართული წესითა და ადათით აღზრდილი კაცი ვარ და უცხო ქვეყნის წეს-ჩვეულებებზე შეგუებისთვის წლები მჭირდება. მსოფლიოში არსად არ იციან მოფერება და გაგება ისე, როგორც საქართველოში. მე მხოლოდ აქ ვარ ილიკო, ქართველებისგან ბევრი ღირსება და კაცური თვისება მისწავლია და თუ დღეს ამ ქვეყანაში ცუდი ადამიანებიც არიან – იცოდეთ, ასი იმდენი კარგი და კეთილშობილია.

— დღეს რა გაკავშირებით თქვენს მეორე სამშობლოსთან, ისრაელთან?

— ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს. ისრაელში თუ მუშაობ, საფიქრალი აღარაფერზე გაქვს. სამივე შვილს საუკეთესო სამსახური და ხუთოთახიანი შესანიშნავი ბინა აქვს. სამშენებლო ფირმა 25

წლიან კონტრაქტს გიფორმებს და ნისიად გაძღვეს საცხოვრებელს. ჩემს მუდღესაც კარგი შემოსავალი აქვს, თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტია. ამით იმის თქმა მინდა, რომ არ მეგონა, საქართველოს მიმართ ჩემი ლტოლვა ასეთ მძიმე დღეში თუ ჩამავდება, თორემ ნერვებს არ დავიწყებდი. სამაგისო რა მიჭირდა?! ჩემი ცხოვრება უზრუნველად შემეძლო გამეტარებინა.

— მიუხედავად ამდენი პრობლემისა, წასვლაზე ალბათ მაინც არ იფიქრებთ...

— არა, არა, არ მინდა წასვლა, დამიჯერეთ – ღმერთს ვთხოვ: რაც დავიწყე საქართველოსთვის, ის საქმე დამამთავრებინე-მეთქი.

— როგორ ფიქრობთ, საქმეში წარმატების მისაღწევად რა პირობები უნდა შეიქმნას საქართველოში?


— უპირველესად, საქართველოში მცხოვრებმა ხალხმა – და არა მარტო ქართველებმა – უნდა შეიფაროს, რომ არ შეიძლება იმის ხელყოფა, რაც მას არ ეკუთვნის. ეს არის საერთო პრობლემა, რომლის მოგვარებაც ბიზნესისათვის ხელშემწყობ პირობებს შექმნის. აქ ჩამოსულიც და ადგილობრივი ბიზნესმენიც კანონით უნდა იყოს დაცული, მათი ჩადებული თითოეული თეთრი თუ ცენტრი, ხელშეუხებელი უნდა იყოს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნილმა საგადასახადო სისტემამ კი ინვესტორს ფულის ჩადების სურვილი უნდა გაუჩინოს. აქ ვინც ჩამოვიდა, 90% დაზარალდა – ან დატოვა თავისი ქონება და წავიდა, ან კიდევ, წაართვეს. საქართველოში ფული არ მოუგია არავის.

— კი, მაგრამ ადგილობრივი მილიონერები ხომ გაჩნდნენ!

— მაგათ არაფერი არ მოუგიათ. დაფიქრდნენ და მიხვდებიან, არის თუ არა



ბაზალეთის დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი



რესტორანი დაბა ბულაჩაურთან

ბიზნესი ის, რასაც ვეგნი აკეთებენ. ყველამ მშვენივრად იცის, ვინ როგორ იშოვა ფული. არა მაქვს ლანძღვის უფლება, მაგრამ ვი-  
დაც უსინდისო რომ სახელმწიფოს ქონებას დაიტაცებს და თვითონ თვეში უზარმაზ-  
არი შემოსავალი აქვს, საბრალო ხალხს კი 14 ლარი პენსია თვეში – ამას რა ჰქვია?!  
მსოფლიოს რომელი კუთხიდან მოიტანეს, რომ ასეთ დაქცეულ ქვეყანაში 14 ლარი პენსია შეიძლება ჰქონდეს კაცს?! ბედ-  
ნიერება არ უნდა იყოს ერთი ან ასი კაცისთვის, ყველა იმსახურებს მას მეტ-  
ნაკლებად. არ შეიძლება მხოლოდ თბი-  
ლისში იყოს რამდენიმე კაცი ბედნიერი სხვისი უბედურების ხარჯზე. მე რომ დამ-  
დევნ და თითოეულ თეთრს მიმოწებენ, მიკვირს: მე, კერძო კომპანიის ფული მაქვს და თუ რამეს არასწორად გავაკეთებ, კომპანია თვითონ მომთხოვს პასუხს, თანაც, ჩემს თავს არასდროს მივცემ იმის უფლებას, რომ უმართებულოდ მოვიქცე. საერთა-  
შორისო ინვესტიციები და გრანტები, ამდენი ფული რომ შეიჭამა ვიღაც-ვიღაცების მიერ და ქვეყანაში ყველა ახალდაბადებუ-  
ლი ბავშვის მხრებს რომ უზარმაზარი ვალები დაელო, ამას რატომ არავინ იძიებს?! ჩვენს საქმიანობას რომ ბევრი ხელს უშ-  
ლის, ამას რატომ არავინ იძიებს?

— **ბატონო ილია, ბიზნესი, ფაქტობრივად, კომუნისტების დროსაც არსებობდა, მაგრამ თავისებური ფორმით. საქმის საკეთებლად უკეთესი პირობები როდის გქონდათ — მაშინ თუ ახლად?**

— მაშინ იოლი იყო საქმის კეთება. რუსეთში, ლენინგრადში დავამთავრე ინსტიტუტი, ინჟინერ-ეკონომისტი გახლავართ პროფესიით. 9 წელი რუსეთში ვიმუშავე. მერე აქ ჩამოვედი და კავკასიაში პირველად, საქართველოში ლინოლუუმის ქარხანა ავაშენეთ. 12 მლნ დოლარის ეკვივალენტის თანხა გამოვაყოფინეთ მა-

შინ რუსებს. კარგი დრო იყო: რუსეთში რაც კარგი იყო, ყველაფერი ქართველებს მოგვქონდა. რუსების გულის მოგებას ერთი გოჭი, ერთი ინდაური და ორი ბოცა ღვინო ჰყოფნიდა. დაალევიანებდი ორ ჭიქას და რაზეც გინდოდა, იმაზე მოაწერიანებდი ხელს.

— **საქართველოს პრეზიდენტთან ხომ არ გქონიათ შეხვედრა და ამ საკითხებზე საუბარი?**

— როცა შეგხვდი, მაშინ ვუთხარი ყველაფერი. ბატონ ელუარდს წინათაც შეგხვედრივარ — 1978 წლიდან ვიცნობ. საქართველოში ბროლის წარმოება რომ დაიწყო, ეს იყო მნიშვნელოვანი საქმე, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას. მაგრამ ქარხნის ირგვლივ მცხოვრებმა მოსახლეობამ სამინისტროებში დაიწყო ჩივილი — ქარხნიდან ხმაური და სუნი გვაწუხებს, დაავადებები გვიჩნდება და თმა გვცვივავო. მოკლედ, ვიღაც ქოსაც მოძებნეს და ექსპერტს გაასინჯეს, როგორც დაზარალებული. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმხანად გურამ პატარიძე იყო. მივიდა, ნახა საწარმო, რომელიც უმაღლეს დონეზე იყო მოწყობილი და ბატონ ელუარდს უთხრა — არ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის დახურვა. მან თვითონაც ისურვა ქარხნის ნახვა. რომ მივიდა, შემოეხვია ხალხი, ატყდა ერთი გნია-სი. ბოლოს ქარხნის დირექტორმა, გივი ბუცხრიკიძემ ჰკითხა შევარდნაძეს — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ხალხი წერს — ხმაური გვაწუხებსო. არადა, მართლა არ იყო ხმაური. ბატონმა ელუარდმა უპასუხა — ორჯერ მეტად აუწიე ხმას და ეგ ხალხი მოვა და შეგხვებვება, პირვანდელ დონეზე დააყენე ისევე... ასეთი გონივრული და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება იცოდა ბატონმა ელუარდმა. მაგის მჯეროდა ყოველთვის და ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში...

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკოდან:



ილება მხოლოდ ერთ წამზე ცოტა მეტია წელიწადში.

15. „საიდუმლოებათა საუნჯე“, „ხოსროვ და შირინი“, „ლეილ-მეჯნუნიანი“, „შვიდი მზეთუნახავი“, „ისკანდერ-ნამე“ — რუსთაველის თანამედროვე დიდი აზერბაიჯანელი პოეტის, ნიზამ განჯევის კალამს ეკუთვნის.

16. კატრინ დენევი თეატრალური ტრადიციების მქონე ოჯახში გაიზარდა. მისი ბუბი-  
აც კი თეატრში მუშაობდა სუფლიორად.



17. კართაგენელები მონების მოპოვების მრავალი ხერხიდან ერთ ძალზედ ორიგინალურ ხერხს მიმართავდნენ: ისინი უზარმაზარი გემით მიაღებოდნენ ხოლმე მჭიდროდ დასახლებულ ნაპირს და მოსახლეობას სავაჭროდ გემზე იწვევდნენ. როდესაც გემი ხალხით აივსებოდა, კართაგენელები ლუხას სწევდნენ, აფრებს უშვებდნენ და ტყვედქმნილ მოვაჭრეებს შუა ზღვაში იტაცებდნენ.

18. ამერიკელები თავიანთ ქალაქებს ხშირად არქიმედიან მსოფლიოს დიდი ქალაქების სახელებს. ამერიკაში არსებობს ქალაქი პარიზი, კაირო, მოსკოვი, დელი და ა.შ. P.S. ტომ სოიერი ქალაქ სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა.

19. 1206 წელს თეთრი ცხრაკუდიანი დროშის ქვეშ სრულიად მონღოლთა ხანების, ნოინების, ბაჰადურებისა და ნუქერების ყრილობა — ყურულთაი — შეიყარა. სწორედ ამ ყრილობაზე გამოცხადდა გაერთიანებული მონღოლეთის მბრძანებლად ჩინგის ყენი. P.S. ჩინგისი (ზეცით მოვლენილი) მაშინ 51 წლის იყო.

20. ანდრია მოციქული ქრისტემ თავისთან პირველი იხმო, რისთვისაც მას პირველწოდებული დაერქვა.

21. ლექსო თორაძემ ტენასში კონკურსი მოიგო. გახურებული აფიოტაჟის დროს ბიძინა კვერნაძე დერეფანში სვდება ლექსოს: ლექსო, გაიარე ტენასმოტრი?

22. პრეზერვატივების ყველაზე დიდი ქარხანა ღრეზდენში მდებარეობს.

23. ანტონიუსისგან კლეოპატრას ტყუპები ჰყავდა. P.S. რამდენ რამეს ასწრებდა ეს ქალი!

24. „დიდი ვაშლი“ ნიუ-იორკის მეტსახელია.

25. ჯონ ჰოიერ აბაიკის 1963 წელს გამოცემულ ლექსების კრებულში — „ტელეფონის ბიძები“, შესულია ქართველი სპორტსმენისადმი მიძღვნილი ლექსი — „ტრამპლინზე წაქაბა“.

მეორე წელია, „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი“ ვახტანგ კომახიძის ხელმძღვანელობით ატარებს სახელმწიფო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების გამოკვლევას (მონიტორინგს). ჩატარდა კლასიფიკაცია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნის გამოტანა.



# საქართველოში მილიონაერები მობვიმრავლდნენ

## მანანა იაშვილი

ჯერ ერთი, ჩვენი ჩინონიკები და ჩვენ მიერ არჩეული პარლამენტის წევრები ქარაფშუტულად ეკიდებიან თავიანთი ქონების აღრიცხვას. ზოგს სახლის ჩაწერა „ავიწყდება“, ზოგს – მანქანისა და ზოგს, ბიზნესის წილის. მეტყვეობიანო. არც უმაგისობაა. მოდი და დაიჯერე, რომ ლევან მამალაძე ოჯახის ერთ წევრზე თვეში 51 ლარს ხარჯავს. ხოლო კახა თარგამაძის მეუღლეს თვის განმავლობაში სუპერმარკეტსა და ბუტიკში შესასვლელად 79 ლარი ჰყოფნის. ბონდო ჯიქია კი, ხვაიან და გემრიელ მეგრულ სუფრას 43 ლარით უშლის სტუმრებს. მაგრამ რაც არის, არის. ჯერჯერობით ისიც საკმარისია, რაც დაწერეს და ხელი მოაწერეს. ჩვენც ხომ ჯერ ვერ გავითავისეთ, რომ ისინი ჩვენგან დაქირავებულნი, ბიუჯეტში ჩვენი შენატანებით მოსულდგმულე ადამიანები არიან, რომ პასუხი ცივილიზებულად მოეთხოვებათ და არა ქუჩა-ქუჩა, პირველყოფილთათვის შესაფერისი ღმუღილი: „მოგვეცით ხელფასები! მოგვეცით პენსიები! ნუ ლახავთ ადამიანის უფლებებს! ნუ გვცემთ! ნუ გვძარცვავთ!“ დაბოლოს: ჩვენც ხომ რაღაცნაირად ვსულდგმულობთ და მოდით, ვიყოთ გულახდილნი, რომ არც ჩვენ ცხხოვრობთ 12 ლარიან პენსიაზე და 30 ლარიან ხელფასზე, რაღაცას ვფართივფურთობთ, „მარშრუტკით“ მაინც ვმგზავრობთ, თეატრში და კონცერტზე მაინც დავდივართ და მწიარად, მაგრამ მაინც ვიხდით დაბადების დღეებს და ვიღებთ სტუმრებს. ამიტომ ნუ გავიკვირდება, რომ ახალგაზრდა პარლამენტარი, რომელსაც გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვს, რესტორანში 500 ლარს ტოვებს.

„თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბ-



ვახტანგ რიხელიშვილი

მა“ მაინც გამოიღო თავი და შარშან პროკურატურაში შეიტანა მასალები იმ ჩინონებზე, რომელთა დეკლარაციები ბავშვსაც კი დააჭვებდა. მაგრამ პროკურატურამ ჩათვალა, რომ ეს არასერიოზულია და მათი საქმეების არაღძვრის ვერდიქტიც გამოიტანა. ჟურნალისტთა გაერთიანებას კი, წერილობითი პასუხიც არ აღირსა – რის საფუძველზე გამოჰქონდა საქმეების არაღძვრის გადაწყვეტილება. არც ეს არის გასაკვირი, რადგან ყოფილი გენერალური პროკურორი, დეკლარაციის მიხედვით, სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს: მისი 4 სულიანი ოჯახის თითოეულ წევრზე, თვეში სულ 74 ლარი მოდის. ამას დაუმატეთ პროკურატურაში გაუცემელი ხელფასები და „შიმილით აღნავლებულ ჯალაბს“ მხოლოდ



ლევან მამალაძე

უცხოეთში გასეირნება თუ უშველის... მართალი ვითხრათ, გული დამეწვა გაჭირვებული მაღალჩინოსანი სამართალდამცავების, მშვირი გამგებლების გვარების კითხვით, ჩამოძინძილი პარლამენტის წევრების უბედურებით, რომლებსაც ჰალსტუხი „ვერსახესაგან“ „ძონძეში“ უყიდიათ 0,50 ლარად, „პაკო რაბანის“ სუნამო კი მეზობელი მათხოვრისგან მიუღიათ საჩუქრად, ხოლო ახალი „მერსედესი“ სულაც საურმე გზაზე დაგდებული უნახავთ. რას იკლავენ თავს ხალხის სამსახურში? წავიდნენ და კერძო ბიზნესს მოჰკიდონ ხელი... მაგრამ თქვენც ნუ შეღონდებით: ჩვენდა სასიხარულოდ, მილიონერი მოხელეებიც გვყოლია და პარლამენტის წევრებიც, თუმცა გარკვეული „თავისებურებე-



კობა ბუჭუკური



მამია სიორიძე



სოსო ალავიძე



აფხამეთის აგონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს ქართველ მილიონერთა სიაში არცთუ უკანასკნელი ადგილი უკავია

ბი“ მათაც ახასიათებთ. სამართალდამცავებში მხოლოდ 3 მილიონერი აღმოჩნდა. ცოტაა, მაგრამ მაინც გვყავს. მაგალითად, თბილისის პოლიციის შეფი სოსო ალავიძე (905.000 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება და 149.000 ნაღდი ფული აქვს), ყოველთვიური შემოსავლის მიხედვით, ოჯახის თითოეულ წევრზე მხოლოდ 40 ლარს ხარჯავს. მილიონერია შინაგან საქმეთა მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ვასილ დავითაია (886.000 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება, 70.000 ლარის აქციები და 285.000 ნაღდი ფული). სხვა ყველა – მინისტრი, მისი მოადგილეები და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირები – ღარიბია.

პროკურატურის სისტემის მუშაკთაგან მხოლოდ ლენა კაპანაძეა მილიონერი (1.080.000 უძრავ-მოდრავი ქონება); ცოტა ხნის წინ კასპის რაიონის პროკურორად მუშაობდა, ახლა კი დიდუბის პროკურორად გადმოიყვანეს.

პარლამენტის წევრებიდან პირველ ადგილზე ვალერი გელაშვილია – მას 26.670.000 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება, 240.000 გერმანული მარკა და 6.170.000 ლარის გასესხებული თანხა აქვს.

მილიონერები არიან: ვახტანგ რჩელიშვილი (474.000 უძრავ-მოდრავი ქონება, 340.000 ნაღდი ფული, 820.000 გასესხებული თანხა, 100.000 ლარი – საბანკო ანგარიშზე), დავით ბეჟუაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, დავით საგანელიძე, ჯემალ სვანიძე, ანტონ ინგოროყვა; მილიონერია გოგი თოფაძე, რომლის ქონება 1 წელიწადში გაორმაგდა. „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის“ მონაცემებით, ბატონ გოგის დეკლარაცია უყურადღებოდ აქვს შევსებული: „...1999 წ. მიხედვით, მას „საქართველოს ბანკში“ დეპოზიტზე ჰქონდა 100.000 დოლარი. 2000 წლის მიხედვით, ბანკში ეს თანხა გაიზარდა 200.000 დოლარამდე. მისი

ოჯახის შემოსავალი 1992 წლიდან დღემდე შეადგენდა 16.000 აშშ დოლარსა და 34.000 ლარს. ამდენად, დაუსაბუთებელია საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ზრდის წყარო. 2000 წლის დეკლარაციაში მითითებულია აგრეთვე, რომ შპს „ყაზბეგი-კასტელისაგან“ 1998 წლიდან დღემდე მას შემოსავალი არ მიუღია. „ყაზბეგი-კასტელის“ სახელფასო უწყისების მიხედვით, ხელფასის სახით მას მიღებული აქვს 17.872 ლარი და 35 თეთრი“.

დიდი შეუთავსებლობაა პრეზიდენტის რწმუნებულის, კობა ბუჭუკურისა და პარლამენტარ მარინა მოლოდინის მიერ შევსებულ დეკლარაციებში. 1998 წლის მონაცემებით, მათ ქონება 10.000 ლარს შეადგენდა, 1999 წელს კი 14.000 ლარი და 262.000 დოლარი უჩვენეს – მაშინ, როდესაც ოჯახის წლიური შემოსავალი სულ 8.340 ლარამდე აღწევდა.

პარლამენტის წევრი ზაზა ოქუაშვილი ვალეობით ცხოვრობს. საიდანაღ 336.900 ლარი ჩავარდნია ხელში და ასე ჩამოყვალბება შპს „ომეგა მოტორსი“, „ომეგა-2“, შპს „ომეგა-თეგი“, შპს „ომეგა-კოპტესარი“, რომელთაგანაც მოგება არ უნახავს. თუ ვალად აღებულ თანხას ჩავთვლით, ისიც მილიონერია...

მილიონერია ზაზა სიორიძეც. 1999 წლის მონაცემებით, 365.000 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება აქვს. ბანკში – 83.592 დოლარი, მეუღლესთან ერთად, – 1.575.000 ლარის აქციები; დეკლარაციაში შეტანილია აგრეთვე 15.000 ლარი, 3.200 გერმანული მარკა და 3.600 ფრანგული ფრანკი.

თბილისელთა სასიხარულოდ და საამაყოდ, ჩვენი ქალაქის მერი, ვანო ზოდელავაც მილიონერია (1.766.500 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება, 513.576 – საბანკო ანგარიშში და 8.200 გასესხებული თანხა). მას ცოტათი ჩამორჩება თბილისის პრემიერი ვია შერაძე: 845.000

ლარის უძრავ-მოდრავი ქონება, 70.000 ლარის აქციები, კიდევ 108.000 – აქციები და კიდევ 25.000 ლარის აქციები; 190.000 ნაღდი ფული და 160.000 გასესხებული თანხა. ამ უკანასკნელი პარამეტრის მიხედვით, იგი ვანო ზოდელავაზე რისკიანი და ხელგაშლილი უნდა ბრძანდებოდეს.

მილიონერია, რაღა თქმა უნდა, აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე: 1.410.000 ლარის უძრავ-მოდრავი ქონება, 63.000 ლარი ნაღდი ფული.

დეკლარაციებისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად. ყველა მათგანს ვერ გაგიზიარებთ – მით უმეტეს, რომ თავადაც კარგად მოახერხებთ მიღებული ინფორმაციის შეფასება-ინტერპრეტაციას...

ლულის მაგნატი გოგი თოფაძე





# ჩემი საქმე ბაზუზუბისთვის პაპარსაზის გამოცვლით დაპინსუა

ქართულ ბიზნესში ძირითადად გაბიზნესმენებული პარლამენტარებისა და გაპარლამენტარებული ბიზნესმენების სახელები „ბრწყინავს“. როგორ მოხვდა ამ სფეროში სკოლის დირექტორი?

## ნანა ქიბიშაური

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ქართულ-ფრანგული კომპიუტერული სკოლა-ლიცეუმის დამაარსებელს, მანანა ტარიელაშვილს თვითონაც ვერ გაურკვევია, საგანმანათლებლო ბიზნესში მისი გადასვლა ბედის წყალობას მიაწეროს თუ ბედის ირონიას. თუმცა, ამაზე ბევრი ფიქრით თავს დიდად არც იწუხებს. საქმე საათივით აქვს აწყობილი, ღამით მშვენივრად სძინავს, დილით შესაშური განწყობით იღვიძებს, სამსახურში დიღინ-დიღინით მიდის, ფულს აუკანკალებელი ხელით ითვლის და მასთან ინტერვიუსთვის მისულს, ოპტიმისტური განცხადებით თავიდანვე მინტრივებს: „ვიცი, პატიოსანი ვზით როგორ უნდა იშოვოს ქალმა ფული!“

— საქართველოში?! — კეკითხები, ცოტა არ იყოს გაკვირვებული.  
— საქართველოში! — მპასუხობს თავდაჯერებით და ორი მეწველი ძროხის — „გ“-ს (გრანტი) და „კ“-ს (კრედიტი) თავისებურებებზე მესაუბრება. ყურადღებით ვუსმენ და ვხვდები: ორი დღეც რომ შეუჩერებლად ილაპარაკოს, „ხეზე ასვლას“ მაინც ვერ მასწავლის. ამიტომ დროს ამაოდ აღარ ვკარგავ და შეკითხვებზე გადავდივარ.

— როგორც ვხვდები, თქვენი სკოლა-ლიცეუმი მხოლოდ ელიტის „გრემბზეა“ გათვლილი, რადგან სწავლების საფასური, სხვა სკოლებთან შედარებით, გაცილებით დიდია.

— არც ისე დიდი: ერთ სასწავლო წელში, ე.ი. ყოველ 9 თვეში ერთხელ მშობელი 600 ლოლარს მიხდის. სამაგიეროდ, თავის შვილს გარანტირებულ მომავალს უქმნის: არ სჭირდება არც რეპეტიტორის დაქირავება, არც გამოძცვლებთან „საქმის ჩაწყობა“ და არც ნაცნობთა მოსაძებნად სირბილი. სკოლის კონტინგენტი, ჩვენი თან არსებული ქართულ-ფრანგული საბავშვო ბაღიდან გადმოსული ბავშვებით ივსება. ცნობილია, რომ სკოლა-მდელი ასაკის ბავშვი ადვილად ითვისებს ნებისმიერი სირთულის ენას. სწორედ ამის გამო, მეოთხეკლასელები ისევე კარგად საუბრობენ ფრანგულად, როგორც ფრანგები. ამიტომაც ამ ასაკის ბავშვებს, მასწავლებლებიც და მშობლებიც ძალიან მშვიდად ვაგზავნი საფრანგეთში, სადაც ყოველწლიურად სპეციალურ ორკვირიან პროგრამას გადიან, საზაფხულო სკოლა-ბანაკებში კი ფრანგ ბავშვებთან ერთად ისვენებენ და მათთან ურთიერთობის დასამყარებლად არანაირი ენობრივი პრობლემა არა აქვთ.

— ქართულ-ფრანგული საბავშვო ბაღიც თქვენია?

— კი, ჩემი საქმიანობა საბავშვო ბაღით დავიწყე.

— იდეა როგორ გაჩნდა?

— დავიწყებ იმით, რომ არასოდეს მქონია უზრუნველი ცხოვრება. ძალიან ტრაგიკული ბავშვობა მქონდა: დედა რომ გარდამეცვალა, 8 წლის ვიყავი. 12 წლის ბავშვი, მამითაც დავობლდი და დედინაცვლის ამარა დავრჩი. შემდეგ სახლიდან წამოსვლა მომიწია და თბილისში, ერთმა შორეულმა ნათესავმა შემიფარა. ბავშვობაც და ქალიშვილობაც გამონაცვალის ტანსაცმლით მაქვს გატარებული. ჩემი ხსნა მხოლოდ სწავლით თუ იყო შესაძლებელი და მეც დღესა და დამეს ვასწორებდი. უცხო ენათა ინსტიტუტში ჩავირიცხე. სტუდენტობისას ვავთხოვდი და მეუღლის მცირე ხელფასის ამარა, ჩვილით ხელში მკაცრი რეალობის წინაშე აღმოჩნდი. ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა გაჭირვებით შეწუხებული, ზღვარს მივუახლოვდი, ხმამაღლა გამოვაცხადე: მე უფრო მეტს ვიმსახურებ ამ ცხოვრებაში და რაც მეკუთვნის, იმას კიდევ მოვიპოვებ-მეთქი. პირველი, რაც გავაკეთე, იყო სახლის პირობებში გახსნილი საბავშვო ბაღი. ეს ჩემი და ჩემი შვილის „ერთობლივი საქმე“ იყო: მისი წყალობით, მაინც შინ ვჯდომა მიწვევდა და მისნაირი პატარებით ავაკვსე სახლი. დადიოდნენ ოთახიდან ოთახში და ფრანგულად მექუტუტულებოდნენ, მე კი მათ პამპერსებს ვუცვლიდი და თვის ბოლოს 100 მანეთი რომ ავიღე, ჩემზე ბედნიერი ქალი თუ არსებობდა, არ მეგონა.

პირველად აღებული ფულით უფრო დიდი ფართობის ბინა ვიქირავე, მეტი ბავშვი მივიღე და აღებული თანხით „დედის ბაღი“ რეგისტრაციაში გავატარე. ეს უკვე საქმე იყო. წლები გადიოდა და ჩემ მიერ გამოზრდილებს სხვა სკოლებისთვის ვერ ვიმეტებდი. ასე გაჩნდა ფრანგული სკოლის გახსნის იდეა. დავეჯექი და მოვიფიქრე, რა მჭირდებოდა, ვინ მჭირდებოდა, რა მიწყობდა ან რა მიშლიდა ხელს. ჩემს სასარგებლოდ მეტყველებდა ის, რომ ქართველი მშობელი ყველაფერს მოიკლბს, ოღონდ შვილს კარგი განათლება მიაღებინოს. ვხვდებოდი იმასაც, რომ უცხო ენა და კომპიუტერი სულ მალე საგანმანათლებლო ბიზნესში დიდი „ბუმის“ საფუძველი გახდებოდა. მეც სკოლის პროფილი ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად განვსაზღვრე და მომავალ სკოლას სახელიც შევურჩიე: ქართულ-ფრანგული კომპიუტერული ლიცეუმი.



მოხდა ბენდიერი დამთხვევა, უფრო სწორად, მომეტა შანსი, რომელიც „ფიფქიასა და 7 ჯუჯის“ წყალობით, იდეის განსახორციელებლად წარმატებით გამოვიყენე.

**— „ფიფქია და 7 ჯუჯა“?**

— საქართველოში გაიხსნა საფრანგეთის საელჩო. ჩემთვის აუცილებელი იყო კონტაქტებზე გასვლა. ორ კვირაში ფრანგულად დავდგი სპექტაკლი — „ფიფქია და 7 ჯუჯა“. ყველაზე პატარა ჯუჯა 2 წლინახევრის იყო. კაცი უკეთეს სანახავს ვერ ინატრებდა. მოვიკიდე ამ ჩემს პატარებს ხელი, მივედი ელჩთან და მოსაწვევი გადავეცი.

**— ელჩი როგორ მოიქცა?**

— ჩვენს სპექტაკლს დაესწრო და მას შემდეგ ჩვენი მეგობარი გახდა. სწორედ მან დაგვაკავშირა ბევრ საინტერესო ადამიანს, ვინც შემდგომში ჩვენი სკოლის გულშემოტიკივართა წრეში მოხვდა. მათ შორის იყო ნოე ჟორდანიას ვაჟიშვილი — რეჟებ ჟორდანიას, რომელიც მამამისის სახელობის სკოლას მაქსიმალურად ეხმარება და კურიერებს. ყოველი ადამიანი, ვისაც ფულთან დაკავშირებით რაიმე ჩანაფიქრი აქვს, ამ ფულის მიღებას ძალიან სწრაფად ცდილობს. აქ არის მათი შეცდომა. სულსწრაფობა ხშირად, ცუდი მეგობარია. ჩემი პროექტით, მოგება გვიან მოდის, მაგრამ აუცილებლად მოდის. თანაც შეამაყება ის, რომ საქმე 100 მანეთით დაიწყო და ისე ვნერგავ ცივილიზებული სწავლების ფორმას, რომ სახელმწიფოსთვის არც ერთი კაპიკი არ მითხოვია.

**— კი, მაგრამ ქართველი მშობლების ფული იგივე სახელმწიფოს ფული არ არის?**

— არა, მშობლების ფული მათივე შვილებს ხმარდება, სკოლა კი გრანტებისა და კრედიტების წყალობით ვითარდება. ვაკეთებ პროექტებს და გრანტის მოსაპოვებლად, თითქმის ყველა აპრობირებულ მეთოდს ვიყენებ. კრედიტის ასაღებად კი, ზოგჯერ წარმოუდგენელ რისკზეც მიწევს წასვლა. მოვიპოვე რამდენიმე სოლიდური გრანტი, სოროსის ფონდის მეშვეობით მივიღე ინტერნეტით უფასოდ სარგე-

ჩემი საქმიანობისთვის 5.000 დოლარი გამოყო. ვიწყებ ახალ პროექტს...

**— პროექტებს ბევრი ადგენს, მაგრამ გრანტს ყველა ვერ იგებს. ალბათ აქაც რაღაც ნიუანსებია გასათვალისწინებელი...**

— გრანტს იგებს ის, ვინც იცის, როგორ მიიღოს გრანტი.

**— გრანტების მიღებასა და კრედიტების აღებ-მიცემობა ზოგს ბიზნესი ჰგონია, ზოგს თაღლითობა, ზოგს ქველმოქმედება — მოკლედ, ვერ გაიგებ, რა ხდება...**

— ჩემი აზრით, საქართველოში ეს ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია, რომელიც ძირითადად, განათლების სისტემაში აბანდებს ფულს და მას მაქსიმალურად აკონტროლებს. აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

**— განათლების სისტემაში მე მხოლოდ წიგნების ბიზნესის შესახებ მაქვს ინფორმაცია.**

— არა, აქ სხვა, უფრო დიდი საქმეებიც ტრიალებს. საერთოდ, მოგება რომ ნახო, ან ძალიან ცნობილი უნდა იყო და ხმაურიანი საქმეს აკეთებდე (მაგალითად, ბენზინის, სიგარეტის ან ლუდის), ან უარი თქვა პოპულარობაზე და უხმაუროდ, სკანდალების გარეშე აკეთო ფული. მეჩვენება, რომ ის, ვინც მეორე გზას ირჩევს, უფრო ჭკვიანია, რადგან უსაფრთხოდ და სუფთად მუშაობს. მთავარია, ის ფული გეკუთვნოდეს და რაშიც გიხდინ, იმ საქმეში ბოლომდე მართალი იყო.

**— ოჯახი როგორ ეგუება საქმიანი ქალის თქვენეულ იმიჯს?**

— ოჯახში სულ

**რეჟებ ჟორდანიასთან და თანამშრომლებთან ერთად**

მამაკაცები არიან: 6 მამაკაცი — მეუღლე, ვაჟიშვილი, მამამთილი, მათი სამი ნათესავი — და მე. შინ რომ მივდივარ, სუფრასთან შემომსხდრები მელოდებიან... მათ მოვლას ბევრი დრო და ენერგია სჭირდება. დღე-ღამეში 4 საათი ძმინავს. საერთოდ კი, მამაკაცები ძნელად ეგუებიან ორგანიზატორ ქალებს, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ქალმა ოჯახში თუ ვერ მოაგვარა ეს საკითხი მშვიდობიანად, ჭკვიანურად და პრინციპულად — ვერც გარეთ, უცხო საზოგადოებაში „გაქაჩავს“. ყველაგან, სადაც არ უნდა იყოს ქალი, თავისი, როგორც პიროვნების დამკვიდრებას უნდა ეცადოს. ისეთი დროა, თავისით არაფერი მოდის, ყველაფერი უნდა მოიპოვო და ყველა აიძულო, პატივისცემით მოგეპყროს. რასაც მე ვაკეთებ, ამის გაკეთება ნებისმიერ ქალს შეუძლია — მთავარია, ყურები არ ჩამოყარო და გადაწყვეტილების მიღების უნარი გამოამჟღავნო. თავს უნდა ჩააგონო: „მე უფრო მეტს ვიმსახურებ და რაც მეკუთვნის, მოვიპოვებ კიდევ!“

**— რა თვისება დაგებმართო წარმატების მიღწევაში?**

— მე მაქვს მოსმენის უნარი, მიმანჩია, რომ ეს ჩემი ყველაზე კარგი თვისებაა. ვარ კომუნიკაბელური და ნებისმიერი საქმე, რასაც ხელს მოვკიდებ, ბოლომდე მიმყავს. მხოლოდ ერთი სისუსტე მაქვს — ჰორისკოზი, რომლისაც მჯერა და ყოველ დღეს მისი რჩევების შესაბამისად ვგეგმავ. ერთ კეთილ რჩევას მივცემდი მამაკაცებს: თუ თავიანთ მეუღლეებში რაიმე საქმის კეთების სურვილი და ორგანიზატორული ნიჭი შენიშნეს, ხელს ნუ შეუშლიან.

**— ქალებს რაღაც ეტყობი?**

— ქალებს რა ვუთხრა... ნებისმიერმა ქალმა, მათ შორის მეც, შესანიშნავად იცის, რომ მაინც ქალია და ოჯახში მის მიერ შემოტანილ მილიონს, კაცის მიერ შემოტანილი 10 თეთრი სჯობს... ■





# კონფისკაცია

ანუ რატომ დაედო სახელმწიფოს „ცეკავშირის“ ვალი

ორი კვირაა „ცეკავშირის“ პრობლემები კაბინეტებმა ვერ დაიბნა და ფართო საზოგადოების ინტერესის საგნადაც იქცა. ბუნებრივად ფრთხილი და მორჩილი სავაჭრო დარგის მუშაკები — „ცეკავშირის“ მუშაობის და მომსახურე პერსონალი ხან პარლამენტის წინ აწყობენ აქციას, ხან ომბუდსმენის გაზონებს თელავენ. მათი მთავარი რისხვა „ცეკავშირის“ ხელმძღვანელსა და ეროვნულ ბანკს ატყდება.

## მანანა იაშვილი

1996 წელს „ცეკავშირმა“ ფქვილის შესასყიდად, ეროვნული ბანკიდან სესხად 2,5 მილიონი ლარი აიღო და არ დაუბრუნებია. ამა წლის 28 თებერვალს, სასამართლოს აღმასრულებელმა კანონის ძალითა და სპეცდანიშნულების რაზმის „მხარდაჭერით“ „ცეკავშირის“ სათავო ოფისის მე-6 და მე-7 სართულები ჩამოართვა.

„ცეკავშირის“ მთავარ ოფისში 178 თანამშრომელი მუშაობს. შექმნილია საბჭო, რომელშიც 85 წევრია და 13 წევრიანი გამგეობა. უკმაყოფილების ბუდე აქაც დევს, რადგან თანამშრომელთა განცხადებით, ეს 13 კაცი ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ვოვი ქათამაძის შერჩეულია და ისინი საბჭოს წევრებიც არიან, რაც წესდებასა და პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს — „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, უხეშად არღვევს. თანამშრომლები გაუსაძლისი სამუშაო პირობებს უჩივიან, რადგან მუშაობა შიშის, ჭორის, დასმენის, დეზინფორმაციის პირობებში უხდებათ. იპარავენ საბუთებს, ამტყვევენ კაბინეტების კარებს, თიშავენ სინათლესა და ტელეფონს... ზოგიერთი

თანამშრომელი სამსახურში მოსვლასაც ერიდება, რადგან „კედლებსაც ყურები აქვს“; მით უმეტეს, რომ ზეწოლის კიდევ ერთ ბერკეტად, გაუცემელი ხელფასები ქცეულა. ვოვი ქათამაძე კი, მათი თქმით, აივლის „ცეკავშირის“ შიგნით აღმართულ უზარმაზარ კიბეს, ჩაიკეტება კაბინეტში და თავის „ერთოვლ კაცებთან“ ერთად დემოკრატიას აშენებს.

„ცეკავშირში“ არსებული დარღვევები ყურნალისტთა ანტიკორუფციულმა სავამოდიებო ჯგუფმა გამოიკვლია. სხვა, მძიმე ბრალდებებთან ერთად, ყურნალისტური გამოძიება იკვლევს 1996 წლის 30 ივლისის მომხდარ გარიგებას ქათამაძესა და ეროვნული ბანკის მაშინდელ პრეზიდენტს, ნოდარ ჯავახიშვილს შორის, „ცეკავშირისთვის“ 2,5 მილიონიანი კრედიტის შესახებ, რომელსაც არ ჰქონდა სავარანტიო უზრუნველყოფა. ჩვენ დაეუკავშირდით ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს ნოდარ ჯავახიშვილს. მან გვითხრა, რომ კრედიტების გაცემა მაშინ სახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო — პურზე ფასების ლიბერალიზაციის გამო.

### ნოდარ ჯავახიშვილი:

— ეროვნული ბანკის მხრიდან გაიცა

სავარანტიო წერილი არა მხოლოდ „ცეკავშირზე“, არამედ კიდევ 5 ორგანიზაციაზე, რომელმაც ხორბალი შემოიტანა. ხელი მოეწერა 3 თვიან კონსიგნაციას. კაბიკიც არ დააბრუნა არც ერთმა, არ ინებეს დაბრუნება...

### — თქვენი გათავისუფლების მიზეზად ამ ფაქტს ასახელებენ.

— დიახ, ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, მაგრამ მაშინ მიზეზი არ უძებნიათ. ფქვილი ყველა შემთხვევაში უნდა შემოსულიყო. შემოიტანეს კიდევ „ცეკავშირის“ დანაშაული თუ არა, უთავობა მაინც არის ამ საქმეში. მაშინ საზოგადოება ამ ამბავს ვერ ჩასწვდა — იქნებ აუცილებელი და კანონიერი იყო შემოტანა. ასე რომ არ ყოფილიყო, დამიჭერდნენ. 4 წელი იყო სისხლის სამართლის საქმე აღძრული და ამბობენ, დახურესო. მაგრამ, ვთქვათ, დაარღვია ქათამაძემ კანონი — რატომ არ ჰკითხეს, ფქვილი რომ შემოიტანა, სად წაიღო? რატომ არ გადაიხადა ვალი? ფაქტია, რომ ამოღებული თანხა მითვისა. ასე ხდება საქართველოში. მაშინ ჩემი თავიდან მოშორება უნდოდათ და ვალის ამღებებს კი არაფერი ჰკითხეს...

„ცეკავშირისა“ და ეროვნული ბანკის ურთიერთობის შესახებ ვესაუბრეთ ბანკის წამყვან იურისტს ბესო შუბითიძეს, რომელიც უშუალოდ იკვლევს ამ საქმეს:

### — რატომ გაიცა „ცეკავშირზე“ კრედიტი?

— ვერ გეტყვით: როდესაც ბანკში დავიწყე მუშაობა, ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო. ეროვნული ბანკის მხრიდან გაიცა სავარანტიო წერილი, რომ თუ შემომტანი ფირმა არ დაფარავდა თანხას, ბანკი კისრულობდა მის დაფარ-

### ბესო შუბითიძე



ვას. ამ ოპერაციის შედეგად ბანკს ჩამოეჭრა ის თანხა, რაც „ცეკავშირმა“ წაიღო და ჩვენ ზარალი განვიცადეთ.

**— 2 წლის წინ „ცეკავშირის“ 2 სართული უკვე გადმოვიდა თქვენს ბალანსზე, მაგრამ თქვენ მხოლოდ ახლა შეხვედით შენობაში. რას უცდიდით?**

— მუდმივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მოდიოდა იქიდან თხოვნები. რამდენჯერმე გაუგზავნეს წერილი საქართველოს პრეზიდენტს: სთხოვდნენ, ჩამოგვეწერა ვალი ან მომხდარიყო ურთიერთჩანაცვლება, გაეთვალისწინებინათ მეპაიეთა ინტერესები, შეგვედგინა რაღაც გრაფიკი და ა.შ. ფაქტობრივად, დროის გასაწელავად იყო ყველაფერი. ჩვენ წინადადებას ვაძლევდით, დაეწყოთ თანხის დაფარვა, მაგრამ თუნდაც მინიმალური თანხის შემოტანაც კი არ უცდიათ. ეროვნულ ბანკს ეს 2 სართული გადაეცა 1.987.245,23 ლარის ანგარიშში. 1997 წლის 8 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ცეკავშირს“ დაეკისრა 1.528.659,18 აშშ დოლარი, რაც ზემოთ აღნიშნული თანხის ეკვივალენტს შეადგენს, მაგრამ 1998 წელს, როდესაც ბანკს შენობა გადაეცა, ლარის კურსი უკვე შეცვლილი იყო. ეროვნულ ბანკს ამ შენობის გადაცემით აუნაზღაურდა არა 1 მილიონ-ნახევარი, არამედ 930.000 დოლარი. ამდენად, ვალი კიდევ დარჩა.

**— სხვა სართულებსაც აიღებთ ვალში?**

— არა, ამჯერად უძრავ ქონებაზე არ არის საუბარი. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას ვერ იხდის. მიღებული ქონება კი 9 თებერვალს აღებულ იქნა ბალანსზე და ტექნიურომ დაამტკიცა, როგორც ეროვნული ბანკის საკუთრება.

**— რა აუცილებლობა იყო, რომ სპეცდანიშნულების რაზმის დახმარებით შეხვედით? წინააღმდეგობის განწევას აპირებდნენ?**

— უკვე შარშან შევატყვევთ, რომ მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდოდა. პარალელურად, ვეძებდით მყიდველს, რომელიც რეალურად გადაიხდიდა ამ თანხას. ეროვნული ბანკის ორგანული კანონის 72-ე მუხლის „გ“ პუნქტით გვევალება ჩადებული უძრავი ქონების რეალიზაცია, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა. ზედა სართულები ძნელად იყიდება.

**— ახლა გამოჩნდა?**



ნაირა ხუციშვილი

— ჯერ არა. საუკეთესო ვარიანტია, ვინმემ იყიდოს, რათა ვალი დაიფაროს.

**— „ცეკავშირში“ ამბობენ, რომ მთლიანად გსურთ შენობის ნაღება...**

— შეტანილია სარჩელი — ვითხოვთ ძირითადი თანხის გადახდას. პროცენტის დარიცხვა შეჩერდა, რადგან აზრი არ ჰქონდა, ვერ ფარავდნენ. დასაფარი აქვთ დარჩენილ პროცენტზე საურავი — 700 ათასი. ასევე დასაფარავი აქვთ სასამართლოს სააღსრულებო ხარჯები, რომელიც ეროვნულმა ბანკმა გასწია — დაახლოებით 100 ათასი ლარი.

**— ამ პროცესში საქართველოს პრეზიდენტისაგან თუ იყო რაიმე თხოვნა, ან თუ გრძნობდით ზენოლას?**

— არა. „ცეკავშირისაგან“ მიღებული რამდენიმე წერილი გადმოგვეგზავნა, რომელსაც ეწერა პრეზიდენტის რეზოლუცია: „განიხილეთ კანონის ფარგლებში“. წელიწად-ნახევარია, ამ საქმით ვარ დაკავებული და ჩემთვის ხელი არავის შეუშლია.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, რამდენი შემოსავალი აქვს „ცეკავშირს“ და რატომ ვერ გადაიხდა ვალი. 1999 წლის მონაცემებით, ბიუჯეტში, მთელი სამომხმარებლო სისტემის მიხედვით, „ცეკავშირმა“ 2.079.000 ლარი შეიტანა. ბატონი ქათამაძე კი სხვა ციფრს ასახელებს. გამგეობის სამეურნეო სამსახურის უფროსი, რომან ლულუნიშვილი, თავს არიდებს პასუხს, რა შემოსავალი მოაქვს „ცეკავშირისთვის“ ფართობის გაქირავებას.

რა თქმა უნდა, ჩვენ არც სასამართლო ვართ და არც რაიმე მაკონტროლებელი ორგანო, მაგრამ ერთ-ერთი წყაროს ცნობით დავადგინეთ, რომ ამჟამად ბანკისგან წაღებული მე-6 სართულიდან „ცეკავშირში“ წელიწადში 46.980 დოლარი შედიოდა. ამ სართულზე 12 ფირმა იყო განთავსებული. მე-7 სართული 5 ფირმას ეკავა. ერთ-ერთის წარმომადგენელმა, რომელსაც შემთხვევით, გადაპარგების დროს ვეწვიეთ, გაღიზიანებულმა გვითხრა: „არაფერსაც არ ვიხდიდი — გოგი ქათამაძე ჩემი ძმაა, ცუდი არაფერი დაწეროთ!“

რალა თქმა უნდა, უფრო მეტს იხდიან დაბალ სართულზე განთავსებული ფირმები და ორგანიზაციები. მაგრამ აქაც „ძმური“ და „ახლობლური“ განწყობა სუფევს. საუცხოო „დაცვა“ იპოვა „ცეკავშირმა“ შენობის მარჯვენა ფლიველის გაქირავე-

ბით: აქ 2000 კვმ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს დაკავებული, რომელსაც პრეზიდენტის მუდმივ ქალბატონი ნანული ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობს. „ევრომარკეტის“ ფართობი იჯარით არის აღებული და, როგორც გვითხრეს, ნაკლებს იხდის, რადგან სარემონტო სამუშაო აქვს ჩასატარებელი. „ბოროტი ნები“ იმასაც ამბობენ, რომ „ცეკავშირის“ შენობის მარჯვენა მხარე მთლიანად პრივატიზებულია.

ეს, რაც შეეხება სათავო ოფისის ფართის გაქირავებას, მაგრამ მთლიანად საქართველოში 62 რეგიონული და რაიონული კოოპერაციული ორგანიზაციაა, რომლებიც დამფუძნებლის სტატუსით მოქმედებენ და მოგების ნაწილს (ამბობენ — 20%-ს) სათავო ოფისს უგზავნიან. „ცეკავშირს“ დაფუძნებული აქვს აგრეთვე 10 სააქციო საზოგადოება და 40 შპს. ბოლო წლებში გაყიდული ობიექტებიდან 25%-იც სათავო ოფისს ერგება.

ქალბატონი ნაირა ხუციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოცენტი, „ცეკავშირის“ საბჭოს წევრი, მეპაიე და გოგი ქათამაძის მთავარი ოპონენტი ამბობს:

— რაც ქათამაძე ამ სისტემაში მოვიდა, 1502 მხოლოდ სავაჭრო ობიექტია გაყიდული. დადგენილებებში წერია, რომ ობიექტები — როგორც ჩვენი სისტემისთვის გამოუყენებელი — ვალის დაფარვის მიზნით იყიდება. სინამდვილეში, მნიშვნელოვანი, საუკეთესო ობიექტები იყიდება ჩალის ფასად. გაყიდულიდან კი კრედიტი არაა დაფარული. იგივე ვალი გვაწვეს და ამიტომაც შემოვიდა აქ ეროვნული ბანკი.

კადრებისა და სასწავლო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი ვასილ ფერაძე დასძენს:

— სახელმწიფოს ხომ უნდა გადაუხადონ ბეგარა? ვითომ უხდიან და აქაც ატყუებენ. ვთქვათ, აჩვენებენ 2 ოთახს და აქირავებენ 10-ს. ჩვენ კი ვიცით, რაც ტრიალებს აქ, მაგრამ...

რა თქმა უნდა, „ცეკავშირის“ თანამშრომლებმა ბევრი რამ იციან, მაგრამ ცოტას ამხელენ — ფრთხილობენ. თითქოს სურთ, რომ „ცეკავშირი“ არ დაინგრეს, მაგრამ ამდენწლიანი დუმილით და ახლა ნახევრად თქმული სიტყვით უფრო ართულებენ „ცეკავშირს“ და მის გარეთ არსებულ სიტუაციას.



# „კლანი – არაყი, კლანი – არაყი – ეგეს სანატრელია...“

გელა შვარიძე

მათ ყველა იცნობს, თვალებზე ჩამოფხატული ქუდით, ყურებადღე აწეული ქურთუკის საყელოთი, ჯიბეებში ხელეჩაწყობილი დილიდან-საღამომდე ეზოს ერთ, ამოჩემებულ ადგილზე ღვანან, ირგვლივ კი ასფალტი შხესუშხირის ჩენჩოებით, ფურთხითა და „ბიჩოკებითა“ აჭრელელებული. მათ უბნის ბიჭვად ან უბრალოდ „ბირჟაკივბად“ მოიხსენიებენ.

საზოგადოებრივი აზრი მათ შესახებ ორად იყოფა: ერთნი უსაქმურ და უცოდინარ ახალგაზრდებად, დამნაშავეთა სამყაროს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ და ცდილობენ, მათგან თავი შორს დაიჭირონ, მეორე ნაწილი კი ეზო-უბანში „წესრიგის დაცვას“ „ბირჟას“ უმაღლის და ეზო მის გარეშე ვერც წარმოუდენია. ასეა თუ ისე, „ბირჟის“ ცხოვრებაში გასარკვევად მხოლოდ ფანჯრიდან დანახული არ კმარა და პასტა-ფურცლითა და დიქტოფონით შეიარაღებული, ჩემი სახლის სადარბაზოში დაბინავებულ „სასტავს“ მივადექი:

– ბიჭებო, თქვენზე სტატუსას ვაკეთებ და უნდა მომეხმაროთ.

ბიჭებისთვის ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ერთბაშად ყველა გაჩუქდა და მე მომაშტერდა.

– შენ რა, ღადაობ, თუ მართლა? – მკითხა ცოტა ხნის შემდეგ „ბირჟის“ ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა, გიომ და გამოძვლელად ამათავალიერ-ჩამათავალიერა.

– ოო, ინტერვიუ თუ გინდა, მაღარჩი

უნდა იკისრო, აბა, ისე სად არი, ძმაო?! – წამომეჭვიმა აჩიკო და ბიჭებს ამაყად გადახედა – შენ კაი „პონტი“ იკისრე და, თუ გინდა, ღამის „კურიერში“ „ვიბაზრებ“.

„ბირჟა“ ახარხარდა. მივხვდი, რომ ავტორიტეტი. ცოცხალი რეპორტაჟი ასე არ გამოივიდოდა და საუბრის თემის შეცვლა ვცადე, მაგრამ ამოდ – ჩემი სიტყვები საღაზღანდაროდ მთელი სათი ეყოთ.

... ერთი შეხედვით, „ბირჟის“ ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენია – ღვანარ მთელი დღე და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებ, თუმცა ეს მცდარი აზრია და ყველა დამეთანხმება, ვისაც ბირჟა ერთხელ მაინც „გაუმარგობა“: უპირველეს ყოვლისა, აქ იმდენ ჭრელ-ჭრელ ამბავს შეიტყობ – ნებისმიერ საინფორმაციო სააგენტოს შემუშრდება. „ბირჟაზე“ ლაპარაკობენ ყველაზე და ყველაფერზე – საეჭვო ყოფაქცევის მეზობელი გოგონებით დაწყებული – ნულოვანი ვარიანტის რატიფიკაციის შედეგებით დამთავრებული. ასე რომ, „ბირჟაზე“ არ მოიწყენ...

– გამარჯობათ, ახალგაზრდებო. ლიფტი თუ მუშაობს? – კითხულობს ჩანთებით ხელდამხმებული ქალბატონი, რომელიც 18-20 წლის გოგონასთან ერთად სადარბაზოში შემოვიდა.

– შუქი წოდან მოვიდა და ისევ ჩაქრა, – ისმის პასუხი.

– ყველგან დენია, მაინცდამაინც აქ არ არის, რა უბედურებაა?! – ბუზუნებს ქალბატონი და ერთ ჩანთას გოგონას აწვდის.

– მიდი, ბიჭო, მიხმარე, შენი მეზობელი

არაა? – ჩასჩურჩულებს გიო „ბირჟის“ ყველაზე პატარა წევრს.

დარცხენილი ბიჩოკა ქალბატონს ჩანთას გამოსტაცებს და კიბეზე ადის.

– ახალი მეზობელია არა? – კითხულობს მასო, თითქოს არ იცოდეს.

– ხო კარგი გოგონა? ცოტა კი ფეხები „უტეხავს“, – ბრძნულად დაასკვნის ელო, – მარა მკერდი სუპერი აქვს.

... ბირჟაზე ყველაზე მეტად, სიგარეტის დეფიციტია. გამვლელ-გამომვლელისთვის სიგარეტის თხოვნა უკვე ჩვეულებაა. თითო ღერს კი, ჩვეულებრივ, ორი-სამი კაცი ეწევა.

– ნახეთ, ნახეთ, ვინ „გაიჩითა“! – ხელს იშვერს აჩიკო „ბირჟისკენ“ მომავალ ქურთუკოზე. – გუშინწინ ბინოკლი მთხოვა და ორი დღეა „ბალკონზე“ დგას. ნახეთ. თვალები რას უგავს...

ახალმოსული კურო უმაღ ბიჭების ცენტრში მოხვდა.

– ჰა, კარგია ბინოკლით ფანჯრებში ქალების „ჩითვა“?

კურო ამოდ ცდილობს, კითხვები აირიდოს. სულ ცოტა, ნახევარი საათი „ბირჟის“ „პროგრამაში“ იქნება, მაგრამ ბედად „სასტავს“ კიდევ ერთი – კორჟიკა (ნამდვილ სახელს მამამისიც კი არ ეძახის) შეემატა. კურო და მისი ღურბინდი ყველას ავიწყდება.

– ვაა, გვეშველა! სად ხარ აქამდე? – კორჟიკას ბიჭები მორიგეობით ეხვევიან.

– შენ ხელცარიელი არ იქნები, – ყველას მაგივრად „ასკვნის“ გია და თან ეშმაკურად უღიძის.

– „კანეშა“, ოღონდ მე არ მომიწევია. ამბობენ, მაგარიო. „ქეშა“ მომცა, – ჯიბეზე ხელს ირტყამს კორჟიკა.

კორჟიკა და გიო ხელგადახვეულები ბირჟიდან გადიან: – ძაღვ მოვალთ, არ დაიშალოთ!

... ბირჟაზე „კაიფის“ დღეები იშვიათია, მით უმეტეს ზამთარ-გაზაფხულზე: ამ დროს არცის სეზონი ეწოდება, თუმცა, ზშირად ესეც სანატრელია, რადგან ბიჭებს კარგა ხანია, ახლომდებარე ჯიხურებში ვალების გამო აღარ მიესვლებათ.

– ვასო როგორ დაიკარგა, არა? უეჭველია, ტოტალიზატორში მაყუთი გაარტყა, – აღმოხდა ელოს.

– ჰო. ლიგაზე 5 ლარი „გაუმაზია“. რომ ჰკითხო, ფული არა აქვს – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა მასოს, რომ უცებ სახე ეცვალა: – ძაღვები!

... „ბირჟაზე“ ყველაზე ძალიან კრემისფერი 07-ის სტუმრობა არ უყვართ. მართალია, „ფაქტი“ არ ღვანან და ამიტომ, არც დაჭერის ემინიათ, მაგრამ პოლ-

იციელებთან პატიოსნებაზე საუბარი და ჯიბეების ტრიალი მათთვის ერთობ უსიამოვნო პროცედურაა.

— სუნზე მოდიან, რა. კიდევე კარგი, გიო და კორჟიკა მალე „აითენენ“ — თვალე-ბგაფართოებული ამბობს ელო და მე მომ-მართავს: — აი, ძმაო, ინტერვიუ რომ გინდა და ჟურნალისტობ, ამითზე დაწერე. იმ დღეს სულ ტყუილად „აგვადგენ“ მე და ვასო. განა რა, არაფერი, მაგრამ „ტეხავს“, ტო. ლამის ყოველდღე მაჩერებენ და ვენებს მისინჯავენ. უკვე მეზობლებსაც მრცხვენია, ხალხს მორფინისტი ვვინიფარ, აუ, მართლა, პრესის „ქსიკა“ გამიჩითე, რა, ამბობენ მაგრა ჭრისო, ტო...

— შეჩემა — შენ პრესის „ქსიკა“ კი არა, კისერზე თარგამადის სურათი რომ ჩამოიკიდო, მანც დაგიჭერენ — რეციდივისტის „როჟა“ გაქვს, — ასარხარდა აჩიკო.

სადარბაზოს კიბეზე ხმამალალი ლაპარაკითა და სიცილ-კისკისით გოგონები ჩამოდიან.

— ქურდებს სიცოცხლე! — არტისტულად ესალმებიან „ბირჟას“ გოგონები და ნაბიჯს ანელებენ.

— ქურდებს გაჩვენებ მე შენ, სად არის წაგებული ტორტი?

— ტორტი კი არა — ტორტები! — შეუსწორა აჩიკოს ელომ და ერთ-ერთს ხელი გადახვია:

— აი დღეს კაი „პონტი“ გვაქვს და სალამოზე შენთანაც ამოვალთ. სასმელს ჩვენ დავითრევთ, თქვენ ტორტი გამოაცხვეთ, თორემ ხომ იცი, „ფუფლო“ ჭრელია. კაიფი, ტორტი, დანსინგი და კარგი სიტუაცია...

— მეტი საქმე არ მაქვს, თქვენს „დაბოლილ როჟებს“ ვუყურო, — თავი დაიფასა ნინომ და აჩიკოს მიუბრუნდა: — შენც უნდა მოწიო? ჯერ სულ ლენჩი ხარ.

გოგონები „ბირჟას“ სიცილით გამორდნენ და თან ელოც გაიყოლეს.

— ვა, ნახე, ელო ნინოს რა მაგრად „ჩაღლიჩება“, მე მგონი, დააბა, არა? — კითხულობს ცნობისმოყვარე კურო.

— დააბა, თორემ ეგეც მყავს რა, შერონ სტოუნინ!.. — აიმრიზა აჩიკო.

— მეტი რა გინდა. ყველაფერი თავის ადგილზე აქვს — ფეხი, თუბო, მკერდი. სახეზეც „პრიატინა“. თუ შეაბა, ალალია...

— ნწუ. შეხედე რა „პახოდაკა“ აქვს. მაგაზე სექსუალურად ბებიაშენი დადის, მაგას თავის დაქალი ეკა სჯობს, აი ის ნაღდად კარგი გოგოა. ხო, მართლა, შენ ღურბინდი მაგის ფანჯრებში არ გაგაქცეს, თორემ დაგერხვია...

აჩიკოს სიტყვებს სიცილი მოჰყვა. მიმშლიმა თავი შემახსენა და სახლში

დაბრუნება ვარჩიე. შინისაკენ მიმავალს აჩიკოც დამემზავრა, 9 სართული ერთად ასავლელი გვექონდა, დრო ვიხელთე — ჯიბეში დიქტოფონის ლილაქს თითი დავაჭირე და ვითომ უბრალოდ, ჩემთვის ამოვიხვინე:

— ეჰ, მანც რა უაზროა, არა, ჩვენი ცხოვრება?

— უაზროა, აბა რაა. ყელშია ერთი და იგივე ამოსული. პლანი — არაყი, პლანი — არაყი, პლანი — არაყი — ეგეც სანატრელია. თავი მეზიზღება — სიგარეტის ფული არ მაქვს. მოსაპარიც აღარაფერია, მშიერს რა უნდა მოჰპარო, მდიდარი კიდევე, ჩემზე კარგად იცი, რასაც მოგაპარინებს. ერთი ვარიანტია — წახვიდე აქედან, სადმე ნორმალურ ქვეყანაში და ადამიანს დაემსგავსო, მაგრამ მაგასაც ფული უნდა. არადა, რა, ერთი 300 ლარიანი სამსახური — ცოლს მოიფანს კაცი, მამა „გაჩიითები“ (ელიმბა). ცოტას შშობლებიც დაგეხმარებიან, ცოტა ეს, ცოტა ის და უკვე კაცი ხარ, ტო. შაბათ-კვირას ბავშვს გაასეირნებ, ცოტას ხანდახან „იკაიფებ“, ცოლს 8 მარტს ყვავილებს აჩუქებ და ასე — შენს ცხოვრებას აზრი ექნება...

ის იყო, ჩემს კარს მივადექი და გამო-სამშვიდობებელი სიტყვები მოვიმარავე, რომ აჩიკომ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილულულა:

— ჰო, მართლა, შენთან ერთი პატარა თხოვნა მაქვს. წელან რომ ვახსენე, ეკა, ნინოს დაქალი-მეთქი, გვერდზე „პადიეზდში“ ცხოვრობს, რა... „ეკარჩე“, ეგ გოგო ისეთ „პონტში“, მევასება რა, ხო აზრზე ხარ, და, ბიჭო, დღეს დაბადების დღე აქვს. მინდა, რა, მიფულოცო, „გაუსწორდება“. იქნებ, ერთი 30 ლარი მასესხო კვირის ბოლომდე. „მაყუთს“ დღეს ველოდებოდი, მაგრამ „გამემაზა“, კვირის ბოლომდე უჭველი გავსწორდებით...

თავზარი დამეცა. ძალიან მინდოდა, დავხმარებოდი, მაგრამ ჯიბეში 2-3 ლარის მეტი არ „მიჩხრალებდა“, სახლში ჩემებიც არ დამხვდნენ და ერთობ ცუდ დღეში აღმოვჩნდი. აჩიკომ აქეთ მანუგემა — არა უშავს, რამე გამოჩნდებო, დამემშვიდობა და კიბეს აუყვა.

უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო, ეზოში სიგარეტის საყიდლად რომ ჩავედი. ის იყო, ვიხურს მიეუასლოვდი, რომ სადარბაზოში წყვილი შემოვდა. ბნელოდა, მაგრამ ეკა ვიცანი — დიდი თაივულით ხელში.

შინ მიბრუნებულს, კიბეზე აჩიკო შემეფეთა. მომაშტერდა, მაგრამ ვერ მიცნო. უგონო „კაიფში“ იყო, კორჟიკას ბინიდან ყურისწამლები ხარხარი ისმოდა...

# ბესტი ერუდიციაზე

1. რომელ მოქანდაკის ეკუთვნის თბილისში მდებარი პანთანოვ გორბასლის ძეგლი?



- ა) ელგუჯა ამაშუკელს;
- ბ) მერაბ ბერძენიშვილს;
- გ) ზურაბ წერეთელს.

2. მხატვრული ფილმის — „არაჩვეულებრივი გამოფენის“ რეჟისორია:



- ა) ელდარ შენგელაია;
- ბ) გიორგი შენგელაია;
- გ) ირაკლი კვირიკაძე.

3. ვინ არის თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის შემამხელი?



- ა) პეტრე პირველი;
- ბ) მიხაილ ლომონოსოვი;
- გ) ალექსანდრ პუშკინი.

4. რა ჰქვია უნგრეთის ფულის ერთეულს?



- ა) რუბლი;
- ბ) ფორინტი;
- გ) პულა.



# ექვს ჩაბიძარს განლიზოიოსთვის ასაპართლეან

## ერთ მათგანს 7 წლის ბავშვის მკვლელობაც ედება ბრალად

### მეზი სანავა

1998 წელს მოსახლეობაში ხმა გავრცელდა, რომ ბოლნისის რაიონში საშიში ბანდიტური ჯგუფი დააკავეს. ეს ინფორმაცია დადასტურდა კიდევ და ამ ფაქტს მაშინ ადგილობრივი შს სამმართველო დიდ გამარჯვებად მიიჩნევდა. ექვსკაციანი ჯგუფი, რომელიც სამართალდამცავთა თქმით, ქ. ბოლნისისა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს გამუდმებით აწიოკებდა, მარცვაკდა და აყაჩაღებდა, ამჟამად უზენაესი სასამართლოსგან ელის განაჩენს. განსასჯელები თავს საშიშ ბანდიტებად არ თვლიან, უფრო მეტიც, ისინი პროკურატურის მიერ წაყენებული საბრალდებო მუხლებიდან უმეტესობას არ ეთანხმებიან და ირწმუნებიან, რომ ბევრ კრიმინალურ ქმედებაში გამოძიებლებმა ისინი თვითნებურად დაადანაშაულეს.

ზაზა დაშნიანს, გახო ცხოპარიას, ნუკრი ქუქჩიშვილს, ირაკლი ჟორჟოლიანს, ტრისტან მარაძესა და ზურაბ აფრასიძეს პროკურატურა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით განხორციელებულ ქურდობასა და ყაჩაღობაში ადანაშაულებს. მათგან დაშნიანსა და ცხოპარიას არაერთ თავდასხმაში ედებათ ბრალი. ისინი წაყენებულ მუხლებში თავს ნაწილობრივ ცნობენ დამნაშავედ. რაც შეეხება აფრასიძეს, მარაძეს, ჟორჟოლიანსა და ქუქჩიშვილს, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მათ დანაშაული აღიარეს, თუმცა ზურაბ აფრასიძის ადვოკატი აღნიშ-

ნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დამნაშავე არ არის.

### გიული ჩოხელი, განსასჯელ ზურაბ აფრასიძის ადვოკატი:

„მართალია, აფრასიძემ წინასწარ გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა, მაგრამ ეს მისი დაკავების დროს მოხდა, როდესაც პოლიციელები მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებდნენ. დღეს ეს განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც გამოძიებას აქვს მის წინააღმდეგ სათანადო მტკიცებულება. საქმის მასალებში არ არსებობს ისეთი მოწმის ჩვენება, რომელიც თავდამსხმელთა იარაღზე მიუთითებს, არც მუქარაზე ლაპარაკობს ვინმე და არც დაშნიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ რაიმე ზიანზე. ამდენად, ის მუხლები, რომლებიც პროკურატურამ აფრასიძეს შეუფარდა, უმართებულოა. აღიარებითი ჩვენება ერთადერთი მტკიცებულება არ არის და ის საკმარისი არ უნდა ყოფილიყო სამართალდამცავთათვის ასეთი დასკვნის გასაკეთებლად“.

განსასჯელები უზენაეს სასამართლოს ჯერ არ დაუკითხავს. ისინი თვითნებურად სიტყვას მოწმეთა ხელახალი ჩვენებების შემდეგ იტყვიან. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მათგან ყველაზე მძიმე დანაშაული 1977 წელს დაბადებულ ზაზა დაშნიანს მიუძღვის. პროკურატურამ მას 10 სხვადასხვა ბრალდება წაუყენა, მათ შორის ორი განზრახ მკვლელობა.

1998 წლის 12 ივნისს, ქ. ბოლნისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ზაზა დაშნიანის სახლის სარდაფში მიწაში ჩაფლული ბავშვის გვამი იპოვეს. იგი 1993 წლის 12 აპრილს უგზო-უკვლოდ დაკარგული, დაშნიანის მეზობელი, 7 წლის, ეროვნებით ბერძენი, ანასტასი არკადის ძე დიმიოვი აღმოჩნდა.

გამოძიების მასალების მიხედვით, იმ დღეს 16 წლის ზაზა დაშნიანი სახლში მარტო იყო. დაახლოებით 16.00 საათზე იგი მეორე სართულზე, ოთახში იჯდა და ფანჯრიდან იყურებოდა. ეზოდან დაძახების ხმა მოესმა და აივანზე გავიდა, მან სამზარეულოს სასურავზე მღვარი ანასტასი დაინახა. ბავშვმა სთხოვა, რომ მიხმარებოდა და აივანზე ხელით აეყვანა, რადგან სახლს მეორე სართულზე ასასვლელი კიბე არ ჰქონდა, თვითონ კი ვერ ავიდოდა. დაშნიანმა მას თხოვნა შეუსრულა, თავად კი კვლავ ოთახში შევიდა და ფანჯარასთან დაჯდა. ანასტასიმ გადაჭრილი პატარა ხის ფიცრებით დაიწყო თამაში, თან დაშნიანს უხმობდა – ჩემთან ერთად შენც ითამაშეო, ის კი უარს ეუბნებოდა. თხოვნით რომ ვერაფერს ვახდა, ზაზას ფიცრების სროლა დაუწყო. ეს უკანასკნელი გაბრაზდა და ბიჭს დაედევნა, რომელიც მისი ფეხზე წამოდგომისთანავე გარეთ გაიქცა. დაშნიანმა იგი აივანზე დაიჭირა და გადაწყვიტა ეცემა, რათა მისთვის ჭკუა ესწავლებინა. მან ბავშვს სახეში ხელი გაარტყა. კიდევ მდგომი ანასტასი წაბარბაცდა, აივანიდან გადავარდა და ასფალტზე თავით დაეცა. დაშნიანმა ძირს დავარდნილ ბავშვს დახედა და დაინახა, ბიჭს თავიდან სისხლი მოსდიოდა, აღარ სუნთქავდა. დაშნიანს შეეშინდა, იფიქრა, რომ ბავშვის სიკვდილს მას დააბრალდებდნენ და დანაშაულის დაფარვის მიზნით, თავისი სახლის სარდაფში დამარხა. რამდენიმე დღის შემდეგ კი იმ ადგილას ასფალტიც დაავო.

ანასტასი დიმიოვი ყველას უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონა. ბიჭის პოვნის იმედი მისმა მშობლებმაც დაკარგეს, მათ საქართველო საძუძომოდ დატოვეს და საცხოვრებლად საბერძნეთში წავიდნენ. ზაზა დაშნიანმა მომხდარი მხოლოდ თავის დედას – დარეჯან დაშნიანს გაანდო. ისინი ამ საიდუმლოს 5 წლის მანძილზე ინახავდნენ. პოლიციამ დაშნიანი 1998 წლის 8 ივნისს, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვის ფაქტზე

დააკავა. მას ბრალად ყაჩაღური თავდასხმებიც ედება, ანასტასი დიმოვეის გვაში კი სამართალდამცავებმა დაშინების სახლის ჩხრეკისას, სარდაფში მისივე მითითებით იპოვეს. მომხდარის გამო, პროკურატურამ იგი განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა.

თავად დაშინანი თავს დამნაშავედ არ ცნობს. მართალია, მან წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ პირველ ჩვენებაში აღნიშნა, რომ დიმოვეს ხელი გაართვა, რის შედეგადაც იგი წაბარბაცდა, მაგრამ შემდეგ თავისი ვერსია შეცვალა და აღნიშნა, რომ ბავშვი აივნიდან თვითონ გადავარდა, ის კი მასთან ახლოს არც მისულა. დაშინანის თქმით, პირველი ჩვენება მას პოლიციელებმა ძალით დააწერინეს.

**ირაკლი ქართველიშვილი**, განსასჯელი ზაზა დაშინანის ადვოკატი:

„წინასწარი გამოძიებისას სამართალდამცავებმა დაშინანის უფლებები უხეშად დაარღვიეს. ბოლნისის რაიონის პოლიციის უფროსმა გიორგი მეტრეველმა 1998 წელს პრესის მეშვეობით საჯაროდ განაცხადა, თითქოს, ზაზა დაშინანმა მცირეწლოვანი ბავშვი ჯერ გააუპატიურა და მერე მოკლა. ამის დამამტკიცებელი საბუთი საქმის მასალებში არ არსებობს. ისიც აღსანიშნავია, რომ დიმოვეის გვაშზე სრულყოფილი ექსპერტიზა ვერ ჩატარდა, რადგან ბავშვის მხოლოდ ძვლები იყო დარჩენილი და აქედან გამომდინარე, სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელი გახლდათ. ექსპერტები მხოლოდ იმას მიუთითებენ, რომ დიმოვემა თავის ქალაზე მრავალფრანგულ ტოვანი მოტენილობა მიიღო, რაც სიცოცხლისათვის საშიშროა, მძიმე დაზიანებას განეკუთვნება. პოლიციის უფროსს იმ განცხადების რეალური საფუძველი არ გააჩნდა და ჩემთვის გაუგებარია, რატომ თქვა მან ეს. რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ თავად იცის მეტრეველმა, რაშიც აწყობდა მას ასეთი ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ჩემი ვარაუდით, მისი მიზანი, უბრალოდ, თვითრეკლამა იყო.

ფაქტის თვითმხილველი არ არსებობს. ერთადერთი, დაშინანი გახლავთ, ვინც ჰყვება, თუ როგორ მოხდა ყველაფერი. მას განზრახ მკვლელობა არ ჩაუდენია და პროკურატურას მის მიმართ მუხლი არასწორად აქვს დაკვალფიცირებული. რაც შეეხება, გარდაცვლილის მალულად დამარხვის ფაქტს – ეს ქმედება ჩვენი კანონმდებლობით

დასჯადი არ არის, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლი, უბრალოდ, არ არსებობს“.

ბოლნისის რაიონის შს სამმართველოს უფროსი გიორგი მეტრეველი სასამართლოს არ დაუკითხავს. განსასჯელის ადვოკატების თქმით, მათ არაერთხელ მიმართეს მოსამართლეს შუამდგომლობით, სადაც მეტრეველის დაკითხვას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

**ირაკლი ქართველიშვილი:**

„გარდა იმისა, რომ ზაზა დაშინანის მიმართ დაირღვა მთელ მსოფლიოში დაწესებული სამართლის ნორმა – უდანაშაულობის პრეზუმფცია, სამართალდამცავები მის დედას – დარეჯან დაშინანსაც ასევე მოექცნენ და იგი, სრულიად უკანონოდ, 10 დღის მანძილზე იზოლატორში გამოკეტეს, იმ მიზნით, რათა შვილის საწინააღმდეგო ჩვენება დაეწერა“.

განსასჯელის დედა მომხდარის შესახებ სასამართლოს მომავალ კვირაში მოახსენებს. რაც შეეხება მეორე მკვლელობას, რომელშიც პროკურატურა ზაზა დაშინანს ადანაშაულებს – ის 1998 წელს მოხდა. 14 თებერვალს დაშინანი სოფ. რატევიდან ქ. ბოლნისისკენ ფეხით მოდიოდა. იგი წყლის დასაღებად შპს „კონტაქტის“ ტერიტორიაზე შევიდა. ბენზინგასამართი სადგურის გვერდით, ონკანთან ამავე სადგურის ოპერატორი, სოფ. რატევის მკვიდრი რიჩარდ გუნაშოვი იდგა. საქმის მასალების მიხედვით, მან ყოვლად უშიშვოდ, ონკანის დაკეტვისთვის დაშინანს კამათი დაუწყო. გაცხარებული გუნაშოვი ვინებაზე გადავიდა, დაშინანს დედა შეაგინა და სახეში ხელიც კი გაართვა. სამართალდამცავთა გადმოცემით, შეურაცხყოფილი დაშინანი სახლში იმ მიზნით წამოვიდა, რომ გუნაშოვზე შური ეძია და მისთვის ასეთი დამცირება არ ეპატიებინა. მან გადამალული ავტომატი აიღო და დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის აღნიშნული ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ჯიხურის ფანჯრის მიწაზე დააკაკუნა. წამოწოლილი გუნაშოვი წამოდგა, დაშინანმა მას ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, თუმცა პასუხად კვლავ ვინება მიიღო. „მან ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა, კიდევ ერთხელ გაიმეორა მოთხოვნა, გუნაშოვ-

მა კი ისევ შეაგინა. მაშინ დაშინანი რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა მას, მკვლელობის განზრახვით სამჯერ ესროლა გუნაშოვს და მიიძალა“ – წერია საბრალდებო დასკვნაში.

რიჩარდ გუნაშოვს ტყვეები მარჯვენა და მარცხენა ბარძაყში მოხვდა. იგი საავადმყოფოში მიიყვანეს, თუმცა იქ აღმოჩენილი დაზარალების მიუხედავად, ჭარბი სისხლდენის გამო გარდაიცვალა. პროკურატურამ ამ დანაშაულისთვის ზაზა დაშინანს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლი წაუყენა.

**ირაკლი ქართველიშვილი:**

„დაშინანმა ეს მკვლელობა გაუფრთხილებლობით ჩაიდინა და გამოძიებას მისთვის მუხლიც შესაბამისი უნდა წაეყენებინა. აღნიშნულ ბრალდებაში ფაბულაც არ ამართლებს, რადგან სისასტიკე სხვა რამეს ნიშნავს. თუკი ვინმე ადამიანის მიმართულებით ისვრის იმ მიზნით, რომ ის დააშინოს, ეს სისასტიკე არაა, ხოლო თუკი იმ ადამიანს ტყვია მოხვდა – ეს გაუფრთხილებლობა გახლავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნაშოვი სასიკვდილოდ არ იყო დაჭრილი. იგი საავადმყოფოში გვიან მიიყვანეს, მისთვის დროული დახმარება რომ აღმოეჩინათ, ცოცხალი გადარჩებოდა“.

როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, განსასჯელთაგან ერთ-ერთმა – გახო ცხომარიამ დაშინანის მიერ ჩადენილი მკვლელობების შესახებ თავიდანვე იცოდა. ამიტომ პროკურატურამ მას ყაჩაღობის ვარდა, დანაშაულის დაფარვის გამოც წაუყენა ბრალი. დღეს ცხომარია ზემოთ აღნიშნული მკვლელობების შესახებ რაიმეს ცოდნას ვადაჭრით უარყოფს. იმ მიზეზით, რომ გამოძიების მასალების თანახმად, დაშინანმა ცხომარიასა და აფრასიძესთან ერთად არაერთი ყაჩაღური თავდასხმა, მალრადე, ჟორჟოლიანსა და ქუჭიშვილთან კი ერთი ქურდობა ჩაიდინა, მათი სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანდა და სასამართლოს მიერ ერთდროულად განიხილება. მალრადე, ჟორჟოლიანი და ქუჭიშვილი თავდებით ვათავისუფლებულები არიან. მოწმეთა სიაში 40-მდე ადამიანია, დაკითხულთაგან უმეტესობას განსასჯელთა მიმართ პრეტენზიები არ გააჩნია, რადგან, მათივე თქმით, მიყენებული ზარალი მათ უკვე აუნაზღაურეს.

# „დანა ჯერ ზურგში ჩამარტყა, მერე კისერიც გაემოჭრა...“



განსასჯელი  
ალექსი გოგალაძე



განსასჯელი  
იაგო ბლიაძე

## მეგობრები სასამართლოში დანაშაულს ერთმანეთს აბრალებენ

### მეზი სანავა

1999 წლის ივლისში ხაშურის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი იაგო ბლიაძე და პოლიციისგან ქურდობისათვის ძებნილი ალექსი გოგალაძე დააკავეს. მათ ახალი დანაშაული ჩაიდინეს, რის გამოც ოთხი დღის განმავლობაში ტყვეში იმალეობდნენ, თან გატაცებული ავტომანქანაც ჰყავდათ. სამართალდამცავები კვალზე სწორედ იმ მანქანის პატრონმა – ელისაშვილმა დააყენა.

საქმის მასალების მიხედვით, 1999 წლის 6 ივლისს ბიძინა ელისაშვილი, რომელიც ხაშურში საკუთარი ავტომანქანით ტაქსისტად მუშაობდა, ორმა ახალგაზრდამ გააჩერა და ხცისში წაყვანა სთხოვა. მალე მათ მესამე მეგობარიც შეუერთდა. გზაზე ერთ-ერთმა მათგანმა მძღოლს მოულოდნელად ზურგიდან ბეჭში დანა ჩაარტყა, მერე კი კისერი გამოჭრა. ბოროტმოქმედებმა ესეც არ იკმარეს და უკვე შეჩერებული მანქანიდან გარეთ გადმოსულმა ახალგაზრდამ ელისაშვილს მუცელში კიდევ ორი ჭრილობა მიაყენა. ბიჭებმა ტაქსის მძღოლი ძირს ჩამოაგდეს, თავად მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

ბიძინა ელისაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ იყო დაჭრილი, პოლიციელებამდე მანაც მიაღწია და მათ მომხდარის შესახებ აუწყა. სამართალდამცავებმა დანაშაულებიდან მხოლოდ ორი აიყვანეს, მესამე – ზურაბ კუზანოვი კი გაქცეული დახვდათ. პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ პოლიციამ ხაშურში

მცხოვრები გიორგი ყველიაშვილი და კახაბერ ლომიძეც დააკავა. სამართალდამცავები მათ, ელისაშვილის მანქანაში ასაფეთქებელი ნივთიერების ჩამონტაჟების ფაქტთან დაკავშირებით, ბლიაძისა და გოგალაძის თანამზრახველობაში ადანაშაულებენ. როგორც გაირკვა, დაჭრის დღიდან ერთი თვის შემდეგ, ბიძინა ელისაშვილის ავტომანქანაში, სავარძელზე მაგნიტით მიმაგრებული ასაფეთქებელი ნივთიერება იპოვეს, ეჭვი კი აღნიშნულ პირებზე მიიტანეს.

ამჟამად, ალექსი გოგალაძეს, იაგო ბლიაძეს, კახაბერ ლომიძესა და გიორგი ყველიაშვილს ერთად ასამართლებენ. მათგან გოგალაძესა და ბლიაძეს პროკურატურა განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოდ შექმნაში, შენახვა-გადაზიდვაში, ქურდობასა და ადამიანის პირადი ქონების დატაცებაში ადანაშაულებს.

**ბიძინა ელისაშვილი, დაზარალებული:**

„1999 წლის 6 ივლისს ჩემი მანქანით ავტოსადგომზე ვიდექი, ტაქსისტად ვმუშაობდი და ჩვეულებრივ, კლიენტს ველოდებოდი. ამ დროს ორი უცნობი ახალგაზრდა (როგორც შემდეგ გაირკვა, ალექსი გოგალაძე და ზურაბ კუზანოვი) მოვიდა, მითხრეს – ხცისში წაგვიყვანე, მანამდე კი პაპუაშვილის ქუჩაზე შევიაროთ, მეგობარიც უნდა წამოვიყვანოთ. თანხაზე არ მოვრიგებულვართ, ისე წავედით, იმ ქუჩაზეც შევიარეთ, სადაც მესამე პიროვნება (როგორც დადგინდა – იაგო ბლიაძე) ჩავვიჯდა. მას ხელში შავი პარკი ეჭირა. როდესაც ხცისის გადასახვევამდე მივედით, ბიჭებმა მანქანა გამაჩერებინეს, გოგალაძე და ბლიაძე

გადავიდნენ, კუზანოვი კი, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, მანქანაში დარჩა. ისეთი შთბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვიღაცას ელოდებოდნენ, თუმცა იქ არავინ იყო და არც ვინმე მისულა მათთან. ცოტა ხანში მობრუნდნენ და კვლავ მანქანაში ჩასხდნენ, მითხრეს – ისევ ხაშურში წავიდეთო. ავტომანქანების სავალ გზამდე 200 მეტრი იქნებოდა დარჩენილი, როცა ზურგში მარჯვენა მხარის არეში დარტყმა ვიგრძენი. მიგხვდი, საქმე რაშიც იყო და მანქანა მომენტალურად გავაჩერე. ჩემს უკან ბლიაძე იჯდა, როცა მოვტრიალდი, მის ხელში დიდი, ხანჯლის მაგვარი ნივთი დავინახე. მაშინ ვუთხარი სამივეს – ნუ მომკლავთ და აჰა, მანქანა წაიყვანეთ-მეთქი. ამ დროს ჩემ გვერდით მჯდომმა კუზანოვმა თმით დამითრია და თავი მარჯვნივ გადამიწია, გოგალაძემ კი, რომელიც მის უკან იჯდა, ხელი დამიკავა. სწორედ მაშინ, ბლიაძემ კისერში, მარცხენა მხარეს ხანჯალი გამომისვა... მერე მანქანიდან გადმოვიდა, კარი დაკეტილი იყო, თუმცა ღია ფანჯრიდან მუცელში დანა კიდევ ორჯერ ჩამარტყა. მე მაშინვე გონება დავკარგე. თვალი რომ გავახილე, მიწაზე ვეგდე. არ მახსოვს, მანქანიდან მე თვითონ ჩამოვედი თუ მათ გადმომაგდეს.

დაახლოებით 2-3 წუთში, გზაზე ავტობუსმა ჩამოიარა, მძღოლმა მიცნო და პოლიციაში მიმიყვანა. იქ თანამშრომლებს ყველაფერი ვუამბე, ისიც ვუთხარი, სულ ცოტა ხნის წინ აი, ასეთი მანქანით, ალბათ აქ ჩაიარეს-მეთქი. რა თქმა უნდა, უკან დაედევნენ, დანარჩენებმა კი საავადმყოფოსკენ წამიყვანეს. საავადმყოფოში მისვლამდე პოლიციას ის სახლი ვაჩვენე, საიდანაც იაგო ბლიაძე გამოვი-

და. სახლში ორი ქალბატონი დაგვხვდა, მათ ვუთხარი — აი, იმ ბიჭებმა ასეთ დღეში ჩამაგდეს, რომ დაბრუნდებიან, საავადმყოფოში მოვიდნენ, მომხელონ და მანქანაც დამიბრუნონ-მეთქი“.

დაზარალებულთან ერთად სასამართლო პროცესზე განსასჯელებიც დაჰკითხეს. ალექსი გოგალაძემ, რომელმაც წინასწარი გამოძიებისას დანაშაული აღიარა და თავის პირველ ჩვენებაში აღნიშნა, რომ ტაქსის მძღოლი დანით თვითონ დაჭრა, მოსამართლის წინაშე ყველაფერი უარყო. მისი თქმით, ბიძინა ელისაშვილს ჭრილობები იაგო ბლიაძემ მიაყენა.

**ალექსი გოგალაძე, განსასჯელი:**

„იმ დღეს ავტოსადგურზე ტაქსის მძღოლთან მე და ზურა კუხანოვი მართლაც მივედით და ხცისში წაყვანა ვთხოვეთ. პაპუაშვილის ქუჩაზე იაგოს გავუარეთ. სახლიდან რომ გამოვიდა მას ხელში შავი კი არა, მწვანე პარკი ეკავა, რომელშიც ორი ბოთლი არაყი იყო. ისიც ჩვენთან ერთად, მანქანაში ჩაჯდა და წავედით. ხცისში სხვებს უნდა შევხვედროდით, მაგრამ იქ არავინ დაგვხვდა. მათ სახელებს არ დავასახელებ, რადგან ამას მნიშვნელობა არა აქვს, იმ დღეს არ ვუნახივართ და ამ საქმესთან დაკავშირებით არც არაფერი იციან. მაშინ გადავწყვიტეთ, ხაშურში დავბრუნებულიყავით, რის შესახებაც მძღოლს ვუთხარი. გზაზე ელისაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენა, ამბობდა — აქეთ-იქით რას დამატარებთო და გინება დაგვიწყო. მოულოდნელად მან საიდანღაც ნაჯახი ამოიღო და მოგვიქნია. კუხანოვმა, რომელიც მის გვერდით იჯდა, თავის დახრა მოასწრო, ხოლო მე მძღოლისთვის ნაჯახიანი ხელის დაჭერა მოვახერხე. სწორედ ამ დროს გამოჭრა ბლიაძემ ყელი. დანა საიდან ამოიღო, ვერ შევამჩნიე. არც ის დამინახავს, მხარში როდის დაჭრა. იაგო მანქანიდან გადავიდა და ღია ფანჯრიდან ელისაშვილს მუცელშიც ჩაარტყა, მგონი ორჯერ...“

კარგად არ მახსოვს, მძღოლი გარეთ თვითონ გადავარდა თუ ჩვენ გადავაგდეთ. ბლიაძე საჭეს მიუჯდა და წავედით. რამდენიმე დღე ტყეში ვიმალეობდით...

მართალია, წინასწარი გამოძიების დროს, პირველ ჩვენებაში დავწერე, რომ დანა მე მქონდა და ელისაშვილიც მე დავჭერი, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. მაშინ ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ იაგო ბლიაძე ცოლიანი იყო, ოჯახი ჰყავდა და მინდოდა იგი პასუხისმგებლობისგან მეხსნა. რამდენიმე ხნის შემდეგ იაგომ

მითხრა — ცოლს გავშორდიო და მეც ჩვენების შეცვლა გადავწყვიტე, რადგან ტყუილის თქმას აზრი აღარ ჰქონდა“.

თუმცა, თავად იაგო ბლიაძე ცოლთან გაშორების ფაქტს უარყოფს და მთელ დანაშაულს ალექსი გოგალაძეს აბრალეებს.

**იაგო ბლიაძე, განსასჯელი:**

„ზურა კუხანოვი ჩემი დეიდაშვილია. იმ დღეს ის ქარელში უნდა წასულიყო. ჩემმა ცოლმა იგი ავტოსადგურამდე მიაცილა კიდეც. როცა დაბრუნდა, მითხრა — ზურა ავტობუსში ჩავსვი და ალბათ წავიდოდა, აღარ დაველოდეო. მე თავს ცუდად ვგრძნობდი, წამოწოლილი ვიყავი. ცოტა ხანში მეუღლემ მითხრა — ალექსია მოსული, შენი ნახვა უნდაო. ცოლს ჩემზე უთქვამს, შეუძლოდაო, მაგრამ ალექსი სახლში მაინც შემოვიდა, მთხოვა სადღაც გაყოლოდი, საქმე მაქვსო. სად მივდიოდით, არ უთქვამს, ოთახში ჩემი მეუღლეც იყო და ალბათ, მას მოერიდა. სახლიდან რომ გავედი, ხელში არაფერი მჭერია. მანქანაში ჩავსხედით და ჩემთვის მოულოდნელად, იქ კუხანოვიც დამხვდა. მითხრა — ქარელში აღარ წავედი, რადგან ალექსი შემხვდა და თან წამომიყვანაო. გზაში შევიტყვე, რომ ხცისში უნდა წავსულიყავით, სადაც ვიღაც გოგონები უნდა დაგვხვედროდნენ. ერთი სიტყვით, გასართობად მივდიოდით. რაც შეეხება ტაქსის მძღოლს, მას ვიცნობდი. თავადაც კარგად მიცნო, მომიკითხა კიდეც, გავიგე, ციხიდან ახლახან გამოსულხარ და როგორ ხარო. ხცისის გადასახვევთან მას მანქანა მართლაც გავაჩერებინეთ. მე და ალექსი გადმოვედით. სწორედ, მაშინ მითხრა გოგალაძემ — მანქანის ნაწილები მჭირდება, კლიენტები მყავს და ეს მძღოლი დავაყარაო. უარი ვუთხარი — რას ამბობ, ამ კაცს ვიცნობ, თვითონაც მომიკითხა და ასეთ რამეს ვერ გავუკეთებ-მეთქი. მანქანის გატაცების კატეგორიული წინააღმდეგი რომ ვიყავი, ალექსიმაც ხელი აიღო ამ განზრახვაზე. როცა ხაშურისკენ მოვდიოდით, მძღოლი ჩემკენ მოტრიალდა და ფულის გადახდა მთხოვა. ვაკბრაზდი, მე არ დამიქირავებხარ და ფულს მე რისთვის მთხოვ-მეთქი. მან კი პასუხად სამივეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენა, მერე ნაჯახიც მოგვიქნია. კუხანოვმა თავი დახარა, ხოლო ნაჯახიანი ხელი მძღოლს გოგალაძემ კი არა, მე დავუკავე, რადგან ზურას უკან ვიჯექი, ალექსი ელისაშვილის მხარეს იჯდა. მან მძღოლს ყელში დანა გამოუსვა. ის დანა ჩვეულებრივი,

პურის საჭრელი იყო. როგორც ჩანს, გოგალაძეს იგი ჩემი სახლიდან ჰქონდა წამოღებული. ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, ალექსი ძებნილი გახლდათ, რის გამოც ჩემთან ცხოვრობდა და ალბათ ის დანაც მაშინ აიღო. მანქანიდან როცა გადმოვედით, გოგალაძემ ელისაშვილს ცემა დაუწყო და მუცლის არეში კიდევ ორი ჭრილობა მიაყენა. მე საჭესთან დავჯექი, ისიც მანქანაში ჩაჯდა და სამივე ტყისკენ წავედით. პოლიციელებმა რომ დაგვაკავეს, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, შევიტყვე ასაფეთქებელი ნივთიერების პოვნის შესახებ. მართალია, ადრე სამხედრო ნაწილში ასეთი ნივთიერება ვიპოვე და სახლში ვინახავდი, მაგრამ იმ მანქანაში როგორ აღმოჩნდა, არ ვიცი“.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისა, გოგალაძეს და ბლიაძეს ერთმანეთთან ძველებურად შესანიშნავი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება აქვთ, რასაც პროცესებზე მათი საქციელი აშკარად მოწმობს. ამან კი ყველაზე ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს განსასჯელები ერთმანეთში წინასწარ შეთანხმდნენ, რათა სასამართლო ჩიხში შეეყვანათ.

**ლერი ღურჯიაი, ბლიაძის ადვოკატი:**

„წინასწარი შეთანხმება გამორიცხული არ არის, თუმცა ჯერ ვერაფერს ვიტყვით, რადგან განსასჯელთა, ისევე, როგორც დაზარალებულის ჩვენებებში, ბევრი უზუსტობაა, რასაც გარკვევა სჭირდება. ხოლო რაც შეეხება ასაფეთქებელი ნივთიერების პოვნის ფაქტს, ეს აშკარად პროკურატურის მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლია. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ბლიაძეს და გოგალაძეს მის დასამონტაჟებლად დრო არ ექნებოდათ, რადგან ის მათი დაკავებიდან ერთი თვის შემდეგ იპოვეს.“

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამართალდამცავები ბლიაძეზე ამ საკითხის ირგვლივ დაკითხვისას ზეწოლას ახორციელებდნენ, უფრო მეტიც, სცემდნენ კიდეც მას“.

ადვოკატი ამ სამართალდამცავთა გვარებსაც ასახელებს. მისი თქმით, ისინი ხაშურის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები — კურტანიძე, ნოზაძე, ტყეშაძე და სალია არიან.

**ლერი ღურჯიაი:**

„ამ დღეებში შევიტყვე, რომ ამ პირებზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მათ, თურმე, ქუთაისელი ბიჭი ცემით მოუკლავთ“.

# გურული ქელოზი



## მახტანბ ხონელი

როცა გურული ქალი მოვიყვანე ცოლად, ძმაკაცები ხუმრობით მირჩევდნენ: აწი, ძმაო, რძის ნაწარმი ბევრი უნდა მიიღო, რომ „მწარე ხვედრს“ კარგა ხანს გაუძლოო.

არა, ისე არ გამოვით, თითქოს ვეძღუროდე მეუღლეს. ჩვენ უკვე ოცდაათ წელზე მეტია „ვაჟკაცურად“ ვუძლებთ ერთმანეთს და ტკბილადაც შევაბერდით, მაგრამ პირველ პერიოდში, თბილისელი კაცი, ცოლის ნათესავებმა კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანეს.

ვიცი, ჩემი კეთილი გურულები არ მიწყენენ, თუკი მათ ზოგიერთ ტრადიციულ ჩვევას გამოვამხეურებ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დღემდე მახსოვს ის ქელები და მათაც ვახსენებ იმ დღის დეტალებს, რამაც განცვიფრებაში მომიყვანა. იმ წუთებში ვფიქრობდი კიდევ, რომ ყველა ერთად ჭკუიდან შევიშალეთ.

მაშ, ასე! მე და ციცი რამდენიმე თვის შეუღლებულნი ვიყავით, როცა გურიიდან „ელვა-დეშა“ მივიღეთ გერონტი ბიძიას გარდაცვალების შესახებ. იმ მოკლე ხანში ციცოს ბიძისგან (მამის ძმისგან) ბევრი პატივისცემა მახსოვდა და გული დამწყვიტა მისმა სიკვდილმა. რა თქმა უნდა, დაკრძალვამდე რამდენიმე დღით ადრე გადავწყვიტეთ წასვლა. ჩემი მეგობარე და მეგობარი, თენგოც წამოგვყვა.

ციცოს უმცროსი ბიძა, კუკურა, ჩვენი დაქორწინების დროს რუსეთში იყო საბუშაოდ წასული. ასე რომ, მე არ მიცნობდა. როცა სოფლის შუკა

(ოზურგეთის რაიონი, სოფელი შრომა) ჩავათავეთ და შავარშიამოვლებული სახლის მწვანე კოინდრით დაფარულ ეზოში შევაბიჯეთ, გარეთ მდგომმა კაცებმა (მათაც შავი ხილბანდით ჰქონდათ შუბლი გაკრული) ვიშვიში ატეხეს. შიგნით მსხლმმა ქალებმა კი სულაც არ იცოდნენ ვინ იყო მათი მწუხარების გასახიარებლად მოსული, მაგრამ როგორც კი კაცების მოთქმა გაიგონეს, ისეთი კივილი ატეხეს, მეგონა, ცა ჩამოგვექცეოდა.

უცებ, სად იყო და სად არა, ჩია ტანის კუკურა საიდანღაც გამოძვრა და ციცოს მიამახა: „ცა, აგია შენი ქმარი?“ არც დაელოდა ძმისშვილის პასუხს და თენგოს კისერზე ჩამოკიდა, თან გულსაკლავად ქვითინებდა: ჩემო თვალთ უნახავო, მარა სანატრელო და საყვარელო სიძეე, რა დღეს მოვესწარი, ჩემი უფროსი ძმის სიკვდილზე რავა უნდა გამეცანიო?!.. ციცოს გულზე შემოეყარა. ჩემმა სიმამრმა გვიშველა, მოგვიახლოვდა, თავისი ძმა ძლივს „ჩამოსხნა“ თენგოს კისრიდან და ყურში უჩურჩულა კუკურას: აგი კი არა, იგია ჩემი სიძეო. კუკურამ ახლა ჩემზე გადმონაცვლა... კუკურათი ხელში ოდის კიბე ავიარე, მერე, ოთახში შესვლის წინ მოვუბოდიშე და ძირს ჩამოვსვი. ქალების წივილ-კივილმა ლამის ქვა აადლუდა... მეც აცრემლებული გამოვედი გარეთ. ახლა ჩემთან უნდა მოგასვენოო, – მითხრა „შერეკილმა“ და „აბდალა“ კუკურამ (რა გქნა, მისი ახლობლებიც ასე ეძახიან) და ჩემს მეგობართან ერთად წამაბარბაცა თავის სახლში. ციცომ გაფრთხ-

ილება დამადევნა: ამასთან ერთად არ დალიო, თორემ იმისთანა სიმთვრალე აქვს, თვითონაც გააფრენს და შენც გაგაგიჟებსო.

ახალგაცნობილმა „ბიძიმ“ „ჩამაკვებული“ ცოლიც თან წამოიყვანა, რათა სუფრა გაეშალა ჩვენთვის.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით, მაგრამ რაღას ვიზამდით? „ქვემოთ“ ტირილი იყო, „ზემოთ“ კი, უკვე ღვინომოკიდებულ „ყაძახს“ სიმღერაც მოუნდა. რიგით პირველი სადღეგრძელო (მშვიდობის, რა თქმა უნდა) მეთუჯვერ რომ დალია, „კრიმანჭულიც“ წამოიწყო და ამყვეითო, გვანიშნა. სამზადიდან (სამზარეულოდან) ცოლი გამოუვარდა, ჩვენ მოგვბოდიშა და დაელმებულ ქმარს პირზე ხელი ააფარა. გადაირია კუკურა – რას ჰქვია, სტუმრებთან შენიშვნა მომეცი და სიმღერა დამიშალეო! სუფრის თეფშებს ზომ ლაწალუწი აუტეხა, მერე განჯინა გამოალო და ახლა იქიდან დაიფრიალა მათლაფები და ლამბაქები. ვეტაკე მაჯებში, ჩავკოცნე, ჩავეხუტე და „მოგუდული“ „კრიმანჭულით“ საწოლამდე მივიყვანე... მეორე დღეს დარცხვენილმა კუკურამ მოგვბოდიშა. თენგომ ძმაკაცურად მხარზე ხელი დაჰკრა და – არა უშავს, ხდება ზოლომო, – უთხრა. მე კი კუკურასთვის აღარ მეცალა, გაკვირებული და თვალგაფაციცებული ვაკვირდებოდი გურულების საქციელს.

ოჯახის თავკაცობას „დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ“ ერთი ცხვირწითელა კაცი – მიხაკო დაეყენებინა. მას მოგძობ მაგიდის თავსა და ბოლოში ორი კაცი დაესვა – ერთი, შესაწირ ფულსა და მომტანის გვარს დავთარში იწერდა, მერე მეორესთან უშვებდა, რომელსაც წინ მამაპაპური ჩემოდანი დაელო (აი, ისეთი, მატარებელში რომ „არ გაეგონა“ ზურიკელას და მხოლოდ ტანტის ქვეშ ენახა) და წარამარა ხსნიდა და კეტავდა. იქვე ქელების სუფრაც გაეშალათ. სხვადასხვა სოფლიდან მოსულ ხალხს ზომ სჭირდებოდა დაპურება? ჰოდა, მიცვალებულთან „საბატო წრის“ შემოვლის შემდეგ, ჩამოსულებს სუფრასთან ეპატიჟებოდნენ.

დაახლოებით 300 ცალამდე იყო გამრავლებული გერონტი ბიძიას გაღმებულნი სახე. ვისაც კი სურვილი ჰქონდა (სურვილი კი ბევრს ჰქონდა,

რადგან ქელების სუფრასთან სურათიანი უფრო დიდხანს რჩებოდა), მარცხნივ, გულის მხარეს სურათს ქინძისთავით იმაგრებდა. ციციმ თვალთ მანიშნა და მეც ოპერატიულად „მივიწებე“ გერონტის სურათი.

სოფლის ახალგაზრდობა დამეს უთევდა მიცვალებულს. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და მეც მსიამოვნებდა, ზაფხულის ხვატი დღეების შემდეგ სიგრილეში ყოფნა. იყო ნარდის კამათლის ჩხაკუნი, კარტის აზარტული თამაში და „ფლირტი“ არმიყობა. შიგადაშიგ ისმოდა ბოხი ხმით ნათქვამი – „გვირილა“ და მის პასუხად, ნიავევით მორცხვი ჩურჩული – „ყაყაო“. როცა ალიონი ჩააცხრობდა აზარტული თამაშობების ვნებებს, სირცხვილისგან ვიწვოდი, რადგან რიკულებიანი აივნის მთელ სიგრძეზე გაჭიმული შავი ტილო თეთრი წარწერით ვამცნობდა: „დავტირით ძვირფას გერონტის“...

ყველაზე კულმინაციური მაინც დაკრძალვის დღე იყო. ჭირისუფალი კაცებით დაწყებული, მწუხარების გამზიარებლებით დამთავრებული – ყველა მთვრალი იყო.

თენგოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: მიცვალებული ისევ სახლში ასვენია, ესენი კი ისე არიან გამობნტერებულები, როგორ წაასვენებენ, წარმოდგენა არა მაქვს, ვაითუ, კუბო მე და შენ შემოგვიდეს მხრებზე?! ჩემ მაგივრად მეზობელმა ბადრიემ უპასუხა: აქოური წესია მაგი, ჯერ პურს „ტეხენ“ და ჭიქას წოუქცევენ, მერე კი მიწას მიბარებენ. შენ, ძამა, ამაზე ნუ ნაღვლობ. აქამდე ასთე იყო, ახლაც ასთეა და მერეც სულ ასთე იქნებაო.

შხის ჩასვლამდე ჩვენც სუფრასთან მიგვიწვიეს და როცა ქალების წივილი მოგვესმა, მივხვდით, რომ ჩვენც გვეშველა და გერონტისაც. ეზოში დადგმულ ორ სკამზე ცოტა ხანს კიდევ „შეასვენეს“ მიცვალებული. მთვრალი კაცები გამოსათხოვრად რომ ჩაეფსკენებოდნენ, მერე თავს ვეღარ წევდნენ, ამიტომაც მე და თენგო მათ ძალით „ვადღლეზდით“ მიცვალებულს. ბოლოს, როგორც იქნა, აწიეს სამოსახლო და აღმართს შეუყვანენ. ღვინისა და სიცხისგან გათანგული კაცები ფეხებს ძლივს მიათრევდნენ. ერთი-ორჯერ მე და თენგოც მივეშველეთ, მაგრამ სასა-

ფლაოს რომ მივუახლოვდით, ისევ იქაურები შეგვენაცვლნენ: რავა გეკადრებათ, თბილისელებს ნამეტანი ვერ დაგდლითო.

სასაფლაოსთან დეღე ჩამოდიოდა. სწორედ იქ მოხდა ის, რასაც ალბათ არავინ ველოდით: სად იყო და სად არა, კუკურა გადმოგვიხტა წინ და დაგვჭყვივლა, – სად მიგყავთ ჩემი ძმა, მე თქვენი „ასე“ და „ისე“, არსადაც არ გაგატანთ, ჩემთან უნდა დარჩესო და... ქვები დაგვიშინა. „ეი, ბიჭო, დევილუპე, ამ აბდალამ მგონია, მეც მიმყოლა გერონტის“, – იყვირა ზაქრომ, სამოსახლოს ხელი გაუშვა და ცხვირსახოცი, გატეხილი შუბლიდან თქრიალით წამოსული სისხლის შეჩერება სცადა. ქვების სეტყვამ სხვებიც შეაშინა, ზოგმა ჩაიცუცქა, ზოგიც დაწვა, კუბო ვეღარ დაიმაგრეს და ძირს დახეთქებული სამოსახლო ორჯერ გადატრიალდა, საწყალი გერონტი ბიძია კი... წყალში აღმოჩნდა. კვლავ ცა გაარღვია უკან მომაჯალი შავოსანი ქალების კივილმა. „უხ, მე თქვენი დედები... მეორედ მიკლავთ ძმას?“ – მთლად გადაირია კუკურა და ქვების ახალი მარაგის გროვებას შეუდგა. მე და თენგომ ვიმარჯვეთ და ხელები გავუკავეთ „გაკუჭვებულ ყაძანს“. როგორც იქნა, ვიდაცის მანქანაში ჩავტენეთ კუკურა. შემოვბრუნდით და ახლა სხვა შემახილმა დაგვაფრთხო: „არიქა, ბიჭებო, წინ დოუარეთ, თორემ მაქანე ღრმაია და წყალმა არ წაგვართვას მკვდარი“. ისევ ჩვენ ორმა „დავიკაპიწეთ“ ხელები, ძლივს ამოვართიეთ ცხონებული გერონტი წყლიდან და ჩავასვენეთ სამოსახლოში.

როცა მიწა მივაყარეთ, თენგომ წაიჩურჩულა: „ძლივს არ ეღირსა ამ საწყალს მიწა?!“ გურულებმა კი ასე დაამშვიდეს: „კაი, ახლა, ჩემო ძამიკო, რა მოხდა მერე? ნამეტნავად ცხელოდა და გავაგრილეთ პაწა“. „ამას თუ გაგრილება აკლდა“, – ჩაიფხუკუნა ზაქრომ, მაგრამ ვერევე მოსხიპა სიცილი, როგორც კი თავისი გახეთქილი შუბლი გაახსენდა.

წელათრეულები დავბრუნდით „მგლოვიარეთა“ სახლში. „სეფაში“ ჯერ კიდევ არ აელაგებინათ საჭმელ-სასმელი, თუმცა იქაურობა ნაოზარ ველს უფრო ჰგავდა, ვიდრე სუფრას, თანაც, აღარც ჭამის თავი გვქონდა და გვეგონა, რომ სამუდამოდ დავკარგეთ მადა.

# ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირლებათ პასუხის გაცემა...

**1. ლუი არმსტრონგმა, რომელმაც საკუთარი დაბადების დღე არ იცოდა, ამ დღედ აირჩია:**



- ა) 4 ივლისი;
- ბ) 25 დეკემბერი;
- გ) 1 აპრილი.

**2. სხილია თაყაიშვილის უპანასკნელი შილმა:**



- ა) „არ იღარდო“;
- ბ) „ნატურის ხე“;
- გ) „ციისფერი მთები“.

**3. რას ეძახიან იმპოტენციანს მსუბუქი ყოფამცვეის ძალიანი?**




- ა) „გვიან შემოდგომას“;
- ბ) „ექვსის ნახევარს“;
- გ) „ფეხსაცმლის თასმას“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე



ალექსანდრე პლასტუნოვი ერთი ჩვეულებრივი ადამიანია. ჩვენი ყურადღება მხოლოდ მისმა უცნაურმა კოლექციამ მიიპყრო, თუმცა 15-20 წლის წინ, მისით და მრავალი მისი თანამშრომლით დასავლეთი აქტიურად იყო დაინტერესებული. ბატონი საშას კოლექცია კი მართლაც უჩვეულო გახლავთ. საქმე ის არის, რომ იგი მსოფლიოში მომხდარი ბირთვული კატასტროფების ფაქტებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებს. ვერ გეტყვი, ეს კოლექცია ერთადერთი და განუმეორებელია-მეთქი, სამაგიეროდ, იმდენ უცნობ და გაუხმაურებელ ფაქტს შეიცავს, რომ მართლაც ღირს მასზე საუბარი.



არამედ საზღვარგარეთ მომხდარ შემთხვევებზეც ვერაფერს შეიტყობდა ადამიანი. თუმცა, პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ არც სხვა ქვეყნების მთავრობები აფიშირებდნენ მათთან მომხდარ ფაქტებს.

— **კერძოდ რომელ ქვეყნებზეა საუბარი?**

— ეს ატომური მრეწველობის თითქმის ყველა ლიდერზე შეიძლება ითქვას, მაგალითისთვის კი აშშ-ის, ინგლისისა და იაპონიის მოყვანაც შეიძლება (საფრანგეთიდან ინფორმაცია ნაკლებად მაქვს, ამიტომ ამაზე დაბეჯითებით საუბარი არ შემიძლია).

— **კი, მაგრამ, თქვენ საიდან გაქვთ ეს ფაქტები მოპოვებული?**

— ცნობები ძირითადად, სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ მოვიპოვე. ყველა წყაროს ვერ დავასახელებ, იმიტომ, რომ ის ხალხი ახლაც მუშაობს სხვადასხვა ინსტიტუტში. ისე კი, ინფორმაციის გაცვლა კოლეგებთან მხოლოდ წვეულებებზე ხდება. ბოლო წლებში უცხოელი სპეციალისტებიც ჩამოდიან და, რაც მთავარია, ბევრი უცხოური სპეციალიზებული გამოცემა უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

— **თუ არ ჩავთვლით პიროსიმასა და ნაგასაკის, პირველი კატასტროფა როდის და სად მოხდა?**

— პირველ სერიოზულ და დიდ კატასტროფად ურალზე, ჩელიაბინსკის ოლქში მომხდარ აფეთქებას ასახელებენ. ეს 1957 წელს მოხდა, ზუსტი თარიღი უცნობია (ამაზე ბევრი იმუშავეს სპეცსამსახურებმა). ეს ავარია ყველაზე ნაკლებადაა გაშუქებული. 20 წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა არათუ მსხვერპლს, არამედ აფეთქების ფაქტსაც უარყოფდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანალოგიურად იქცეოდნენ აშშ-ის სპეცსამსახურებიც, რომელთაც, როგორც აღმოჩნდა, თავიდანვე ჰქონდათ ინფორმაცია. ფაქტის განმარტება რუსი მეცნიერის — ჟორეს მედვედევის ემიგრაციაში წასვლით და პუბლიკაციებით დაიწყო. მან თავის სტატიაში, „დისიდენტობის ორი ათწლეული“, პირველად ამცნო საზოგადოებას ქალაქ კასლის ტრაგედია. მისი თქმით, აფეთქების ეპიცენტრი ქალაქის მახლობლად მდებარეობდა. სამთავრობო კომისიას თვით კასლიში ქვა ქვაზე აღარ დახვდა. განადგურდა 30-მდე პატარა ქალაქი და დასახლებული პუნქტი 500-მდე კვადრატული კილომეტრის რადიუსში. მოსახლეობა

# ყოველდღე შეიძლება განმეორდეს

## ანა ქორქოლიანი

ბატონი ალექსანდრე ბირთვული ფიზიკის სპეციალისტია. თუმცა მის ე.წ. „მრომის წიგნაკში“ მხოლოდ საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კვლევითი ინსტიტუტია ნახსენები. სინამდვილეში კი, ჯარიდან მოყოლებული, როდესაც დასჯის მიზნით, სამხარეულოში კარტოფილს აუცქენებინებდნენ, „კვების მრეწველობასთან“ არანაირი კავშირი არ ჰქონია. საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას და შემდგომში, მოსკოვის მახლობლად მდებარე პატარა დაბა დუბნაში, საიდუმლო ქალაქ „არზამას-16“-სა და მოსკოვის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში ნამუშევარი წლები დაუგროვდა.

ბატონმა ალექსანდრემ თავიდანვე მიმახვედრა, რომ მის ყოფილ საქმიანობაზე შეკითხვები უპასუხოდ დარჩებოდა და მიუხედავად დიდი ინტერესისა, იძულებული გავხდი, მხოლოდ მის „კოლექციაზე“ მესაუბრა.

— **ბატონო საშა, რა თანამდებობაზე მუშაობდით ბოლოს და**

**როდის დაანებეთ თავი ფიზიკასა და ენ. „ბირთვული პრობლემების“ გადაჭრას?**

— თუ გნებავთ, უმცროსი მეცნიერი მუშაკი მიწოდეთ, ან უფროსი მეცნიერი მუშაკი, თუ მოგწონთ — დოცენტი და ა.შ. ხომ გაგაფრთხილეთ, მსგავს კითხვებზე პასუხს არ გაგცემთ-მეთქი, რადგან „პატიოსანი სიტყვა“ მაქვს მიცემული. ისე კი, სამსახურს 1988-89 წლებში შევეშვი.

— **კოლექციას დიდხანს აგროვებდით?**

— ეს აზრი „პერესტროიკის“ დაწყებიდან გამიჩნდა, ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ ამ პრობლემამ უფრო დამაინტერესა.

— **ბირთვულ კატასტროფებს რაც შეეხება, ჩვენი საზოგადოებრიობისთვის, მეტ-ნაკლებად ალბათ მართო ჩერნობილის, პიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიებია ცნობილი.**

— რა თქმა უნდა, ეს სისტემის ბრალია. საბჭოთა კავშირში არსებული მკაცრი ცენზურის პირობებში, არათუ ჩვენთან,



ალექსანდრ პლასკუნოვი (XX საუკუნის 70-იანი წლები)

ძირითადად უკვალოდ გაქრა – დაიფერფლა. მხოლოდ რამდენიმე, შიგნით (!) გამოძვარი თავის ქალა აღმოაჩინეს. რამდენიმე დღეში თურმე თვით კომისიის წევრებიც დაიხოცნენ.

საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა აფეთქების ფაქტს და მედველევს ფსიქიკურად დაავადებულს უწოდებდა, მაგრამ სტატიის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა აშშ-ში ახალი კანონის – ინფორმაციის თავისუფლების შესახებ – მიღება. შექმნილ ვითარებაში აშშ-ის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა გამოემუხურებინა მის ხელში არსებული ინფორმაცია. ამრიგად, მედველევს სტატიაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

— კი, მაგრამ, რა შედეგები მოჰყვა ამ ავარიას და ახლა თუ ცხოვრობს იქ ვინმე?

— გეტყობათ, რომ ამ საკითხში დილტანტი ბრძანდებით. იქ ცხოვრება მართლ ლანდებსა და აჩრდილებს თუ შეუძლიათ. ისე, ჩვენს ინსტიტუტს ვეალებოდა მსგავსი ადგილების კვლევა და ალბათ, დიდ საიდუმლოს არ გავცემ, თუ ვიტყვი, რომ მაშინ დასხვიდა 23 საშუალო ზომის ტბა, ამ ტბების აუზში მდებარე 200-მდე პატარა მდინარე და ასობით კვადრატული კილომეტრი ფართის მიწა აბსოლუტურად გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად.

— ნამდვილად ვერ არის დამამზიდველი ინფორმაცია. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ უფრო და უფრო მეტი ატომური ელექტროსადგური შენდება: ვინ იცის, როდის რა „იზუთქებს“.

— ბირთვული ენერგომატარებლების უპირატესობა საკმაოდ დიდია სხვებთან შედარებით. ამიტომ მასზე უარის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს სფერო საკმაოდ ახალგაზრდაა და ამიტომ ავარიების რაოდენობაც ნაკლებია, თუმცა მათი შედეგები სავალალოა.

— მაინც რა გამოსავალს ხედავთ?

— სიმართლე გითხრათ, მიუხედავად დიდი მიღწევებისა, მეცნიერები ჯერჯერობით უსუსურები არიან და მზარავს კიდევ იმის წარმოდგენა, რომ ჩერნობილი თითქმის ყოველდღე შეიძლება განმეორდეს. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძირითადად, მოძველებული აეს-ები (ატომური ელექტროსადგური. — ავტ.) მოქმედებს. თუნდაც სომხეთის სადგური ავიღოთ. მე სომხეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ ეს აუცი-

ლებელი არც არის. როდესაც იცი, თუ რა პირობებში მიეწოდება სადგურს საწვავი და მერე სად მიდის ნარჩენები... სულ მცირედმა გაყოვნამაც კი, თუნდაც რეაქტორის გაცივების სისტემაში გამოყენებული წყლის დაღვრამ შეიძლება უდიდესი კატასტროფა გამოიწვიოს. გამოსავალი ისევ უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვა და სიფრთხილეა.

— რა სიდიდის ტერიტორია შეიძლება მოიცვას კატასტროფამ?

— ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. ის შეიძლება ქარით, წვიმით, საკვები პროდუქტებით გავრცელდეს. „სხივური ავადმყოფობა“ არც გრიპია — ცემინება დაგაწყებინოს, და არც „ბოტკინია“ — გაგაყვითლოს. მის მოახლოებას ვერ შეატყობ. ის მხოლოდ მაშინ ვლინდება, როდესაც უკვე პროგრესირებს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩერნობილის ავარიის შემდეგ, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად მდინარე პრიპიატის მახლობლად ვიმყოფებოდი. სპეცდავალება გვექონდა. გარკვეული ტერიტორია უნდა გამოგვეკვლია რადიაციის გავრცელების ზღვრის დასაზუსტებლად. ადგილზე მხოლოდ ორი დღე დაყავით (სხვა ჯგუფმა შეგვეცვალა). სპეცტანსაციმელი არ გავიცინდია და საკვებსაც დიდი სიფრთხილით ვიღებდით. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ სამედიცინო შემოწმება ჩავგიტარეს და ჯგუფის ორი წევრი კარანტინში მოაქციეს. ახალგაზრდები იყვნენ, საკმაოდ ნიჭიერები... ექვსი დღის შემდეგ ნათესავებს „ცინკის“ კუბოები გადასცეს...

— დასხივებით დაიღუპნენ?

— ამაზე საუბარი მიჭირს, იმიტომ, რომ მეც მათთან ერთად, ერთნაირ პირობებში ვიყავი. ალბათ, ადგილზე ნაპოვნი კონსერვი ან რაიმე ხილი შეჭამეს. სხვა შემთხვევაში, ასეთი სწრაფი სიკვდილი გამოირიცხებულია.


— დავუბრუნდეთ „კოლექცია“.

ჩერნობილამდე ევროპაში თუ მომხდარა რამე სერიოზული ავარია?

— 1957 წლის 10 ოქტომბერს ინგლისში, ლივერპულის მახლობლად, ქარხანა უინდსკეილში მოხდა ავარია. ქარხანა სამხედრო სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. იქ ატომური ბომბებისთვის პლუტონიუმს ამზადებდნენ. ავარიის მიზეზი ურანის შესანახი კონტეინერების გადახურება გახდა. როდესაც კონტეინერების ტემპერატურამ ზღვარს გადააჭარბა, დაიწყო ატმოსფეროში რადიოაქტიური იოდი-131-ის გაფონვა, რასაც ოქსიდირებული ურანის გაფონვაც მოჰყვა. გაავრავრებული კონტეინერები 15 წუთის შემდეგ აღმოაჩინეს. ქარხნის ადმინისტრაციამ პრობლემის გადაჭრა ჯერ საკუთარი ძალებით ცადა, მერე კი ტექნიკური უსაფრთხოების სპეცრაზმს უხმო. ხანძარს ჯერ ქაფით, შემდეგ კი წყლით აქრობდნენ, ცეცხლთან ბრძოლა 16 საათს გაგრძელდა. წარმოიშვა ატმოსფეროში აორთქლებული წყლის ვეებერთელა ღრუბლები. დასხვიდა ქარხნის 3000-მდე თანამშრომელი. ქარხნის მიმდებარე ტერიტორია 350 კმ რადიუსზე მნიშვნელოვნად დაბინძურდა იოდი-131-ით. ადგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტების მოხმარება აიკრძალა. ასობით ათასი ტონა რძე იღვრებოდა ირლანდიის ზღვაში. მანლობელ ფერმებში ათასობით პირუტყვს ზოცავდნენ.

რამდენიმე თვეში ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე ბრიტანეთის დელეგაციამ საზოგადოებას ამცნო, რომ ევროპის თავზე 20 ათასი კიური იოდი-131-ის გარდა, ინგლისსა და ჩრდილოეთ ევროპის თავზე, ნალექების სახით 700 კიური ცეზიუმში და სტრონციუმში დაიღვარა. მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, საკმარისია ვთქვათ — დაბინძურების დონე დასაშვებ დონას 1400-ჯერ აღემატებოდა.

— თქვენ ბრძანეთ, მსგავს ფაქტებს არ ააშკარავებენო. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბრიტანელებმა მომხდარი ავარიის მასშტა-



**ბები შეგნებულად შეამცირეს და კატასტროფა უფრო მძიმე იყო?**

— შესაძლებელია, მაგრამ ინგლისელები მსგავს შემთხვევებში უფრო პრინციპულები და გულახდილნი არიან, ვიდრე ამერიკელები. „იანკები“ „საიდუმლოს“ შესანიშნავად ინახავენ, სამაგიეროდ, პრობლემისადმი უფურადღებობას ვერ დასწამებ. სწორედ ამერიკელებს აქვთ ყველაზე სწორი რეაქცია ნებისმიერ პრობლემაზე.

— **ამერიკელებს რაც შეეხება, უკანასკნელ პერიოდში მათ რამდენიმე აეს-ი გააჩერეს. ამით კალიფორნიის შტატს ელექტროენერჯის დეფიციტც კი შეექმნა. ხომ ვერ გვეტყვი, რატომ გააჩერეს სადგური, რაიმე ახალ ავარიზე ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?**

— თქვენ ნამდვილი „აგენტი“ გგონივართ. მსგავსი ინფორმაცია, ჩემნაირმა „მოყვარულმა“ გაუხმაურებელი ფაქტიდან 2-3 წლის შემდეგ თუ მიიღო, საოცარი „გამართლებაა“. ისე, ჩემი აზრით, აქ მოძველებული სადგურის გათიშვასთან უნდა გვეკონდეს საქმე. საერთოდ, ამერიკელები ძალიან ფრთხილად ეკიდებიან ატომური ენერჯის გამოყენების საკითხს. აქვთ კიდევ ამის მიზეზი. 1979 წელს მოხდა აშშ-ის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ავარია, რომელიც ატომურ სადგურზე მოქმედი ხელსაწყოების არასრულყოფილებამ გამოიწვია. ამ შემთხვევამ აშშ-ის ენერჯეტიკულ პოლიტიკაში დიდი ცვლილება შეიტანა. მათ გაანახევრეს ატომური ელექტროსადგურების დაფინანსება. ავარია კი პენსილვანიის შტატში, ახალმოქმედებულ (1978 წ. — ავტ.) სადგურზე — „ტრიმაილ-აილენდზე“ მოხდა.

ავარიული სიტუაცია შედარებით უმნიშვნელო დაზიანებით დაიწყო — მწყობრიდან გამოვიდა ტურბინის ფრთებზე ორთქლის მიმწოდებელი ტუმბო. ამ ხარვეზმა რეაქტორის ძირითად გამაგრებულ კონტურში წყლის ცირკულაციის ტუმბოს

გაფუჭება გამოიწვია. რეაქტორის აქტიური ზონაში ტემპერატურამ მოიმატა. რამდენიმე დამცავი ფენა დაღდა, მაგრამ ავტომატიკამ ზუსტად იმუშავა და დაშლდები სარკველი გახსნა, წნევა დაეცა და ურანის საწვავი უვნებლად გადარჩა. ამ დროს მართვის პულტზე უამრავი ნათურა ციმციმებდა და მომსახურე პერსონალს ავარიული სიტუაციის შესახებ ამცნობდა. საუბედუროდ, ოპერატორებს მსგავს სიტუაციაში მოქცევის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ. მათ დაძლეველი ქმედებების მთელი სერია ჩაიდინეს: ავარიული სარკველი ღია დატოვეს, ამის გამო წნევა საჭიროზე დაბლა დაეცა — ორთქლი წყალად იქცა. ამის შემდეგ, ოპერატორმა ეს წყალი უკვე გადამუშავებულ წყალში გაუშვა... წნევა დარეგულირდა, მაგრამ ჩამკეტმა არმატურამ მასას ვერ გაუძლო და 200 ათასი ტონა რადიოაქტიური წყალი რეაქტორში ჩაიღვარა. შეცდომის გამოსწორების ნაცვლად, ოპერატორმა ახალი შეცდომა დაუშვა და წყალი გამაგრებელი კონტურის მაგივრად, დამხმარე ნაგებობების გათბობის მილებში გაუშვა. მილებმა ვერ გაუძლო წნევას და აქაფაფებული რადიოაქტიური წყალი შენობაში დაიღვარა. რადიოაქტიური ორთქლი საიმედოდ მოშუშავე სავენტილაციო სისტემამ მყისვე ატმოსფეროში გაუშვა... აღმინისტრაცია კვლავ საკუთარი ძალებით ცდილობდა, გამკლავებოდა სიტუაციას. სანამ შტატის ხელისუფლება რაიმეს შეიტყობდა, 3 საათი გავიდა. თავის მხრივ, არც გუბერნატორს უჩქარია განგაშის გამოცხადება და მოსახლეობის ევაკუაციის დაწყება. სადგურის ტერიტორიაზე „ბეტა“ და „გამა“ გამოსხივების დონე საათში 500 ათას მილირენტგენს წარმოადგენდა, რაც მომაკვლინებელი დოზაა ადამიანისთვის. რამდენიმე საათში ატმოსფეროში აღმოაჩინეს სტრონციუმისა და იოდი-131-ის დიდი დოზები. ეს ნივთიერებები მახლობელ საძოვრებზე მოხვდა. როდესაც

ადგილობრივი კვების პროდუქტების გამოყენება აკრძალეს, უკვე გვიანი იყო, რადგანაც პროდუქციის საკმაოდ დიდი რაოდენობა უკვე მოქალაქეების სუფრებს „ამშვენებდა“.

მეორე დღეს აეს-ის საცავიდან ქსენონ-133 და ქსენონ-135-ის შემცველი მილიონ-ნახევარი ლიტრი წყალი მდინარეში გაუშვეს. ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამას არანაირი უკუშედეგი არ მოჰყვებოდა, მაგრამ მდი-

ნარის დინების ქვემოთ ჩატარებულმა ანალიზებმა ცხადყო, რომ რადიოაქტიური ფონი მდინარის მახლობლად მკვეთრად მომატებულიყო... კატასტროფის შედეგების ზუსტი აღრიცხვა, მისი მასშტაბურობის გამო, შეუძლებელი გახდა.

— **რა მოიმოქმედეს ამერიკელებმა მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად?**

— სწორედ ამ ავარიის შემდეგ დაიწყო აშშ-ში მუშაობა მსგავს ობიექტებზე ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობის მინიმუმადე დაყვანის პრობლემაზე. ავარიების რაოდენობით აშშ ლიდერობს, ეს განპირობებულია აეს-ების რაოდენობითაც.

— **თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რომელი ავარიაა ყველაზე მასშტაბური?**



— ყველაზე დიდი ავარია ტერიტორიის დაფარვისა და მსხვერპლის მხრივ ჩერნობილია, მაგრამ კასლიში მომხდარი აფეთქებაც ძალიან ძლიერი იყო. უბრალოდ, იქ მოსახლეობა არ გახლდათ უკრაინასავით მჭიდროდ დასახლებული და მსხვერპლიც ნაკლები მოჰყვა.

— **სულ რამდენი მსგავსი ავარიაა მომხდარი?**

— ამ კითხვაზე ვერ ვიპასუხებთ, იმიტომ, რომ ამომწურავი ინფორმაცია არ მაქვს, სამაგიეროდ, დავისახელებთ იმ ფაქტებს, რომლებიც დანამდვილებითაა ჩემთვის ცნობილი: 1949 წელი, აფეთქება ჩელიაბინსკში, ქარხანა „მაიაკში“; 1957 წელი, ხანძარი ინგლისში, უინდსკეილის რეაქტორზე; 1957 წელი, ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ კასლიში ბირთვული ნარჩენების საცავის აფეთქება; 1957 წელი, აფეთქება ჩელიაბინსკში, კვლავ ქარხანა „მაიაკში“; 1961 წელი, აშშ-ში, აიდაჰოს შტატში, საცდელი რეაქტორის დაზიანება და რადიაციის გაჟონვა; 1966 წელი, აშშ-ში, დეტროიტში მსუბუქად დაზიანდა სადემონსტრაციო რეაქტორი; 1967 წელი, აფეთქება ჩელიაბინსკში, კვლავ ქარხანა „მაიაკში“; 1969 წელი, შვეიცარია, რეაქტორის გაცივების სისტემის დაზიანებამ გამოიწვია რადიაციის დიდი რაოდენობით გაჟონვა; 1975 წელი, აშშ, ალაბამის შტატი, ხანძარი რეაქტორზე გამოიწვია მექანიკოსმა, რომელიც დაზიანებას ანთებული სანთლით ეძებდა; 1979 წელი, აშშ, პენსილვანიის შტატი, ყველაზე დიდი ავარია აშშ-ის ტერიტორიაზე; 1981 წელი, აშშ, ტენესის შტატი, 400 ათასი ლ რადიოაქტიური გასაცემი სითხის დაღვრა ქარხანა „სეკვოია-1“-ში; 1981 წელი, იაპონია, ცურუგას რეაქტორის დაზიანებამ გამოიწვია 100 თანამშრომლის დასხივება; 1986 წელი, უკრაინა, ჩერნობილის აეს-ი — მსოფლიოს უდიდესი ატომური კატასტროფა.







კარგი ძმრის დასაყენებლად შესაბამისი კასრება საჭირო

# სიფონია

შონ კონერომ იტალიური სამზარეულო ჯერ კიდევ „ბონდიანამდე“ შეიყვარა. მას შემდეგ თავისი ოჯახის წევრებისა და მრავალრიცხოვანი მზარეულისგან ის ზემოაღნიშნული სიბრძნის ოთხივე საფეხურის განუხრელ დაცვას მოითხოვს. ამის გარეშე სალათი, მისი აზრით, ვერ იქნება „ნამდვილი სალათი“.

ამგვარად, ყველაფერი ძმარზე ყოფილა დამოკიდებული, უფრო სწორად, ძმრის მკაფის წყალთან (3-15%) ნახავზე. თავდაპირველი ნედლეულის მიხედვით განასხვავებენ: ყურძნის, სპირტის, ხილის ან კენკრის ძმარს. ძმრის ყველაზე გავრცელებული სახეობებია სუფრის ღვინის (მზადდება სპირტისა ან ყურძნის ღვინისგან) და არომატიზებული, რომელსაც სურნელოვან ბალახებზე აყენებენ.

უპირველესად, ძმრის ხარისხს მისი შესანახი კასრი განსაზღვრავს.

ყოველი ხე ძმარს თავის არომატს უმატებს. ძმრის დამამზადებლები ტრადიციულად, უპირატესობას მუხის, კაკლისა და ალუბლის ხისგან დამზადებულ კასრებს ანიჭებენ. ამის შემდეგ ხდება ძმრის შუშისა ან პლასტიკის ბოთლებში ჩამოსხმა და მოხმარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძმრის შენახვას. ის 5 გრადუსიდან 15 გრადუს ტემპერატურაზე უნდა

ძველი იტალიური სიბრძნის თანახმად, სალათს ოთხი მზარეული უნდა ამზადებდეს: პირველი ხელმომჭირნე უნდა იყოს — ის სალათს ძმრით აზავებს, შემდეგი მზარეული-ფილოსოფოსი, რომელიც მარილს ამატებს, მზარეული-მფლანგველი — ზეთს ასხამს და ამის შემდეგ მზარეული-მზატვარი ყველაფერს ერთმანეთში აურევს. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი პირველ მზარეულს და, აქედან გამომდინარე — ძმარს ენიჭება.

ინახებოდა. პლასტიკის ჭურჭლიდან ის შუშის ჭურჭელში უნდა გადავიტანოთ და მჭიდროდ დავახუროთ თავზე — სხვაგვარად თავის არომატს დაკარგავს.

ბოლო დროს ძმრისთვის ჩვეული, ერთფეროვანი ბოთლების გვერდით, სხვადასხვა ფორმისა და დასახელების ძმრის ჭურჭელი გაჩნდა. გასაკვირი აღარ არის ძმრის ისეთი ეპითეტები, როგორცაა: „ხახვის“, „მწვადის“, „მავი მოცხარის“. სინამდვილეში, ეს ღვინის ძმრით არომატიზებული დანამატებით მიღებული ვარიაციებია. ძველად კი, თურმე, უფრო მეტი დასახელება არსებობდა: პურის, კენკრის, ყოლოს, ვარდის ძმარი და სხვა. გარდა ამისა, განსხვავებულ ძმარს ხმარობდნენ ბოსტნეულისა და მწვანე ხორცისა, ასევე ხორცისა ან თევზის დასამუყავებლად.

კულინარიაში ძმარს მდოგვისა და მაიონეზის დასამზადებლად იყენებენ. მისგან ასევე ამზადებენ სალათის დანამატებს, სხვადასხვა გარნირს, ზოგი ლიმონის წვე-

ნის ნაცვლად, ძმარს ანიჭებს უპირატესობას.

ცნობილი გურმანი — მსახიობი ღვინო ვიტო სუპერმარკეტში შეტყინილ ძმრის ბოთლებს არ ენდობა. ამიტომ კინოგადაღებისგან თავისუფალ დროს ვარდის ძმარს ამზადებს. ეს კი იოლი საქმე ნამდვილად არ არის.

უძმროდ გაძლება არც ჩინელ მზარეულებს შეუძლიათ. მის გარეშე წარმოუდგენელია საწებელა პელმენებისა ან გულსართიანი ბლინებისათვის. აღმოსავლელი კულინარები ძმარს მხოლოდ მისი გემოს გამო არ სცემენ პატივს. იგი თევზის ქონს გემოს აკარგვინებს, ხოლო მწარე წიწყის შეწვისას, მას ზედმეტ სიმწარეს აცლის და, იმავდროულად, C ვიტამინს უნარჩუნებს. ევროპელებმა პირველებმა აღმოაჩინეს ძმრის ფასდაუდებელი თვისება — დამარილებული ხორცის პროდუქტებში ის კანცეროგენულ ნივთიერებებს შლის.

აქლემის ჩვილი	სახვითი ხელოვნების სახეობა	სამშენებლო მასალა	მაჯიური ციფრა	ლექსის ნაწილი	კონგინენტი
სოფ	საი	ფეხ	ნეხ	ქა	ზვი
მაჯიო	სამერლენდი	მიწის სოთხელი იარაღი	მგალობელი ფრინველი	დაავადება	ქობინსი





# წმინდანი მოწამენი ცხრანი კმანი კოლაელნი

ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდანთა რიგში არცთუ ისე იშვიათად გვხვდებიან არა მხოლოდ ჭაბუკნი, ქალწულნი და მოხუცნი, არამედ ყრმანიც. ანუ ბავშვებიც, რომელთაც თავიანთი ბავშვური უცოდველი ბუნებით შეიცნეს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და საკუთარი სიცოცხლის ფასად უერთგულეს მას... სხვადასხვა ქვეყანაში მოწამეობრივად აღსრულებულ წმინდან ყრმათა დასში ქართველი ბავშვებიც ირიცხებიან. მათ საკუთარმა მშობლებმა გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი ქრისტეს რჯულის აღიარებისათვის... ეს ამბავი კი VI საუკუნის სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ტაოში მოხდა...

იმ დროისათვის მდინარე მტკვრის სათავეში მდებარეობდა სოფელი კოლა, სადაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ ქრისტიანები და კერპთაყვანისმცემლები. თუმცა წარმართები სჭარბობდნენ ქრისტიანებს, წარმართთა და ქრისტიანთა შვილები კი მთელი დღეების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ. საღამოობით, როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და ტამარში მიდიოდნენ სალოცავად. მათ აღდევნებოდნენ ხოლმე წარმართი თანატოლებიც. მაგრამ ეკლესიის კართან ბავშვებს აჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: „თქვენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ არს შემოსლვაი თქუენი სახლსა ღმრთისასა“. გულდაწყვეტილი ბავშვები იძულებულნი იყვნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ.

ერთხელ ბავშვებმა ძალით მოინდომეს ეკლესიაში შესვლა. ქრისტიანებმა მათ აუხსნეს, რომ თუ მათ ეკლესიაში შესვლა სურდათ, უნდა ეწამათ უფალი იესო ქრისტე, ეცხოვრათ ქრისტიანულად, ჩაებარებინათ



აღსარება და ზიარებულიყვნენ. ყრმებმა სიხარულით განიზრახეს მოქცევა ქრისტეს სარწმუნოებაზე. სოფლის ხუცესმა ყრმათა სურვილის მოსმენისას გაიხსენა სახარების სიტყვები: „რომელმან არა დაუტეოს მამაი თვისი, დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი და არა აღილოს ჯვარი თვისი, და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. იგი არ შეუშინდა წარმართი ბავშვების მშობლების რისხვას (რომელიც უსათუოდ მოსალოდნელი იყო) და ზამთრის სუსხიან დამეს ბავშვები მდინარეზე წაიყვანა მოსანათლად. ხუცესმა გაყინულ მდინარეში ჩაიყვანა ბავშვები და ნათელ-სცა მათ. ნათლობის დროს მოხდა სასწაული: წყალი გათბა და ყრმებმა ნათლის ანგელოზები იხილეს. ანგელოზთაგან გაძლიერებულ-

მა ბავშვებმა აღარ ისურვეს წარმართ მშობლებთან დაბრუნება.

მალე მშობლებმა გაიგეს შვილების ნათლისღების ამბავი. ძალით გამოიყვანეს ისინი ეკლესიიდან და ცემა-ტყეობითა და ლანძღვა-ვინებით მიიყვანეს სახლებში. ბავშვებმა გამირულად აიტანეს ყოველგვარი შეურაცხყოფა და ტანჯვა-წამება. შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მშვიერ-მწყურვალნი იძლეოდნენ ქრისტიანული თავშეკავების საკვირველ მაგალითს და უშიშრად იმეორებდნენ: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ!“ ამიტომაც არა ჯერ არს, ვიგემოთ კერპთა ნაგებობი. რით არ სცადეს წარმართმა მშობლებმა შვილების მოხიბვლა: მოფერებით, საჩუქრებით, ლამაზი ტანსაცმლით, მაგრამ ვერც დაპირებებმა და ვერც ძვირფასმა საჩუქრებმა ვერ გადაიბირა პატარები: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და არარაი გვიხმს თქუენგან, არამედ განგვიტყვენით და წარვიდეთ ქრისტიანეთა თანა“ – ითხოვდნენ ისინი.

შვილების სიმტკიცით განრისხებული მშობლები მთავართან მივიდნენ და ყოველივე აცნობეს. შვილნი თქვენნი არიან და როგორც გენებოთ, ისე მოუყარით – პილატესავით ხელეები დაიბანა წარმართთა მთავარმა. მაშინ მშობლებმა მთავრისაგან შვილების ქვით ჩაქოლვის ნებართვა გამოითხოვეს. მდინარის სათავესთან, იქ, სადაც ყრმანი მონათლნენ, თურმე იმავე ადგილას ინება უფალმა მოწამეობრივი გვირგვინით მათი შემოსვა. რადგან სწორედ ამ მდინარის ნაპირას ამოთხარეს უსჯულო მშობლებმა დიდი ორმო და ბავშვები შიგ ჩაყარეს. პირველად მშობლებმა ისროლეს ქვები, შემდეგ კი თავმოყრილმა ხალხმაც მიჰბაძა მათ და მალე ორმო ქვებით აივსო. ქრისტიანი ყრმები კი სიცოცხლის ბოლომდე იმეორებდნენ: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით და მოკვლებით, რომლისა მიმართ ნათელვიდეთ“. წარმართებმა სიკვდილის პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც, რომელიც გაბარცვეს და ნაბარცვი თავად გაინაწილეს.

წამებულ ყრმათა სახელები იყო: გურამი, ადანასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, ღაჩი, ჯუანშერი, რამაზი და ფარსმანი. სულ კი ისინი ცხრანი იყვნენ. მათ ხსენებას ქართული ეკლესია 7 მარტს (ძვ. სტ. 22 თებერვალი) აღნიშნავს.

ქრისტიანობისათვის წამებული კოლაელი ყრმანი შემწე და მფარველნი არიან ყოველი ქრისტიანი ყრმისა, ვინც მათ დახმარებას შეევედრება.

„უფლისა სიყვარულითა აღტრფობილნი და სურვილითა მისითა წამებულნი, ცხრანი კოლაელნი ყრმანი, მას ევედრეთ, სანატრელნი, ჩვენ უღირსთათვის“.

ნიკო ტარხაშვილი

ოსური სეპარატიზმის სათავეები საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობს. მისი გაღვივება თავის დროზე მეფის რუსეთმა დაიწყო, შემდეგ 1918-1920 წლებში, საბჭოთა რუსეთმა გააგრძელა და არ ჩამცხრა მანამ, სანამ საკითხის გადაწყვეტა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით არ სცადა.



ქართული გენერალიტეტი. წინა პლანზე, მარჯვნიდან მეოთხე, მინისტრი გიორგაძე

ქახა მაისურაძე

# პირველი რესპუბლიკის

# მხარე გაემოსცდილება

## ოსთა აჯანყებები 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოში

### პირველი აჯანყება

**400 კაციანი ძართული გვარდიის განადგურება**

1917 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა ყველაზე რთულად საქართველოში ოსებმა გადაიტანეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ შიდა ქართლში კომპაქტურად დასახლებული ოსები. საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მათ საფრთხედ აღიქვეს და ამ კუთხის დელასამშობლოსგან ჩამოშორება დაიასხეს მიზნად.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 10 იანვარს არჩეულ იქნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო“, რომელშიც უმრავლესობას ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. მოსკოვის აშკარა წაქეზებით მან გამოიბანა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც რაჭის, გორისა და ღუშეთის მაზრების ის ნაწილები, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები, უნდა გამოყოფილიყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. ამავე დროს, ისევ ჩრდილოელი მეზობლის დახმარებით საბჭომ გააჩაღა მუშაობა დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების — ე.წ. „ოსური პოლკების“ შესაქმნელად. იმდროინდელი საქართველოს მთავრობის წინამორბედი, ამიერკავკასიის მთავრობა საკითხის დაბრუნებას არ ჩქარობდა. ოსები კი, პირიქით, აქტიურად მოქმედებდნენ.

კონფლიქტი ოსთა მარბიელი რაზმების მიერ შიდა ქართლის ქართველი თავადაზნაურობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტით დაიწყო. ორგანიზებულმა ბან-

დებმა, რომელსაც მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ხარბოვი ედგა სათავეში, ერთიანად ამოჟუჟა შიდა ქართლის ცნობილი საგვარეულოები — ციციშვილები, მაჩაბლები, თურქესტანიშვილები. გარდა ამისა, სასტიკად იქნა დარბეული ქართული სოფლები: ნიქოზი, ერგნეთი, ერედვი, ქურთა, თამარაშენი და უკვე 1918 წლის მარტის შუა რიცხვებში მტერი ცხინვალთან იყო. „ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მალღობი — ოსეთია!“ — აცხადებდნენ ისინი.

იმდროინდელმა ამიერკავკასიის მთავრობამ ეგვიპტის მეთაურობით, თავდაპირველად, არათუ არავი-თარი რეალური კონტროლები არ მიიღო მათი თარეშის აღსაკვეთად, არამედ პირიქით, დასაწყისში მათ მოქმედებას თავიანთი პოლიტიკის გატარების საუკეთესო იარაღად მიიჩნევდა — ისეთ საკითხში, როგორც თავადაზნაურთა კლასის ლიკვიდაცია იყო, ამიტომ ამ მოძრაობას განმათავისუფლებელ, რევოლუციურ შეფერილობას აძლევდა. ასე გრძელდებოდა 1918 წლის მარტამდე, ვიდრე თვით გორსა და ცხინვალს ოსთაგან დაპყრობის სასიკვდილო საფრთხე არ დაემუქრა. თუმცა, გორი ისედაც ოსების ხელში იყო — იქ ჯერ კიდევ კონფლიქტამდე განთავსებული „ოსური პოლკის“ მეშვეობით. რაც შეეხება ცხინვალს, იქ მოვლენები ასე განვითარდა: საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ქართული გვარდიის 400 კაციანი შენაერთით ქალაქისკენ გაემართა გორის მაზრის კომისარი გიორგი მაჩაბელი, მაგრამ ცხინვალის გამაგრების ნაცვლად, ადგილობრივ მოსახლეობაში მიტ-

ინგების ჩატარება დაიწყო. მტერმა კარგად ისარგებლა ამით და ცხინვალს ყველა მხრიდან ალყა შემოარტყა. ამას დაერთო ისიც, რომ ამოქმედდა „მეხუთე კოლონა“ — ქალაქის ადგილობრივი ოსური მოსახლეობა. ამრიგად, ქართველები განწირულნი აღმოჩნდნენ. 16 მარტს ოსები ყოველი მხრიდან შეიჭრნენ ქალაქში. ადგილზე დახვრიტეს გიორგი მაჩაბელი, ასევე ცნობილი რევოლუციონერი, ლადო კეცხოველის უფროსი ძმა — სანდრო კეცხოველი. მისი ნეშტი პირწმინდად გაძარცვეს, ხოლო გიორგი მაჩაბლის ნეშტიდან, შერყევის მიზნით, „სამწვადე ხორცის აჭრას ლამობდნენ“ (გაზეთი „საქართველო“ 1918 წ.)...

ქართული მხრიდან ზარალი კატასტროფული იყო. ბრძოლებში მილიანად განადგურდა და მტერს დანებდა 400 კაციანი შენაერთი. მთავრობა მხოლოდ ახლა ხედებოდა, თუ რა „განმათავისუფლებელ-რევოლუციურ“ ომსაც აწარმოებდნენ „მომქე ოსები“. მდგომარეობის აღმოსაფხვრელად თბილისიდან დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიგზავნა ჯარი და გვარდია გენერალ კონიაშვილისა და გვარდიის მეთაურის, ვალიკო ჯუღელის სარდლობით. სათანადო საარტილერიო, სამხედრო-საჰაერო მოზადების შემდეგ, ქართული ჯარები მალე კონტრშეტევაზე გადავიდნენ. 20 მარტისთვის ბრძოლები უკვე ცხინვალის მისაღობებთან მიმდინარეობდა. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას განაგრძობდა, მაგრამ უკვე 22 მარტს, დღის 3 საათზე, ქართულმა ჯარებმა ავიაციის დახმარებით ცხინვალი დაიკავეს. ამ ბრძოლებში გათავისუფლებულ იქნა მტრის მიერ დატყვევებული 150-მდე

ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი. მალე გორიც გამოიყვანეს კრიტიკული მდგომარეობიდან: იქ გადასროლილმა სამხედრო ნაწილებმა ოსური პოლკი აიძულა, იარაღი დაეყარა.

გორისა და ცხინვალის დათმობის შემდეგ, ოსები პანიკურად იხევდნენ უკან. მალე, ქართველებმა ხელთ იგდეს ოსთა მთავარი სამხედრო შტაბი დაბა ყორნისშიც. დატყვევებულ ოსთა და მათ მეთაურთა საერთო რიცხვი 200 კაცამდე აღწევდა. მარტის მიწურულსა და აპრილის დასაწყისში აჯანყება მილიანადლიკვიდრებულ იქნა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის პირველი ცდა კრახით დასრულდა.

### მეორე აჯანყება საჩხერის რაიონის აოსხრება

ოსთა მეორე აჯანყებაც ჩრდილოელი მეზობლის – საბჭოთა რუსეთის მთავრობის აშკარა წაქეზებითა და დახმარებით განხორციელდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შიდა ქართლში ხელის მოცარვის შემდეგ, მათ აღნიშნული ავანტიურა ზემო იმერეთში – საჩხერის რაიონში გადაიტანეს. თანაც, უკვე იმ პერიოდიდან იმერლების გადაბირების მიზნით, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების აშკარა მოწოდებით გამოვიდნენ და წარმატების შემთხვევაში, ამ ომის მთავარი ფრონტის კვლავ შიდა ქართლის ტერიტორიაზე გადმოტანას ვარაუდობდნენ.

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საბოლოოდ დაესვა წერტილი ოსური პრობლემისათვის. ამ მიზნით ივნისში, ცხინვალში მოლაპარაკებების გასამართავად მიავლინა პარლამენტარი – სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი (კაკი) წერეთელი. პარლამენტის 17 ივნისის სხდომაზე ნოე ჟორდანიას პირდაპირ აცხადებდა, – ამხანაგი ირაკლი წერეთელი ცხინვალს წავიდა, რათა ოსეთი საქართველოს შემოუერთოსო – მაგრამ განცხადება, განცხადებად დარჩა. მოლაპარაკებებში მან ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. ოსთა „ეროვნულმა საბჭომ“ კატეგორიულად უარყო მის მიერ წარდგენილი რეზოლუცია საქართველოსთან მხარის შეერთების შესახებ. სამაგიეროდ, წამოაყენა ისეთი მოთხოვნები, როგორც იყო საქართველოს კონსტიტუციაში „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის დროებით ღიად დატოვება,

პრობლემის დარეგულირებაში 6 კვირიანი შესვენების გამოცხადება და სხვა. ეს 6 კვირა ოსებს იმისთვის სჭირდებოდათ, რომ დროის ამ მონაკვეთში ზემო იმერეთის ოკუპაცია განეხორციელებინათ, ხოლო წარმატების შემთხვევაში, შიდა ქართლსაც დაუფლებოდნენ, რითაც საქართველოს მთავრობას ფაქტის წინაშე დააყენებდნენ. ეს დაადასტურა კიდევ საჩხერის რაიონში წერეთლის ვიზიტიდან მოკლე ხანში დაწყებულმა ოსურმა ავანტიურამ.

28 ივნისს აჯანყებულებმა დაიკავეს საჩხერე და იქ განლაგებულ ქართულ კავალერიის ერთ ასეულს, ოფიცერ გაჩეჩილაძის მეთაურობით რაიონის ტერიტორიაც დაატოვებინეს. ეს კი არა და, საფრთხე ჭიათურასაც დაემუქრა. მტერი წინ მიიწვედა. ჭიათურელები პანიკამ მოიცვა. მაგრამ მთავრობამ, დროული საგანგებო სამხედრო ზომების გატარების შემდეგ, ომის ჩარხის შემობრუნებაც შეძლო. რამდენიმე დღეში საჩხერე, „ხო-



გიორგი კენიგაძე

რუნჯი“ ფხაკაძის ცხენოსანმა ჯარმა ელვისებური შეტევით უკან დაიბრუნა. ამ ბრძოლებში სასტიკად დამარცხდა და ქართულ ჯარს ტყვედ ჩაბარდა მტრის 100-მდე ჯარისკაცი, ხოლო დანარჩენებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლა გრძელდებოდა. ოსები ამ ტერიტორიის დაცლას არ აპირებდნენ, მიუღ რაიონში აქტიურად მოქმედებდა ოსთა 1500 კაციანი შეიარაღებული ფორმირება, შიდა ქართლის ოსური ბანდების მეთაურების – ხარებოვისა და ჯიოევის სარდლობით. ამ ავანტიურისტებმა, უშუალო ბრძოლებში რომ ვერაფერს

მიაღწიეს, ჯავრის ამოყრა მშვიდობიან, უიარაღო მოსახლეობაზე სცადეს: სასტიკად დაარბიეს და გაძარცვეს ადგილობრივი სოფლების – ქორეთის, არგვეთის, ჩიხის, ჭალის მოსახლეობა, გააუპატიურეს ქალები, სიცოცხლეს გამოასაღმეს ყველა, ვინც კი წინააღმდეგობის გაწევა სცადა. შექმნილი კრიტიკული ვითარება მათთვის საერთო-ქართული, ეროვნული ომის გამოცხადებას მოითხოვდა.

საამისოდ ყველაფერი გაკეთდა კიდევ. ფხაკაძის ცხენოსანთა რაზმი გააძლიერეს გურიის გვარდიის ნაწილებით, ასევე არტილერიითა და კავალერიით, რომელსაც ლევან გამყრელიძე თავკაცობდა. საერთო მეთაურად კი კაპიტანი იშხნელი დაინიშნა.

17 ივლისს ქართული შენაერთები მისი სარდლობით, საერთო კონტრშეტევაზე გადავიდნენ. სასტიკი ბრძოლები ორი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ოსები დამარცხდნენ. მტრის ზარალი 160 კაცამდე აღწევდა. სასიკვდილოდ დაიჭრა მათი მეთაური ხარებოვიც, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა ომის ბედი. მალე ქართულმა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს მტრის მთავარი შტაბი სოფელ ჭალაში. ეს პრაქტიკულად, ომის დასასრული იყო – ოსებს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლოთ. ივლისის მიწურულს ქართულმა ჯარმა საჩხერის რაიონი სრულიად გაწმინდა მტრისაგან. ოსთა და მათ ჩრდილოელ დამქსთა ავანტიურა იმერეთში მორიგი მარცხით დასრულდა.

### მესამე აჯანყება ძართული აოლიტიკის საბოლოო გამარჯვება სამაჩხალოში

ორი ამბოხების შემდეგ, ოსებს ძალა აღარ შესწევდათ, 1919 წელსაც განეახლებინათ შეიარაღებული ბრძოლა და ამჯერად აქცენტი საკითხის პოლიტიკურ დარეგულირებაზე გადაიტანეს. ამ პერიოდიდან „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ“ გაამძაფრა საკითხი და უკვე, არა მარტო საქართველოდან გამოყოფის, არამედ საბჭოთა რუსეთთან შეერთების საკითხსაც სვამდა. ტაქტიკური მიზნით, საბჭო ზოგჯერ მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ისეთ პროექტებს აყენებდა, რომელსაც საქართველოს მთავრობა არასდროს დაეთანხმებოდა.



აკაკი წერეთელი



ვევენი გავეჭკორი



ვალიკო ჯულელი

მაგალითად, 1919 წლის ივნისსა და ივლისში მან საქართველოს დამფუძნებელ კრებას შესთავაზა პროექტები, რაც ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს შექმნას – თავისი კონსტიტუციითა და დედაქალაქით. ამ სახელმწიფოს უნდა შეერთებოდა ქართული სოფლები და თვით ცხინვალი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მაშინ ქართველები წარმოადგენდნენ.

საქართველოს მთავრობის პროექტით, სამაჩაბლოს ოსი მოსახლეობის აღმინისტრაციული მოწყობისათვის უნდა შექმნილიყო ჯავის მაზრა, სადაც საქმის წარმოება ოსურ ენაზე განხორციელდებოდა, მაგრამ ოსთა ეროვნულმა საბჭომ ეს პროექტი უარყო.

მშვიდობიანი მოლაპარაკებით რომ ვერაფერს მიაღწიეს, 1920 წლიდან გეზი, მოსკოვის კარნახით, კვლავ შეიარაღებული გამოსვლისკენ აიღეს. 1920 წლის 23 მარტს თვითნებურად გამოაცხადეს „სამხრეთ-ოსეთის რევოლუციური კომიტეტი“ (მთავრობა), რომელმაც საქართველოს ეს ისტორიული რეგიონი რუსეთის ფედერაციის „განუყოფელ ნაწილად“ გამოაცხადა. აჯანყებულები ცინიკურად აცხადებდნენ, რომ „სამხრეთ-ოსეთი“ საქართველოს ნაწილი „არც ყოფილა და არც იქნება“. ერთ-ერთ მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ „სამხრეთ-ოსეთი“ საქართველოს შემადგენლობაში იმ შემთხვევაშიც კი არ შევა, თუ ის გასაბჭოურდება.

განსაკუთრებით ცინიკურად ჟღერდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი ჩიჩერინის ნოტა, სადაც ის „სამხრეთ-ოსეთიდან“, ე.ი. შიდა ქართლიდან, საქართველოს ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა.

საქართველოს მთავრობას სრული იურიდიული და მორალური უფლება ჰქონდა, რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად შეიარაღებული ძალები გაეგზავნა და აჯანყება ჩაეხშო, მაგრამ მაშინ, ქვეანაში მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო: რესპუბლიკის ჯარების მთავარი ნაწილი იმ პერიოდში (1920 წლის მაის-ივნისი) ჯერ კიდევ საომარ ოპერაციებს აწარმოებდა, აზერბაიჯანის საზღვრიდან შემოჭრილი რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. კრიტიკული ვითარება შეიქმნა თვით სამაჩაბლოს ფრონტზეც: როკის უღელტეხილის რაიონში იმ პერიოდში ოსებმა მოახერხეს, დაეტყვევებინათ და მწყობრიდან გამოეყვანათ იქ განლაგებული სახალხო გვარდიის რამდენიმე ასეული. თვით გვარდიის ერთ-ერთი მეთაური, კაპიტანი ჩხეიძე იძულებული გახდა, ცხინვალი ოსებისათვის დაეთმო.

„ოღელაია დელია, მცხეთამდე სულ ჩვენია“ – მღეროდნენ ოსები. ვითარება მართლაც საგანგაშო იყო. ქართული ჯარების მთავარსარდალმა, გენერალმა კვინიტაძემ პირადად აიღო თავის თავზე ოპერაციის ხელმძღვანელობა. ამ მიზნით აზერბაიჯანის ფრონტიდან გადმოსროლილ იქნა გვარდიის 6 ბატალიონი და არტილერია. რაზმის უფროსად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი. შეიქმნა 4 საიერიშო მონაკვეთი და უკვე 14 ივნისს ქართველებმა მტრის დაჯგუფებებზე იერიში ფართო ფრონტით, ორივე ფლანგის შემოვლით განახორციელეს.

შეტევა თავბრუდამხვევი წარმატებით განვითარდა. ოსები სასტიკად დამარცხდნენ. მალე ქართველები მარშით შევიდნენ ცხინვალში. მტერი ჩვენს იერიშებს ვერ უძლებდა და პანიკურად იხევდა

უკან. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, საქართველოს მთავრობამ, „სახელმწიფო თავდაცვის საბჭოში“, ოსთა სოფლების გადაწვის გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეცვალეს, მაგრამ გვარდიის მთავარმა შტაბმა, ვალიკო ჯულელის მითითებით, თავის ბატალიონებს გადაწვა უბრძანა. მართლაც, „სახელოვანმა გვარდიელებმა“ გაძარცვეს, გადაწვეს ოსების სოფლები, გააუპატიურეს დედაკაცები. ნიშანდობლივი იყო თვით ვალიკო ჯულელის მიერვე აღწერილი ეს ამბები, 1920 წელს გამოცემულ წიგნში – „მძიმე ჯვარი“.

**Я понимал тогда Нерона, смотрящего на пожар Рима.**

იმ პერიოდში დაახლოებით 20 ათასმა ოსმა დატოვა საქართველოს ტერიტორია. ისე რომ, როდესაც 1921 წელს რუსები საქართველოში შემოიჭრნენ, მათ შიდა ქართლში ოსური ავტონომიის შესაქმნელად ნიადაგი აღარც ჰქონდათ და იძულებული გახდნენ, დასასული მიზნისათვის ხალხი ჩრდილო ოსეთიდან ხელოვნურად ჩამოესახლებინათ.

ქართული ჯარების ცხინვალის გათავისუფლებით დაწყებული წარმატებული სამხედრო ოპერაცია სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა: ოსები და მათ დასახმარებლად ვლადიკავკაზიდან შემოჭრილი რუსი ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ, დაეცალათ ქვეყნის ტერიტორია. 21 ივნისს ქართულმა ჯარმა დაიკავა მეამბოხეთა მიერ გამაგრებული უკანასკნელი პუნქტი – როკის უღელტეხილი. შიდა ქართლის დედასამშობლოსთან შემოერთების სამწლიანი ბრძოლა პირველ რესპუბლიკაში წარმატებით დაგვირგვინდა.

**ქ**ანადური უნივერსიტეტების უპირატესობა, ქვეყნის ლიბერალური იმიგრაციულ პოლიტიკასა და სწავლის შედარებით დაბალ საფასურშია.

ფრაზა „საუნივერსიტეტო ქალაქი“ მრავალი ჩვენგანისთვის, მრავალფეროვანი დაწესებულებითა და გასართობით მდიდარ, მჭიდროდ დასახლებული რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს ნიშნავს. კანადის მოქალაქეებისთვის კი ეს სიტყვები პატარა, წყნარ პროვინციულ ქალაქთან იგივედაა. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტები კანადურ მეგაპოლისებშიც არის, მაგრამ ტორონტოსა და მონრეალს „საუნივერსიტეტო ქალაქს“ ნამდვილად ვერავინ უწოდებს. „საუნივერსიტეტო“ – ეს ის ქალაქებია, სადაც უნივერსიტეტი ქალაქის დედაბოძს წარმოადგენს და რომელშიც ცხოვრება მხოლოდ უნივერსიტეტის გარშემო ჩქეფს. კანადის უმაღლესი განათლების სისტემა თითქმის იდენტურია სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების განათლების სისტემებისა. უმაღლესი განათლების მიღება აქაც მხოლოდ უნივერსიტეტში შეიძლება. სწავლების ჩვეულებრივი პროგრამა ოთხ წელიწადზეა გათვლილი. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტმა უნდა გააიაროს და ჩააბაროს 20 საგანი. შესასწავლი საგნების ნახევარი მკაცრად განსაზღვრულია სპეციალობის მიხედვით; მეორე ნაწილს კი თავად სტუდენტი ირჩევს – რაღა თქმა უნდა, იმ საგნებიდან, რომელიც ამ უნივერსიტეტში ისწავლება. ჩვეულებრივ, ამ საგანთა წრე სტანდარტულია, მაგრამ ზოგ უნივერსიტეტს, მაგალითად, არა აქვს ოურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტები. სამაგიეროდ, იქ არის „საფირმო“ სპეცკურსები, რომელთა გავლა მხოლოდ და მხოლოდ ამ სასწავლებელში შეიძლება. კიდევ, დიპლომის მისაღებად საჭიროა სადიპლომო ნამუშევრის დაწერა. თუმცა, შეიძლება ეს არც გააკეთო და ბაკალავრის დიპლომის ნაცვლად, უბრალოდ, უნივერსიტეტის



ეს არქიტექტურული შედეგრი კვიზნის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობაა, ბიბლიოთეკის შენობაა

# უმაღლესი განათლების სუპერმარკეტები

დამთავრების მოწმობა მიიღო.

შესაძლებელია ბაკალავრის ხარისხის მიღება, შემდეგ სადმე სამუშაოდ გამგზავრება და კიდევ რამდენიმე წელიწადში, მაგისტრის ხარისხის მიღება. არის კიდევ პროგრამა MBA-MASTER OF BUSINESS ADMINISTRATION – თავისებური „კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“, (MBA-ის – ამერიკული სკოლების შესახებ „გზის“ №38-ში ვწერდით. – რედ.) სადაც ლებულობენ მხოლოდ მათ, ვისაც ბიზნესში მუშაობის სტაჟი აქვს და ახლა თეორიული ცოდნის გადრმავევა განუზრახავს.

ამ ტიპური სექტის ფარგლებში კანადურ განათლების სისტემას თავისებურებებიც აქვს. ქვეყნის ყველა უნივერსიტეტი – სახელმწიფოა. სამეცნიერო სამუშაოებისა და მომსახურე პერსონალის ხელფასის ხარჯებს ინაწილებენ ფედერალური ბიუჯეტი და პროვინციის ბიუჯეტი. ამას ემატება სპონსორების დახმარება, რომელსაც ძირითადად, სასწავლებლის კურსდამთავრებულები გაიღებენ (მაგალითად, ქ. პიტერბოროს ტრენტის უნი-

ვერსიტეტს, სადაც 4000-ზე ნაკლები სტუდენტი სწავლობს, სპონსორები წელიწადში 1-დან 3 მლნ დოლარამდე ურიცხავენ). სწავლა, რა თქმა უნდა, ფასიანია, მაგრამ კანადის მოქალაქეებს რეალური საფასურის შესამუდის გადახდა უწევთ, დანარჩენ თანხას ისევ სახელმწიფო ფარავს. ცხადია, კანადის ფინანსური შესაძლებლობები იმსაც გასწვდებოდა, რომ უმაღლესი განათლება იქ სულაც უფასო ყოფილიყო, მაგრამ უფასოდ მიღებული ნებისმიერი სიკეთე ფსიქოლოგიურადაც უფასურდება. წელიწადში 4 ათასი კანადური დოლარი კი არც ისე დიდი თანხაა, რომ ნებისმიერმა საშუალო კანადურმა ოჯახმა ვერ გადაიხადოს (მით უმეტეს, რომ თავისუფლად შეიძლება, ეს ფული ბანკიდან სესხად აიღო – ვალს შემდეგ თავად უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გადაიხდის, როცა სამუშაოზე მოეწყობა), და საკმაოდ მაღალიც არის საიმიზოდ, რომ სტუდენტმა თავისი მოვალეობები არ უგულვებლყოფს.

კანადურ უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების მიღება საერთო წესის საფუძველზე ხდება, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, სხვა ქვეყნის მოქალაქე სწავლების მთელი საფასური – წელიწადში 10-12 ათასი კანადური დოლარი (დაახლოებით 7-8 ათასი ამერიკული დოლარი) უნდა გადაიხადოს.

**საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა მთლიანად კომპიუტერიზებულია**



კანადის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის გაცნობისას, რა თქმა უნდა, ადგაფროთოვანებთ ის ტექნიკური შესაძლებლობები, რომელზეც ნებისმიერ სტუდენტს მიუწვდება ხელი. ატომური რეაქტორი მაკმასტერის უნივერსიტეტში, კლიმატური ლაბორატორია ტრენტის უნივერსიტეტში მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის კი არა, უმაღლესი კლასის კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად გამოდგება; ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერების რაოდენობით კი კანადის უნივერსიტეტებს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ. მაგრამ ყოველივე ეს, მაინც ფულის საკითხს უკავშირდება და ალბათ, მოვალდრო (დმერთმა ქნას!) და მსგავსი ტექნიკური საშუალებები ქართველი სტუდენტებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება.

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი საბჭოურ და, თუ გნებავთ, ჩვენს ახლანდელ უმაღლესი განათლების სისტემასა და კანადურ უმაღლეს სკოლებს შორის ის არის, რომ კანადის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტი განიხილება, როგორც ზრდასრული, სერიოზული ადამიანი, რომელმაც ცოდნის მისაღებად საკუთარი ფული გადაიხადა და, რა თქმა უნდა, მის საფასურად მაქსიმუმის მიღება სწავლია, და რომ ის უნივერსიტეტში სერიოზული მუშაობისთვის მოვიდა.

ცნობილ ფრაზას – „სტუდენტები სესიიდან სესიამდე მხიარულად ცხოვრობენ“, კანადელი სტუდენტები ნამდვილად ვერ გაიგებენ. ყოველი სემესტრი დატვირთულია ლექციებით, სემინარებითა და TUTORIALS-ებით – რაც დამოუკიდებელ სამუშაოს ნიშნავს. მაგალითად, კინზის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის სტუდენტის კვირის ჩვეულებრივი ნორმა ერთ საგანში – 500 გვერდიანი ტექსტი და ერთი-ორი ლაბორატორიული სამუშაო. გააცდენ – ვერ ჩააბარებ! – აანაზღაურებ – ზომ კარგი, ვერ „გაქაჩავ“ და – მიბრძანდი: ის სტუდენტები, რომლებიც პროგრამას ვერ დაძლევენ, უნივერსიტეტს არ სჭირდება, რაც უნდა პუნქტუალურად იხდიდნენ სწავლის საფასურს. ამასთან, სტუდენტი თავად წყვეტს, თუ როდის რა უნდა გააკეთოს თავისი ძირითადი ამოცანის გადასაჭრელად. ბიბლიოთეკებზე, კომპიუტერებსა და მისთანებზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუ სტუდენტს ესაჭიროება დამატებითი ან ინდივიდუალური მეცადინეობები, რომელიმე ლაბორატორიაში შეს-

ვლა, გამოცდების დროზე ადრე ჩაბარება, ან კიდევ სხვა ამგვარი რამ – მას აუცილებლად ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს. არაჩვეულებრივ სპორტულ დარბაზებსა და საცურაო აუზებში ნებისმიერ დროს შეუძლია შევიდეს და დარჩეს, რამდენ ხანსაც მოესურვება. ის კი არა, სამუშაო დღის საათებში სტუდენტს პირდაპირ უნივერსიტეტის პრეზიდენტის კაბინეტის წინ (იქ პატარა ტახტიცც დგას) ძილსაც კი არავენ დაუშლის, არც არაფერს ჰკითხავენ – რადგან სძინავს, ე.ი. ეს მას უკეთესად სწავლისთვის სჭირდება – ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ყველგან და ყოველთვის გარანტირებულია – როდესაც ამა თუ იმ სამუშაოში მიღებულ შეფასებებს აქვეყნებენ, ნიშნების გვერდით, გვარების ნაცვლად, პირობით ნომრებს წერენ. თავისი ნომერი ყველა სტუდენტმა იცის და თავის შეფასებას იპოვის. თანაკურსელთა მიღწევების ცოდნა კი მას სულაც არ ესაჭიროება. კანადური უნივერსიტეტები იმდენად პოპულარული არ არის, რამდენადაც ცნობილი ამერიკული სასწავლებლები, მაგრამ მათ თავიანთი უპირატესობები აქვთ.

ჯერ ერთი, კანადაში სწავლა ორჯერ უფრო იაფია, ვიდრე იმავე დონის აშშ-ის უნივერსიტეტში (კანადის საუნივერსიტეტო ქალაქებში ნარკომანიისა და დამნაშავეობის დონეც გაცილებით დაბალია). მეორეც – კანადა იდეალური „სასტარტო ადგილია“ მათთვის, ვისაც სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობა გადაუწყვეტია. თუკი შეერთებული შტატები და დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, შეზღუდონ ყოველგვარი იმიგრაცია,

უზარმაზარი და მცირედ დასახლებული კანადა (რომლის მოსახლეობა სულ 30 მილიონს შეადგენს) მხოლოდ პოტენციური უსაქმურებისგან იცავს თავს. მუშახელის, განსაკუთრებით კი კვალიფიციური მუშაკების საწინააღმდეგო, ამ სახელმწიფოს არაფერი აქვს, უფრო მეტიც – იგი ზოგიერთი სპეციალობის (კომპიუტერის, ბიოტექნოლოგიებისა და ზოგი სხვა პროფესიის) მქონე ადამიანების მიზიდვასაც კი ცდილობს. ამასთან, კანადელ სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი ხშირად დიდი სამხრეთელი მეზობლისაკენ მიილტვის, სადაც ხელფასები უფრო მაღალია.

რადგან ითვლება, რომ უნივერსიტეტში ადამიანი სწორედ პროფესიის მისაღებად აბარებს, სტუდენტს ჩასვლისთანავე შეუძლია, მოითხოვოს კანადაში ბინადრობის მოწმობა. ნახევარი წლის შემდეგ, ის ამ მოწმობას მიიღებს, სწავლის დამთავრების შემდეგ კი (სხვათა შორის, უნივერსიტეტდამთავრებულ სტუდენტს შეუძლია 1 წელი კანადაში ლეგალურად იმუშაოს), კანადის მოქალაქეობაზეც შეიძლება „ჩალიჩი“. კანადის მოქალაქეობა კი, თავის მხრივ, შტატებში შესვლისა და იქ ლეგალური სამუშაოს მიღების საშუალებასაც იძლევა.

დასასრულ, ამ ორი ქვეყნის შედარების შემდეგ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: სწავლა და პენსიაზე ცხოვრება კანადაში სჯობს, მუშაობა კი – შტატებში! ამის მიზეზი – მაღალი კანადური გადასახადებია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახეობის სოციალურ გარანტიას, მაგრამ აფერხებს საქმიან აქტიურობას და ხელფასების ზრდას. ■



საუნივერსიტეტო კამპუსი ღია ცის ქვეშ მოწყობილ ერთ დიდ აუდიტორიას მოგაგონებთ



1900 წლის კავკასიის სამრეწველო გამოფენის პავილიონი თბილისში

დღეს წარმოუდგენელია ბიზნესი რეკლამის გარეშე. წარმოებული პროდუქცია იქნება ეს თუ შემოთავაზებული მომსახურება — მართო ხარისხი და ხელმისაწვდომი ფასი სულაც არ არის საკმარისი. ისეთ „ბრჭყვიალა ქალაქში“ უნდა იყოს შეხვეული, რომ პოტენციურ მყიდველს „შავი თეთრად“ და „ნახვი ოქროდ“ თუ არ მოეჩვენება, საქონლის ნამდვილი ღირსება მაინც სრულად უნდა ჩანდეს.

# რეკლამა მოქარბეზუკოი არასოლეს ყოფილს

გვიან გურული

შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი გიგანტი კომპანიები, როგორცაა „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ და „ფილიპ მორისი“, თავიანთი შემოსავლების უმეტეს ნაწილს რეკლამაზე ხარჯავენ, იმის მიუხედავად, რომ მათ პროდუქციას ყველა კარგად იცნობს. აღარაფერს ვამბობთ პატარა ფირმებზე, რომლებიც თანამედროვე ბიზნესის ელემენტარული კანონების მიხედვით, იმისათვის რომ პატარა „კუნჭული“ დაიმკვიდრონ თითქმის შევსებულ ბაზარზე, საერთოდ უარს ამბობენ მოგებაზე პირველ ხანებში და ისევ და ისევ „აგოტაცია-პროპაგანდას“ — რეკლამას ახარჯავენ დიდი შრომის ფასად ამოგებულ თანხას...

ჯერ კიდევ ათი-თხუთმეტი წლის წინ — „საბჭოთა ეპოქაში“ წარმოუდგენელი იყო რეკლამისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიცემა — თბილისშიც არსებობდა „სახელმწიფო სარეკლამო სააგენტო“, რომლის მთავარი, შეიძლება ითქვას ერთადერთი ფუნქცია, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (მათ შორის მაღაზიების) აბრების დამზადება იყო, რეკლამის (თანამედროვე გაგებით) ყოველგვარი ელემენტების გარეშე. ეგ კი არა, თვითონ სიტყვა „რეკლამა“ იმ დროში, ისევე როგორც „კოკა-კოლა“, „ბიზნესი“, „ჯინსი“ და სხვა, „კაპიტალიზმთან“, ანუ რაღაც უცხოსა და მიუღებელთან ასოცირდებოდა და არაოფიციალურად, მაგრამ მაინც თითქოს ტაბუდადებული იყო. ერთადერთი, რაშიც ნამდვილი რეკლამის ელემენტები ერია, შემნახველი ბანკებისა და „გოს-

სტრახის“ მოწოდებები იყო — ფულის შენახვასა თუ ლატარიის ბილეთების შესყიდვაზე და სიცოცხლისა თუ ქონების დაზღვევაზე...

რა ხდებოდა ჩვენში, კონკრეტულად თბილისში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, — მაშინ, როდესაც მძლავრად იდგამდა ფეხს კაპიტალისტური წარმოება რუსეთის იმპერიის განაპირა — თბილისის გუბერნიაში და ამ ქალაქში, როგორც კავკასიის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ცენტრში, უკვე იკვებებოდა სხვადასხვა მოქიშპე ფირმის (უცხოურ ფირმებს ვგულისხმობთ) ინტერესები... თუმცა ჯანსაღი კონკურენციის უკმარისობა არც ადგილობრივ მწარმოებლებს შორის იგრძნობოდა და ამ კონკურენციისა და პროდუქციის დეფიციტის არარსებობის ლოგიკური შედეგი, ცხადია, რეკლამის არსებობა იყო და თბილის-ქალაქის შენობათა ფასადები, სპეციალურად მოწყობილი სტენდებისა თუ საგაზეთო ფურცლები, რეკლამის შემქმნელებისა და შემკვეთების ფართო ასპარეზად იქცა...

საგანგებოდ ღირს ყურადღების გამახვილება ადგილობრივი, ქართული წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეკლამაზე. როდესაც მიტროფანე ლალიძემ თავისი ლეგენდარული ხილუული წყლების დამზადება და გაყიდვა დაიწყო ქუთაისში, იქ უკვე არსებობდა რამდენიმე ფირმა, რომელიც ანალოგიურ პროდუქციას აწარმოებდა და ლიმონათიც უკვე ჩვეულებრივ „წევრად“ ითვლებოდა ქუთაისელთა სუფრის მენიუში — თუნდაც „გებლიდის წყლები“, რომელიც

საყოველთაო მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ ხარისხთან ერთად, ჭკვიანური რეკლამაც გახდა საფუძველი მიტროფანე ლალიძის გამოგონების უსაზღვრო წარმატებისა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც მან თავისი წარმოების გაფართოება და აღმოსავლეთ საქართველოს — თბილისის ბაზრის „დაპყრობა“ გადაწყვიტა. აქ კიდევ უფრო დიდი იყო კონკურენცია, ვიდრე ქუთაისში — ლიმონათის რამდენიმე მწარმოებელს შორის გამოირჩეოდა ლეგენდარული ზემელი, გერმანელი მეაფთიაქე, რომლის სახელიც საშუალოდ შერჩა დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს. ზემელს აფთიაქის გარდა, ლიმონათისა და ბურახის წარმოებაც ჰქონდა. საერთოდ, ხილუული წყლების წარმოება რომ დღევანდელივით ჰაიპარად არ ხდებოდა — როდესაც ე.წ. „მცირე საწარმოები“ ბინძურ სარდაფებში, გაურეცხავ ბოთლებში ასხამენ „შაქარწყალს“ (ხშირად შაქარსაც სახარინით ცვლიან — უფრო იაფია) — ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი დამამზადებლები ხშირად პროფესიონალი ქიმიკოსები ან ფარმაცევტები იყვნენ, ზემელის გარდა, თვით ლალიძის პოლონელი მასწავლებელიც ხომ პროვიზორი იყო და ლიმონათების „მსოფლიო ჩემპიონი“ — „კოკა-კოლაც“ თავის ტკივილის წამლად დამზადდა თავდაპირველად და აფთიაქში იყიდებოდა...

ერთი სიტყვით, 1880-იანი წლების ბოლოს თბილისში გაჩნდა ლამაზად გაფორმებული სარეკლამო აბრები (რომელიც შემდეგ ეტიკეტად იქცა), სადაც ქართულ კაბაში გამოწყობილი ბან-

ოვანი, ლალიდის ლიმონათს მიირთმევდა. რეკლამა მომხმარებელს მოუწოდებდა: „მოითხოვეთ ყველგან – გემო და სუნის საამური აქვს“ და ბოლოში მრავლისმთქმელი „მინაწერი“: „მოერიდეთ სიყალბეს!“ ამგვარი შინაარსის აბრა ლალიდის ქარხნის პირველი მაღაზიის თავზეც გაჩნდა გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე და... დიდ წინააღმდეგობასაც წააწყდა ხელისუფალთაგან: საქმე ის იყო, რომ პირველი და შემდგომშიც, კარგა ხანს ერთადერთი აბრა თუ რეკლამა იყო, რომელიც მხოლოდ ქართულად იყო შედგენილი! ლალიდეს დიდი „ჭიდაობა“ დასჭირდა ამ „თავხედობის“ შესანარჩუნებლად – ცხადია, არავის ეპარება ეჭვი ლალიდის პატრიოტობაში, მით უმეტეს, რომ საყოველთაოდ არის ცნობილი მისი ეროვნული მოღვაწეობა (ამის შესახებ ჩვენი ჟურნალიც წერდა), მაგრამ ქართულ რეკლამასთან დაკავშირებულ „სიჯიუტეში“ არა მხოლოდ პატრიოტის, არამედ მეწარმის დიდი ნიჭიც ჩანს – გარუსებული გერმანელი ზემელისა თუ სხვათა პროდუქციას ქართველებს ქართული ლიმონათი ერჩიათ, მით უმეტეს ხელისუფლებისაგან აღნიშნული წინააღმდეგობის გამო, რომელიც საკმარისზე მეტად იყო აჟიტირებული.

ეს, ასე ვთქვათ – „ეროვნული მომენტი“ რეკლამაში რომ მართლაც მნიშვნელოვანი იყო, ერთი ასეთი ფაქტიც ადასტურებს: თვით დიდი დავით სარაჯიშვილიც, იმის მიუხედავად, რომ ემორჩილებოდა დადგენილ წესს და რუსულად ადგენინებდა ეტიკეტებისა თუ რეკლამების ტექსტს, თავისი წარმოების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სასმელს – ალუბლის ნაყენს, ე.წ. „ვიშნიოვკას“, „ალუბალი“ დაარქვა და ეს სიტყვა, თუმცა რუსული ასოებით, მაგრამ „ქართულად“ დააწერინა: **Алубали...**

საუკუნეთა მიჯნის თბილისში თანამედროვე რეკლამის არც ერთი სახეობა, „ჩანასახის მდგომარეობაში“ მაინც, არ იყო უცხო – ასე გასინჯეთ, ჯერ კონკის, მოგვიანებით კი ტრამვაის ვაგონებიც კი „ათვისებული“ ჰქონდათ გამჭრიახ სარეკლამო აგენტებს. სარეკლამო აგენტიც არ გვიხსენებია შემთხვევით – დღეს მთელი ინდუსტრია რეკლამის დამზადება და განთავსება და ხშირად ამ საქმეს ერთი და იგივე ფირმა იღებს თავზე თავიდან ბოლომდე – მარკეტოლოგების, ეკონომისტების, მხატვრების, ფსიქოლოგებისა და სხვა პროფესიების უამრავი ადამიანი უდიდესი ფანტაზიისა და შრომის ფასად პირველხარისხოვან მომსახურებას სთავაზობს მწარმოებლებს: თვითონ ზრუნავს შემკვეთის იმიჯსა თუ პროდუქციის სასაქონლო სახეზე და მყიდველამდე მომგებიანად მიტანასაც უზრუნველყოფს. ასი წლის წინ, ცხადია, ასე არ იყო დახვეწილი სარეკლამო ინდუსტრია, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამზადებდნენ სარეკლამო აბრებს, საჭიროების შემთხვევაში თვითონვე სთავაზობდნენ ესკიზებს შემკვეთს და ქალაქის მმართველობაშიც თვითონვე „ეგზავნებოდნენ“ რეკლამის განთავსებაზე უფლების მისაღებად.

რეკლამის აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ მას შემდეგ დადგა, რაც თბილისში უცხოური ცნობილი ფირმების წარმომადგენლები გაიხსნა – „სიმენსი“, „ზინგერი“, „ვან გუტენი“... მთელი მსოფლიოში ცნობილი კომპანიები უკვე რეკლამის მხრივაც მომზადებულები ჩამოვიდნენ საქართველოში.



მაგალითად, ჰოლანდიური ფირმის „ვან გუტენის“ კაკაოს რეკლამებით აჭრელებული იყო მაშინდელი გაზეთები და სტენდები. საჭიროც იყო, რადგან კაკაო – ეს ახალი ცხელი სასმელი

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენში, გემოს გარდა უნიკალურ სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ და „ვან გუტენის“ შემოსვლამდე უკვე რამდენიმე ფირმა ვაჭრობდა კაკაოს ფხვნილითა და შოკოლადით. საკერავი მანქანების მსოფლიო გიგანტი – „ზინგერი“ (იგი დღესაც ასეთად რჩება), რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა კავკასიის ბაზარს, სანამ თბილისში მაღაზიას გახსნიდა. სწორედ ისე, როგორც დღეს – საუკუნის შემდეგ ხდება, საკუთარი საწყობისა და მაღაზიის გახსნას დიდი სარეკლამო კამპანია უძღოდა წინ. ჯერ გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ მალე თბილისელებს პეტერბურგიდან და ვერობიდან არ დასჭირდებოდათ „სანუკვარი ზინგერის“ გამოწერა, შემდეგ ეწერა, რომ სულ ორი თვე დარჩა „დიასახლისის ბედნიერებამდე“ და ა.შ. თითქმის ზუსტად ისე, როგორც გასულ წელს – როდესაც მობილური ტელეფონების ერთ-ერთი ფირმა, საქართველოში ამუშავებამდე, დღეებს გვითვლიდა, ტელევიზიასა და სარეკლამო დაფებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ „ზინგერის“ ფირმას, იმავე „ვან გუტენისა“ და სხვებისაგან განსხვავებით, გამზადებული სარეკლამო აბრების ესკიზები არ ჩამოუტანია, რომელიც ყველა ქვეყანაში გამოდგებოდა – იგი პირველი უცხოური ფირმა იყო, რომლის რეკლამებზეც „ზინგერის“ საკერავ მანქანასთან



მჯდომი ქართველი ქალი იყო გამო-სახული და ეს ხერხი კარგად „მუშაობდა“. ამ მეთოდს შემდეგ ბევრ-მა მიმართა — კალოშების მწარმოე-ბელმა ამერიკულმა ფირმამ, ფრანგუ-ლი პარფიუმერით მოვაჭრეებმა და სხვებმა.

1889 და 1901 წლების სამრეწვე-ლო გამოფენები, რომლებმაც თბილის-ში თავი მოუყარა მთელი კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის საუკეთესო საწარ-მოების პროდუქციის ნიმუშებს, ყველაზე მეტად სწორედ სარეკლამო დანიშნულე-ბას ატარებდა და შესანიშნავად შეა-სრულა ეს ფუნქცია — ყოველ შემთხ-ვევაში, დამთვალიერებელი არ მოჰ-კლებია. რაც შეეხება რეკლამას — სხვადასხვა ფირმა ერთმანეთს ეჯი-ბრებოდა პავილიონის სხვაზე ორიგი-ნალურად მოწყობასა თუ დამთვალიერე-ბლის პატივისცემაში.

ხალხს იქვე შეეძლო გაესინჯა რე-კლამირებული ღვინო, კონიაკი თუ სხვა პროდუქცია. ზოგიერთი ფირმა კი, რომელიც ძვირად ღირებული პროდუ-ქციით ვაჭრობდა, თუნდაც იგივე „ზინგერი“, ყოველ მეთაზე დამთვალიერ-ებელს საკერავი მანქანით აჯილდოებ-და — დაგვეთანხმებით, რომ ესეც თან-ამედროვე რეკლამის ერთ-ერთი კო-მპონენტია.

სხვათა შორის, თბილისში პირვე-ლი სარეკლამო პროსპექტებიც მაშინ გაჩნდა — ცხადია, ისინიც უფასოდ რიგდებოდა.

როგორც ხშირად ხდება, რეკლამა მახვილგონივრული გამონათქვამის სახ-

ით იყო წარმოდგენილი და არცთუ ისე იშვიათად, კომიკური სიტუაციაც იქმნებოდა. მაგალითად, ასეთი ფრაზა: „იჩქარეთ, მომენტალური სიკვდილი გა-რანტირებულია! მაგრამ საშიში არაფე-რია“ — საქმე თავგებისა და ვირთხე-ბის საწამლავს ეხებოდა.

გარდა ამისა, ისევე როგორც ყველა დროში, არც მაშინდელი თბილისი იყო თავისუფალი შარლატანებისა და მათი რეკლამებისგან და ისევე, როგორც დღეს, ეს რეკლამები ძალზე რესპექტაბელური გახეთების, თუნდაც „ივერის“ ფურ-ცლებზეც ხვდებოდა. მაგალითისთვის „თმების ამოსაყვანი საშუალების“ რე-კლამაც კმარა, რომელსაც სახელიც შარლატანური — „ტიფლისინი“ ერქ-ვა. ამ რეკლამამ კარგა ხანს არ და-ტოვა „ივერის“ ბოლო გვერდი. ცალკე საუბრის თემაა საგაზეთო რეკლამები. ცხადია, მაშინ, როდესაც არ არსებობდა რადიო და ტელევიზია, გაზეთი ერთად-ერთ საშუალებად რჩებოდა რეკლამის გასავრცელებლად და ამ საშუალებას მაქსიმალურად იყენებდნენ რეკლამის შემკვეთები — გაზეთების პირველი და ბოლო გვერდები მთლიანად სარეკლა-მო განცხადებებით იყო შევსებული. ღარიბი ქართული გაზეთების შემოსავ-ლების ერთ-ერთ ძირითად წყაროსაც რეკლამა წარმოადგენდა და ისევე როგორც დღეს, სხვადასხვა ტარიფი იყო დადგენილი გვერდში ადგილის, განცხადების ზომისა თუ გამოქვეყნე-ბის სიხშირის მიხედვით.

თვით მკვეთრად პოლიტიკური მი-მართულების გაზეთების რედაქციებიც

კი, ჩვეულებრივ ამბად თვლიდნენ იმას, რომ პირველი გვერდი, რა მნიშვნელო-ვანი ამბავიც უნდა მომხდარიყო, უუჭვე-ლად რეკლამას დაეკავებინა. მაგალი-თად, 1912 წლის გაზეთ „თემის“ იმ ნომერში (ეს ფედერალისტების გაზე-თი იყო, ერთ-ერთი ყველაზე მრავალტი-რაჟიანი და ხალხში პოპულარული), რომელიც დიდი ქართველი მოღვაწის — იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალე-ბას იუწყება, ნეკროლოგის ზემოთ, პირვე-ლი გვერდის დიდი ნაწილი მაინც გრამოფონების რეკლამას უკავია.

ასეთი პრაქტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც გავრცელდა: მთავრობის ოფიციალური გაზეთი — „საქართველოს რესპუბლიკა“, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი — „ერთობა“ და მრავალი სხვა, ჯერ რე-კლამებსა და განცხადებებს ბეჭდავდა და შემდეგ საქვეყნო ამბებს.

ეს პერიოდი — 1918-1921 წლები, ამ მხრივაც ძალზე საინტერესოა და იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნე-ბულ განცხადებებზე ერთი თვალის გა-დავლებაც საკმარისია იმის გასაგებად, რომ საყოველთაოდ გავრცელებული სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, მა-შინ ე.წ. კოოპერატივებსა და მანუფაქ-ტურებში მაინც არავითარი საქონლის დეფიციტი არ იყო და მეტიც — რეკ-ლამასაც საჭიროებდა.

რადიკალურად შეიცვალა მდგომარ-ეობა საქართველოს „გაწითლების“ შემ-დეგ — ცოტა ხანს კი, მაგრამ ე.წ. „ნების პერიოდის“ დასრულების შემ-დეგ, განცხადებების ერთადერთი „სახეო-ბა“, რომელიც ბოლშევიკურ გაზეთებ-ში იბეჭდებოდა, სამგლოვიარო განცხ-ადებები იყო.

არც სხვა — არასაგაზეთო რეკ-ლამების ინდუსტრია წასულა წინ და, როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვით, არაფრის მოქმელი აბრებით შემოიფარ-გლა — სურსათის მაღაზიას „სურ-სათი“ ეწერა და ფენსაცმელებისას — „ფენსაცმელი“. ეს იყო და ეს...

საბაზრო ეკონომიკამ „საბაზრო რე-კლამაც“ მოიტანა. დღეს აღარავის გვიკვირს „კოკა-კოლა“ და „მაკლო-ნალდსი“ თუ ჩვენი „ბორჯომი“ და „ყაზბეგი“. თუმცა, როგორც ფსიქოლ-ოგები ამტკიცებენ, გადაჭარბებული რე-კლამა, შესაძლოა, ანტირეკლამად იქც-ეს...



დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახელი რომ არ გაეგონოს — თუნდაც ვერ ერკვეოდეს ფეხბურთში და ეს, მართლაც ზეპოპულარული თამაში დიდად არც აინტერესებდეს.

„ალისფერი ეშმაკუნები“, როგორც სშირად მოიხსენიებენ ამ გუნდს გულშემატკივრები, პოპულარობით დღესდღეობით ყველა საფეხბურთო კლუბზე მაღლა დგას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ საფეხბურთო კლუბი.

მის სიდიადესა და პოპულარობას გულშემატკივართა სიყვარული განაპირობებს, ასეთი ტკბილი და ურთიერთშენამებული ურთიერთობა კი გუნდსა და ქომაგს შორის, უკვე საუკუნეზე მეტია, გრძელდება.



# დაფერული გუნდის ამბავი

## ლამა გოდუაძე

თანამედროვეობის უძლიერესი ინგლისური საფეხბურთო კლუბის ისტორიას დაუვიწყარი გამარჯვებებიც ახსოვს და მწარე მარცხიც, ამაღლებაც და დაცემაც, მაგრამ უკლებლივ ყველა შემთხვევაში, ლხინსა თუ ძნელბელობის ჟამს „მანჩესტერ იუნაიტედს“ არასდროს მოჰკლებია გულშემატკივრების სიყვარული.

1958 წელს, 6 თებერვალს, ამ დიდი კლუბის ისტორიაში შავი ფურცელი ჩაიკრა ნიშნად დიდი ტრაგედიისა, გუნდმა რომ გადაიტანა.

იმ ცივ საღამოს კლუბის ისტორიის ერთი, მართლაც რომ ოქროს მონაკვეთი დასრულდა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქომაგთა გულებში.

თუმცა ის საღამო ყველაფრის დასასრული არ ყოფილა. პარადოქსია, მაგრამ სწორედ იმ საღამოს ჩაეყარა საძირკველი დიდ გუნდს, რომელმაც მომავალში ევროპული საფეხბურთო მწვერვალი დაიპყრო.

... მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, როცა დედამიწის მოსახლეობა ორ მილიარდს არ აღემატებოდა, იმ ადგილზე, სადაც რკინიგზა გადიოდა, ოცდაათამდე მუშამ მოიყარა თავი და ბურთის თამაში დაიწყო. ფეხბურთი ფენს იდგამდა და ელიტის წრეებში სულაც არ იყო

პოპულარული. მუშების შერჩეულ ადგილს — ქვებით სავსე მინდორს, ნიუტონ ჰითი ერქვა. მალე ამ სახელწოდების კლუბიც დაარსდა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაარსების თარიღად 1878 წელი ითვლება, თუმცა იმ წლებში გუნდს სხვა სახელი — „ნიუტონ ჰით ლოკომოტივი“ ერქვა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — „ალისფერი ეშმაკუნები“ წინამორბედი კლუბი მწვანე-ყვითელ სამოსში გამოდიოდა სათამაშოდ და საერთოდ, ის გუნდი დღევანდელისგან ყველაფრით განსხვავდებოდა.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მეოცე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ სწორედ „ნიუტონ ჰით ლოკომოტივისგან“ „იშვა“, სახელი კი, რომლითაც საქვეყნოდა ცნობილი, 1902 წელს დაენათლა.

1911 წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონატს იგებს — ქვეყნის უძლიერესი კლუბი ხდება. ამ გამარჯვებას, რომელიც, სხვათა შორის, მეფე ჯორჯ მეხუთის ტახტზე ასვლას დაემთხვა, 37 მოუსავლიანი წელიწადი მოსდევს და სანამ გუნდი იმ პერიოდში ზედა და ქვედა ლიგებში დარბოდა, მანჩესტერის მეორე კლუბი — „მანჩესტერ სიტი“ ლიდების ზენიტში იმყოფებოდა.

სიტელთა შემადგენლობაში ბრწყინავს მატ ბასბი, დახვეწილი თავდამსხმელი, რომელიც, ბედის ირონიით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება: ის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ააღორძინებს, მასთან ერთად გადაიტანს 1958 წლის ავიაკატასტროფას და გუნდს ძნელბელობის ჟამს მსხნელად მოეკვლინება.

... მეორე მსოფლიო ომმა ინგლისური ქალაქებიც შემუსრა, მათ შორის — მანჩესტერიც. ქალაქი ნანგრევებად არის ქცეული, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მშობლიური სარბიელი „ოლდ ტრაფორდი“ კი, ფაქტობრივად, აღარც არსებობს.

...1945 წლის 18 თებერვალს (ისევ თებერვალი!) სტადიონის ოფისში კლუბის თავმჯდომარემ ალან გიბსონმა მალალი, გამხდარი კაცი მიიღო.

— ჩემი სახელია მატ ბასბი, სერ, — თქვა ახალმოსულმა და გიბსონს ხელი გაუწოდა.

— დიას, როგორ არა, გამარჯობათ, დაბრძანდით — „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავმჯდომარე მართლაც ელოდა ამ კაცს. ბასბის შესანიშნავი საფეხბურთო კარიერა მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა. გიბსონს ძალიან კარგად ახსოვდა „მანჩესტერ სიტის“, „ლივერპულის“ ყოფილი ვარსკვლავი, შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი. ომიდან დაბ-



1948 წელს სასწაულებრივად მოგებული ინგლისის თასის ფინალი

რუნებული ოცდათხუთმეტი წლის მატ ბასბი ახლა მის წინ იდგა.

– შევიტყვე, მწვრთნელი გჭირდებოდა... ვიფიქრე, გამოგადგებოდა. – თქვა ბასბიმ.

– ფეხბურთელები არ გყავს. ვინც კი ახალგაზრდა იყო, ომმა ყველა დააბერა, – უბასუხა შეწუხებულმა გიბსონმა.

– არა უშავს, მე უბრალოდ, ისეთი მოთამაშეების გაწვრთნა მსურს, რომლებმაც სულერთი არ იქნება, ვინ არის მათი მწვრთნელი, – თქვა ბასბიმ.

საკვირველია, მაგრამ ახალი გუნდის შესაქმნელად ბასბის თითქმის არ დაუხარჯავს ფული. ის და მისი თანაშემწე, ჯიმი მერფი სულ სხვა, უდავოდ სწორ და მართებულ გზას დაადგინეს. მატ ბასბის მიანდა, რომ „გაკეთებული“ ფეხბურთელის ყიდვას, სპორტსმენის „შექმნა“ სჯობდა. ამისთვის მან მთელი ძალით ამოქმედა სარეზერვო შემადგენლობა და კლუბის ახალგაზრდული გუნდები.

როგორი იყო თავად ახალი მწვრთნელი? – გულდია, გამჭრიახი, საქმიანი, გასაოცარი საფეხბურთო თვალის მქონე. მას არ სჭირდებოდა უბრალოდ კარგი მოთამაშე – ის თვლიდა, რომ სტადიონის მომვლელსაც კი კლუბის წევრად უნდა ეგრძნო თავი, აქედან გამომდინარე, ძალიან აფასებდა ადამიანებთან ურთიერთობას და ცდილობდა, გუნდის ყველა წევრში, პირველ რიგში, კარგი ადამიანი დაენახა.

„მე ყოველთვის ასეთი შეხედულება მქონდა: როდესაც ტრიბუნაზე დგახარ

და მოედანზე მოთამაშე ფეხბურთელი იხიბლები, ეს ალტაცება არ უნდა გაგიქრეს, როცა დაბლა ჩახვალ და მოედნის კიდეზე შეხვდები მას. ფეხბურთელი ღირსეული კაცი უნდა იყოს. მან დიდება და პატივი უნდა მოუტანოს ქვეყანას და კლუბს, თავისი ძალა კი ყველგან უნდა დაამტკიცოს. მიხარია, რომ ჩემი ბიჭები მარტო ნიჭიერი და ჭკვიანი ფეხბურთელები კი არა – ამავდროულად პატიოსანი და წესიერი ადამიანებიც არიან. ამ ბიჭებს დიდ ფეხბურთში ველი. მგონია, რომ ჩვენ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ უფროსობა სწორედ მოაზროვნე ხალხი ვართ და სწორად მოაზროვნე ხალხს „ეკმნით“. ჩვენ ხასიათებს „გაშენებთ“ – მატ ბასბის ეს წერილი, უფრო სწორად კი, ამონარიდი წერილიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთ სამატჩო პროგრამაში დაიბეჭდა.

... მალე ბასბის თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო – რამდენიმე წლის წინ დათესილმა იხარა და ნაყოფიც მოიხსა: 1947 წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ჩემ-

პიონატში მეორე ადგილზე გავიდა. 1948 წელსაც იმავე ადგილზე დაასრულა სეზონი. მომდევნო სამ წელსაც კლუბი მეორე იყო, 1952-53 წლების სეზონში კი ნანატრი ჩემპიონობაც მოვიდა.

მაგრამ ბასბის პირველი დიდი გამარჯვება 1948 წელს მოგებული ინგლისის თასი გახლდათ – ფინალში, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე რომ შედგა, მანჩესტერელებმა ლეგენდარული სტენლი მეტიუზის „ბლეკპულს“ სასწაულებრივად მოუგეს.

თავად ბასბი ხშირად ამბობდა: „ფეხბურთის არსი სილამაზეში, თავგანწირვასა და შეტევაშია. მას თამაშობენ პიროვნებები პიროვნებებისთვის და ეს თამაში მაშინ არის სწორი, როცა ორივე ნასიამოვნები რჩება – მაყურებელიც და მოთამაშეც“.

„ბასბის ჩვილებიც“ ამისთვის იყვნენ დაბადებულნი – თავიანთი თამაშით მილიონობით გულშემატკივარი გაეხარებინათ.

ბელგრადიდან მანჩესტერს მიმავალი თვითმფრინავი მიუნხენის აეროპორტში საწვავის დასამატებლად დაემუხა (ჩემპიონთა თასის გათამაშების მოთხელფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იუგოსლავიელები ორი მატჩის ჯამში დაამარცხა). როგორც მოგვიანებით გაირკვა, თვითმფრინავს ნისლიან ალბიონზე დაბრუნება არ ეწერა.

ფრენკ ტელიორის, აფეთქებული

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავები – დენის ლოუ და ბობი ჩარლტონი (მარჯვნივ)**



თვითმფრინავის ერთ-ერთი სასწაულად გადარჩენილი მგზავრის მოგონებებიდან:

„ჩვენმა თვითმფრინავმა სამჯერ სცადა მიუნხენის აეროდრომიდან აფრენა, მესამე ცდა კი კატასტროფით დასრულდა. თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებდა, როცა თვითმფრინავი ცხვირით დაასკდა მიწას, ასაფრენი ბილიკიდან რამდენიმე ასეულ მეტრში. ილუმინატორიდან ვიყურებოდი და მოუთმენლად ველოდი, როდის ავიჭრებოდი ცაში. ეს საშინელება იყო, სიტყვებით შეუძლებელია თვითმფრინავში შექმნილი სიტუაციის აღწერა — თითოეული მგზავრი კარგად გრძნობდა, რომ წამებში მოკვდებოდა...“

როცა გონს მოვედი, გარშემო ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. საშინელი სურათი ვიხილე — ბიჭები, რომლებსაც მთელი ინგლისი ეთავყვანებოდა და რომელთაც მსოფლიო უნდა დაეპყროთ, დაღუპულები იყვნენ. ზოგმა სავარძელზევე განუტევა სული.

ჩემმა კოლეგამ, „დეილი მელიის“ ფოტოკორესპონდენტმა პიტერ ჰიუარდმა გადამარჩინა — ცეცხლს არ შეეპუა და კატასტროფის ადგილიდან გამომართია...“

ფრენკ ტეილორი იმხანად „ნიუს ქრონიკლის“ საფეხბურთო მიმომხილველი იყო, მოგვიანებით კი სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტიც გახდა.

აეროპორტში გაირკვა, რომ ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ „ბასბის ჩვილები“: როჯერ ბირნი (28 წლის), ედი კოლმენი (21), ტომი ტეილორი (24), მარკ ჯონსი (24), დევიდ პეგი (22), ბილ ვილანი (22), ჯეფ ბენტი (25). თავად მატ ბასბი და გადარჩენილი ცხრა ფეხბურთელი, მათ შორის უძიმეს დღეში მყოფი დანკან ედვარდსი ადგილობრივ ჰოსპიტალში გააქანეს.

ზემოხსენებულთა გარდა, ავიაკატასტროფას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მდივანი უოლტერ კრიკერი, მწვრთნელები ბერტ უოლი, ტომ ჯერი, რვა ჟურნალისტი, ეკიპაჟის ყველა წევრი და კლუბის ერთი ფანი შეეწირნენ. საბოლოო ჯამში, მიუნხენის აეროპორტში ოცდაათამდე ადამიანმა დაასრულა სიცოცხლე.

...თავად ბასბი გერმანულ ჰოსპიტალში იყო. ექიმები მის გადარჩენას ეჭვობდნენ, მაგრამ ბასბი გადარჩა. გონზე მოვიდა თუ არა, პირველი ეს იკითხა: „ედვარდსი გადარჩა?“ — რომ გაიგო, ისიც დაღუპულიყო, გონება დაკარგა.

დანკან ედვარდსი საავადმყოფოში, გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

...ჯიმი მერფი, ბასბის თანაშემწე, რომელიც კლუბს თან არ ახლდა, რადგან უელსის ნაკრებს გაჰყვა კარდიფში, მანჩესტერში დილით დაბრუნდა. მთელი დღე შინ გაატარა, რადგან იცოდა ბელგრადული მატჩის შედეგი და ის, რომ ბასბი სადამოს „ოლდ ტრაფორდზე“ იქნებოდა.

იგი ავტობუსში ჩავდა და სტადიონზე მივიდა. „ოლდ ტრაფორდი“ ცარიელი იყო, კლუბის ოფისშიც სიჩუმე იდგა, ერთ-ერთ კაბინეტში მდივანი გოგონა დახვდა. „თვითმფრინავი აფეთქდა, ყველანი დაიღუპნენ“, — უთხრა მდივანმა.

მერფი თავის კაბინეტში ჩაიკეტა და ვისკის სმა დაიწყო...

ინგლისში კი გლოვობდნენ. მთელი ქვეყანა ეკლესიებში ლოცულობდა. ერი და ბერი, დიდი და პატარა, სამეფო ოჯახის ჩათვლით, მწუხარებას მოეცვა.

8 თებერვალს, შაბათს, ტრადიციულად ჩემპიონატის ტური იმართებოდა. მთელი ინგლისი თოვლმა დაფარა. თამაშები საგალობლების თანხლებით ჩატარდა. თვითქმევით კი, სადაც რაბიში ინგლისი ირლანდიას ხვდებოდა, უკლებლივ ყველა გულშემატკივარი ფეხზე იდგა და ტიროდა.

... მატ ბასბი საოცრად გულჩათხრობილი გახდა. ან კი ჰქონდა რაიმე სალ-აპარაკო?! მთელი თავისი ცხოვრების საქმეს დანგრეულსა და განადგურებულს ხედავდა. ის, რასაც ბოლო თორმეტი წელიწადი მიუძღვნა, აღარ არსებობდა, და მტკიცედ გადაიწყვიტა ფეხბურთიდან წასვლა.

იმ დღესაც ამაზე ფიქრობდა, მეუღლის სიტყვები რომ მოესმა: „იცო, მატ, ბიჭები არ გაამართლებდნენ შენს წასვლას“.

ისიც დაბრუნდა და გუნდის შენება ხელახლა დაიწყო.



გრაგელიდან ათი წლისთაგზე — ჯორჯ ბესგმა ჩემპიონთა თასი ალაპყრო

... 1998 წლის თებერვალში, როცა „ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაღუპვის მეორმოცე წლისთავს აღნიშნავდნენ, სერ ალექს ფერგიუსონმა, გუნდის მწვრთნელმა განაცხადა: „სერ მატ ბასბიმ მეოთხედი საუკუნე გაატარა „მანჩესტერ იუნაიტედში“ და სამი დიდი გუნდი შექმნა — 40-იანი, 50-იანი და 60-იანი წლებისა. მან შექმნა ის, რასაც დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთი ჰქვია“.

მართლაც ასეა — ბასბის ხელში კლუბის სამი თაობა აღიზარდა. ორჯერ მოუწია ამ დიდებულ შოტლანდიელ მწვრთნელს საქმის ხელახლა დაწყება, მაგრამ გასაჭირს არ შეეპუა და ყველაფერი ისე დაავიროვინა, როგორც საჭირო იყო — 1968 წლის 29 მაისს ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 4:1 დაამარცხა „ბენფიკა“ და ტრაგედიის ათი წლისთაგზე უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

... ორი გოლი იმ ფინალში ბობი ჩარლტონმა გაიტანა — ბასბის დარად, მიუნხენის ავიაკატასტროფას სასწაულებრივად გადარჩენილმა კიდევ ერთმა მანჩესტერელმა.

გრიგოლ რობაქიძე მუდამ ევროპულად ჩაცმული, განსხვავებული ხიზლით მოსილი დადიოდა თბილისის ქუჩებში. დააბიჯებდა წელგამართული, ამაყი, უფრო ხშირად უშველებელ, მუქ ნაცრისფერ დოგთან ერთად. მზერა, თითქოს, ერთ წერტილზე ჰქონდა მიცივებული. ვისაც არ უნდა ჩაეგლო გვერდით, თვალის ოდნავი მოძრაობითაც კი არ შეიმჩნეოდა, მკაცრ გამომეტყველებას ვერაფერი უცვლიდა. რა ხდებოდა ამ დროს მის გულში! გულისამრევ რეალობას არიდებულ, მრავალი უხამსობით გულნატკენი, გრძნობდა, რა ელოდა... ყველაზე საშინელი სასჯელი — სამშობლოსგან მოწყვეტა... სხვანაირად შეუძლებელი იყო, არადა, ქართული მინა, სული, ქართული გენი მას ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყნად...



# მშინარე

# მესამე ნაპირს აქვს...

ლელა ჯიყაშვილი

ის 1880 წლის 28 ოქტომბერს დაბადებულა დედულეთში — სოფელ სვირში. მამამისი — ტიტე რობაქიძე სოფელ ჩხარში მღვდელი, დედა — ქეთევან ბოჭორიშვილი კი, შეძლებული გლეხის ქალიშვილი იყო. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: გრიგოლი, აგრაფინა, ლიდა და ნინო.

ათი წლის გრიგოლ რობაქიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, 5 წლის შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, მშობლებს მისი მღვდლად კურთხევა უნდოდათ. გრიგოლი სასტიკად შეწინააღმდეგებდა და ტარტუს უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე გაუგრძელა სწავლა. ოჯახმა არანაირი დახმარება არ გაუწია სტუდენტს. როგორც ჩანს, განაწყენებული მამა ფიქრობდა, გაჭირვება შვილს დაბრუნებასა და მშობლების სურვილისათვის ანგარიშის გაწევას აიძულებდა... მალე გრიგოლ რობაქიძე სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს, მაგრამ მინ მაინც არ დაბრუნდა. სწავლის გაგრძელებაში დაეხმარნენ კიტა აბაშიძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ზდანევიჩი. მათი ხელშეწყობით 1902 წელს გრიგოლი ლაიფციგის უნივერსიტეტის

ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, 1908 წელს, განათლების მიღების შემდეგ კი, საქართველოში დაბრუნდა.

ერთხელ სოფელ სვირში უბედურება დატრიალდა — კაცი მოკლეს. ეჭვიმტანილი, რომელიც დააპატიმრეს, გრიგოლის სიძის (დის ქმრის) ნათესავი ყოფილა. შემოხვევიან გრიგოლს მისი მშობლები, ახლობლები: უდანაშაულო იყო და გვიშველე რამეო. მასაც ქუთაისის სასამართლოსთვის წერილი მიუწერია, რომელიც ადრესატთან მის დას — ნინოს წაუღია. მოსამართლეს პასუხი გამოუტანებია გრიგოლ რობაქიძესთან და პატიმარიც გაუთავისუფლებია.

წაუკითხავს თუ არა წერილი, გაოცნებულა... ადვილს ვერ პოულობდა: ცხენი, ცხენიო, იძახდა... სიძე — ვარლამ ლომინაშვილი, როგორც ჩანს, მისი სურვილის შესრულებას ცდილობდა. გრიგოლს უთქვამს: ვარლამ, შენს შეკახმულ ცხენზე მე არ შეეჯდები, გიორგის დამიძახეთ, მან შემეკახმოსო (გიორგი მეზობელი ყოფილა, ძალიან პატიოსანი კაცი)... ბოლოს, როცა ცხენი შეუკახმეს, დისთვის უთქვამს: „ნინა, ძალი რომ ძაღლის ტყავს არ დახევედა, მე ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ შენ ჩემი სისხელი და ხორცი ხარ და კაცის მკვლელს თუ გამაშვებინებდი, ამას როგორ წარმოვიდგენდი. როგორ წარვსდგე სიცოცხლის ბოლოს დვთის წინაშე?!“

გრიგოლის წასვლის შემდეგ, მეზობლებით სავსე ეზოში წერილი უპოვიათ, სადაც ეწერა: ძვირფასო გრიგოლ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი სინამდვილეში კაცის მკვლელია, ვერ გითხარით უარი და გავათავისუფლეთო... ამ შემთხვევის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძეს სვირში ფეხი აღარ დაუდგამს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ირანში იყო. იქ გაიცნო ნინო ღომენსკაია, მომავალი მეუღლე. დაოჯახდა და ორი შვილი შეეძინათ. ნინო ღომენსკაიას მშობლები ბაქოში ცხოვრობდნენ. ერთხელაც, აუჩემებია დედ-მამის მონახულება გრიგოლის მეუღლეს, ბაქოში კი ეპიდემია მძვინვარებდა. არაფრით არ უნდოდა ცოლ-შვილის საფრთხეში ჩაეღება, ვერ დაუყოლიებია მეუღლე დარჩენაზე. არადა, ალბათ წინათგრძნობა ჰკარნახობდა რობაქიძეს იმ უბედურებას, რაც ბაქოში მის შვილებს დაატყდებოდათ თავს: ქუნთრუშა და წითელა შეეყარათ და ორივე გარდაიცვალა. მამამ უსაზღვროდ განიცადა შვილების სიკვდილი. მათი დაკრძალვის შემდეგ უყოყმანოდ გასცილდა ნინო ღომენსკაიას, რომელზეც ერთხელ, სხვათა შორის, უთქვამს: მასზე ლამაზი ქალი არ შემხვედრია, მაგრამ ძნელი დასაურეველიაო...

მეორედ წელი ფილკინაზე იქორწინა და სიცოცხლის ბოლომდე ერთად იყვნენ. შვილები არ შეძენიათ. მზრუნველობას არ აკლებდნენ წელის დისშვილს — ალინკას. გრიგოლს ძალიან უყვარდა შვილობილი: გაზარდა, განათლება მისცა... მაგრამ მამობილს ერთხელ ძალიან ეტკინა გული, რის გამოც მემკვიდრეობა აღარ დაუტოვა ალინკას. ერთ-ერთ წერილში გრიგოლ რობაქიძე წერდა: „სისხლი მაინც თავისას შვრება. ისე ცუდად მოიხსენია ჩემმა შვილობილმა ქართველები, რომ ყოველგვარი უფლება შვილობისა ჩამოვართვი...“

ზემოთ გულისამრევი რეალობა ვახსენეთ... როცა გრიგოლ რობაქიძე საქართველოში იყო, იმ დროს მაქსიმალიზმი ბობოქრობდა — უკიდურესი ალტყინებების, სიყვარულისა და სიძულვილის მძაფრი გამოვლინებების ხანა. იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ცინიკურად ეპყრობოდნენ უკვე აღიარებულ ღირებულებებს. ლადო ავალიანი იხსენებდა: „ეს ის დრო იყო, როცა ფუტურისტები ჯერ კიდევ ურევდნენ. ერთი მათგანი, პოეტა, რას არ გვიამბობდა ხოლმე სასახლის ბაღში... ერთხელ ტრამვაის სახურავზე ავედი და იქიდან

ვთქვი ლექსიო; სხვა დროს კი, ოპერის თეატრის პარტერში რობაქიძისათვის თავზე ხელი უტაცნია და პარიკი აუგლეჯია...“

იყო ასეთი შემთხვევა: მანდილოსანთან საუბარში გართული გრიგოლი ნელი ნაბიჯით მისეირნობდა. ფეხდაფეხ, მწერალთა ჯგუფი მიჰყვებოდა. უეცრად, ერთ-ერთი მათგანი გამოქანდა და ზურგზე შეახტა თურმე. გრიგოლს წარბი არ შეუხრია – გზა გაუგრძელება და, წარმოიდგინეთ, საუბარიც... გაოცებული უყურებდა თანმხლები ქალი. საკმაო მანძილი გაუვლია „ტვირთიანს“. ბოლოს „თავდამსხმელი“ იძულებული გახდა, დახსნოდა: გაწითლებული გაშორება იქაურობას. გრიგოლმა ტაქტიანად მოუბოდიშა მანდილოსანს, გაიხადა პიჯაკი, ხელთათმანებით გაწმინდა, ჩაიცვა და კვლავ საუბარი გააგრძელა... ის თეთრი ხელთათმანები კი, იქვე, ნავის ყუთში ჩაყარა.

ეს ამბავი ყველამ გაიგო. როცა აღშფოთებულ სიძეს უკითხავს გრიგოლ რობაქიძისათვის: როგორ მოითმინე ასეთი თავხედობა?! მე რომ შენ მაგიერ ვყოფილიყავი, ნადვილად მოვკლავდიო – უპასუხია: მეც ხომ მას გავუტოლდებოდი, მის უხემ მოქმედებას რომ ავყოლოდიო.

ცხოვრებაში ძალიან მკაცრი, შინაგანად უაღრესად გულჩვილი ყოფილა. ერთხელ, სოფელში უთხოვიათ, ქათამი დაკალიო. დაგვკლა კი არა, როცა კლავენ, მისი ყურებაც არ შემოიღიაო – უთქვამს. გაუკვირდათ. აბა რა იქნებოდა – ისეთი შეუპოვარი გამოხედვა ჰქონდა გრიგოლს, იმის გაძლებაც კი უჭირდა ადამიანს და რას წარმოიდგენდნენ მის ასეთ სულიერ სიფაქიხეს. გრიგოლ რობაქიძეს კი ერთი მძაფრი ტკივილი ახსოვდა ბავშვობიდან: „ერთხელ ქათამი დამაკვლევინეს, დანაც მარჯვედ ვინმარე, მაგრამ რომ დავინახე, ქათმის მოჭრილი თავი თვალებს კიდევ ახელდა და უთავოდ დარჩენილი ქათამი როგორ ებრძოდა სიკვდილს, დავაგდე დანა, გავიქეცი და დაბინდებამდე სახლში არ მივსულვარ, არც ქათმისაგან გაკეთებული შეჭამანდი მიჭამია. მის შემდეგ არც ერთი ცოცხალი სულიერის ცოდვა არ მაღვეს“.

ნელი ფილკინა, გრიგოლის მეუღლე, ცუდი ჯანმრთელობის პატრონი აღმოჩნდა. ამბობენ, 1931 წ. ემიგრაციაში წასვლის ერთ-ერთი მცირე მიზეზი მისი მკურნალობაც ყოფილა... ამ დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რუსთავე-

ლის თეატრის გასტროლების შესახებ. დასს უნდა წარედგინა მისი „ლამარა“. გრიგოლის საზღვარგარეთ წასვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო ლავრენტი ბერია. როცა მწერალი მანც გასცდენია საბჭოთა კავშირის საზღვრებს, წერილიც კი მიუწერია ბერიას: „ჩამობრძანდები, ყმაწვილო, საქართველოში და ვნახავ, როგორ დაგეხმარებიან მოსკოველი ქართველები...“ ვიღაცას კიდევ გაუფრთხილება რობაქიძე: არ ჩახვიდე საქართველოში, დაგაპატიმრებენო... დარჩა გერმანიაში. 1934-ში საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა ჩამოართვეს. გრიგოლის და – აგრაფინა, გურამიშვილის №10-დან გამოასახლეს და ნინოშვილის 41-ში, ერთ ოთახში შეასახლეს, სხვა ნათესავები დააწიოკეს და დააშინეს.

საზღვარგარეთ ნელი ისევ ავადმყოფობდა. ბოლო 7 წელი კი ლოგინად იყო ჩავარდნილი. მარტოდმარტო უვლიდა ქმარი. თურმე თავს არ არიდებდა არანაირ მძიმე სამსახურს.

... ერთ-ერთი წერილი, რომელიც დის ოჯახში მოიწერა ჟენევიდან ასე იწყებოდა: „ათი წელია თქვენგან არა მსმენია რა. არ ვიცი თქვენი არც ავი და არც კარგი. მომწერეთ ორიოდე სიტყვა. ამით თქვენ არა გევენებათ რა. პოლიტიკაში არ ვერევი და არც გავრეულვარ არასოდეს. მე ვარ მხოლოდ მწერალი და ჩემს შემოქმედებას ვსაზღვრავ არც „მარცხით“ და არც „მარჯვით“ – მდინარეს მესამე ნაპირიც აქვს, უხილავი და უფრო გულისხმიერი...“ როცა ამ წერილს, სადაც ჯერ არს, იქ გაეცვენენ, ვერაფრით გაიგეს, რას ნიშნავდა „მესამე ნაპირი“. უშიშროების კომიტეტში მწერლებიც კი დაიბარეს... ჩინოვნიკის ტვინმა, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ მდინარეს მხოლოდ ორი ნაპირი ჰქონდა, რაღაც ვერ გაიგო... უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გალაკტიონმა ყველაზე თამამი პასუხი გაცა, კონსტანტინე გამსახურდიაც შეუპოვარი ყოფილა. ეტყობა, აუხსნეს, რომ ეს წერილი არამც და არამც საშიში არ იყო და ამგვარად, გრიგოლის დის ოჯახი რეპრესიებს გადაარჩინეს, თორემ მანამდე, რობაქიძის სიძე მხოლოდ იმიტომ გადაასახლეს, რომ

საუბარში წამოსცდა: ჩვენს ქალაქს გერმანული სჯობსო...

გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც ლექციების დროს ოცაციებს უმართავდნენ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, დიდი მწერალი და დრამატურგი, გერმანელებსაც აოცებდა არა მხოლოდ აზროვნების სიღრმით, ორატორული ხელოვნებით, არამედ გერმანულის ცოდნითაც... ტასილიო ფონ შიფერი წერდა: „როგორ შეძელით თქვენ, უცხოელმა ამნაირად ჩვენი ახალი გერმანული ენის გაშლა და ამაღლება, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი?!“

კობა იმედაშვილი წერს: „მუდამ წუხდა, რომ მარტო საქართველო კი არ იყო მისგან შორს, იგიც შორს იყო საქართველოდან. მისი ნიჭი, მისი ცოდნა, მისი ენერჯია...“ გრიგოლ რობაქიძის დიდი ტკივილია მისსავე სიტყვებში: „მზე უხვად ეფინება ჩემს ბინაში, მაგრამ იგი არაა „ცხრათავალა“, როგორც ჩვენში... დედულსა და მამულს მოწყვეტილი შევიჩვი ბედს „ბედზე მიგდებულნი“.

1962 წლის 22 ნოემბერს გარდაიცვალა. ჟენევის გარეუბნის სასაფლაოზე დაკრძალეს (შემდეგ ლევილში გადაასვენეს). დასაფლავებას დაესწრნენ: ნინო დადიანი, ხარიტონ შავიშვილი, კიტა ჩხენკელი, ნინო და კალე სალიები, ნიკოლოზ ჩხოტუა-მაცაშვილი, დიკა კელია, სანდრო ფანჩულიძე.

ანდერძად მხოლოდ ერთი თხოვნა დაგვიტოვა: „ჩემი ნატვრაა, როცა მე ამსოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს ანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“.

**გრიგოლ რობაქიძე მოახლე გოგონასთან ერთად**



გაგრძელება  
(დასაწყისი იხ. „გზა“ №10)

III

ახალი წლის თოვლი ლამაზი სიზმარივით გაქრა. ინგა სულ-მოუთქმელად ელოდა თავის გულის სწორს. სამომავლო გეგმებს დიდი სიფაქიზით აწყობდა. სამსახურში საქმეს გულს ვერ უღებდა. საშინლად დაბნეული და მოუსვენარი გახდა.

— ეყოფა, გაცვდა ჭიქა ამდენი მორევისგან, — გამოიყვანა ლილამ ფიქრებიდან, — როდის ჩამოდის?

— ზეგ, შუადღისას.

— ჰოდა, საღამოს ჩვენთან დაეპატიჟეთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამაცნო?!

— დაეპატიჟეთ, — დაეთანხმა ქალიშვილი, — გოგოებსაც ვეტყვი.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა ენაზე უნდა ველაპარაკო?

— ქართული ეს-მის. რუსული ბრწყინვალედ იცის, ინგლისურსა და გერმანულზე რომ არაფერი ვთქვა.

— ყოჩაღ, ნიჭიერი კაცი ყოფილა, — კმაყოფილი ტონით წარმოთქვა დედამ, — რა გავაკეთოთ?

— ბევრი არაფერი გვინდა. ნამცხვარსა და ხაჭაპურს გამოვაცხოვო, წიწილები შევწვათ, მაიონეზით სალათს გავაკეთებ. ცოტა კარტოფილი, ცოტა ეს, ცოტა ის და რალაც გამოვა. ფრიცს მაინც ვერაფრით გავაკვირებთ. მთავარია, შენ და გოგოებმა გაიცნოთ.

— როგორც შენ გინდა, — დაეთანხმა მშობელი.

ინგა ტელეფონს გადასწვდა. ჯერ ნანასთან, შემდეგ თამრიკოსთან გადარეკა, ახალი ამბავი ახარა და სახლში დაპატიჟა. ბოლოს, ელზას ნომერი აკრიბა:

— გამარჯობა, თამაზ, ინგა ვარ. ელზა შინაა?

— გაგიმარჯოს. ახლავე, — ყურმილი გადასცა მეუღლეს.

— გამარჯობა ინგა, სად დაიკარგე?

— აბა, რა ვიცი? ვთხოვდები, მე მგონი, — სახე გაებღარა ქალს.

— ჰო, დათომ მითხრა, საქმრო ჰყავსო. ვინ არის შენი რჩეული?

— არ იცნობ. ზეგ საღამოს რვა საათისთვის ჩემთან მოდი და გაგაცნობ.



ბესიკ კეკელიძე

# ახალი წლის საჩუქარი

— კარგი კაცია?

— ზეგამდე მოითმინე და ყველაფერს შეიტყობ, — კმაყოფილი ტონით ესაუბრებოდა ინგა.

— მოვილაპარაკეთ, ზეგ შენთან ვიქნები. ძალიან მიხარია, ერთი სული მაქვს, როდის გავიცნობ. გოცნი და ზეგამდე გემშვიდობები, — ყურმილი დაკიდა დაქალმა.

— რაო, რა თქვეს გოგოებმა? — იკითხა ლილამ.

— გაუნარდათ, მილოცავენ. აუცილებლად მოვლენ.

— მოდი, ახლა სია დავეწეროთ, რა უნდა ვიყიდოთ, რას ვაკეთებთ.

— მე სიის დაწერა არ შემიძლია, ბრინჯივით ვარ დაბნეული. ნანას ვთხოვ და ის დაგეხმარება, — ინგა დედამისს მოეხვია და ნანას დაურეკა, — ზვალ დილიდან მოვა და ყველაფერში შეგეშველებ.

— ძალიან კარგი, — გაიღიმა მშობელმა, — ერთი მითხარი, სად იცხოვრებ?

— ფრიცს მშვენიერი ბინა აქვს ნაქირავეები, ალბათ, მასთან, — ინგა სარკესთან იდგა და თმას ისწორებდა.

— რატომ? აქ ვერ იცხოვრებ? ეს ყველაფერი შენია, სხვა ვისთვის მინდა?

— დედა, რა ღროს მაგაზე ლაპარაკია,

ჯერ ჩამოვიდეს და გადავწყვეტო, რაღაცას მოვიფიქრებო, — ინგა ტელევიზორს მიუჯდა. ეკრანზე ნაცნობი სახე შეამჩნია, — მოიცა, მოიცა, — ჩაილაპარაკა, პულტს დასწვდა და აუწია.

— გარდაიცვალა სახალხო მხატვარი ნიკო ფხალაძე, — ცივი, მონოტონური ხმით აცხადებდა დიქტორი, — გამოსვენება აკადემიიდან, სამშაბათს, ორ საათზე.

ეკრანზე რიგრიგობით ჩნდებოდნენ მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ამაღლებულად მოსაუბრენი. იხსენებდნენ მიღწევებს, უჩვენებდნენ ტილოებს. მისი დაკარგვის გამო დიდ სიანაულს გამოხატავდნენ.

— მაგარი ერი ვართ, — თვალცრემლიანმა ჩაილაპარაკა ინგამ. ნიკო პაპას ნაჩუქარ სურათს ახედა, — რამხელა გრძობას ატარებდა ის

უბედური, — გული დაუძიმდა, ხასიათი გაუფუჭდა. საწოლ ოთახში გავიდა და

წამოწვა, — დედა, დედა, — დაუძახა მშობელს.

— რა მოხდა? — ოთახში ლიდა შემოვიდა, ხელში წნევის წამალი ეკავა.

— გახსოვს, რომ მოგიყევი ახალი წლის ღამეს მხატვართან ვიყავით-თქო?

— კი, — დაეთანხმა მშობელი.

— გარდაიცვალა საცოდავი. ტელევიზორში გამოაცხადეს. სახალხო მხატვარი ყოფილა.

— მერე?

— მერე ის, რომ უპატრონო ძაღლივით ჰყავდათ მივლებული, გარდაიცვალა და ახლა აქებენ და ადიდებენ. ჩვენ ხალხი ვართ ამის შემდეგ? ადამიანს სიცოცხლეში სჭირდება მხარდაჭერა, დაფასება, მოფერება, თორემ როცა იმქვეყნად წავა, მერე უფლისაა და ზედმეტია ტირილი.

— რას იზამ? ასეთი ყოფილა ცხოვრება, — დაამშვიდა ლილამ.

— ჩემო დედიკო, ამქვეყნიურ ცხოვრებას ადამიანები ვქმნით. როგორც კი ჩვენ გვერდით ვინმე ძლიერი განხედება ხოლმე, იმის მაგივრად, რომ ხელი შეგუწყოთ, ფეხზე დაგყენოთ, პირიქით ვაკეთებთ, ვირთხასავით ვუთხრით სულში სოროს, ვჩიჩქნით და ვიძებნით, ვზრავთ, როგორც ძაღლი ძვალს და როცა მოკვდება — ვადიდებთ, გვიხარია, რომ ჩვენზე ნიჭიერი,

ჩვენზე ძლიერი მეტოქე მოვიშორეთ. ეს საზოგადოება ველური კანონებით ცხოვრობს და თავიანთი ხროვის იქით ვერაფერს ამჩნევს...

– ჩვენდა სამწუხაროდ, ჩემო შვილო, – გააწყვეტინა ლიდამ, – ქართველებს ასეთი ცხოვრების ნირი ძველსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. მთელი ჩვენი ისტორია ურთიერთქიშპსა და დალატზეა აგებული. დასანანია, მაგრამ ფაქტია.

– საცოდავი მხატვარი, – ჩაილაპარაკა შეწუხებულმა ინგამ.

– ცოლო, აბა რა! – დაეთანხმა მშობელი, – არ იძინებ? – დასამშვიდებლად ჰკითხა ლიდამ.

– დავიძინებ. დილას ადრე გამაღვიძებ, რომ მოვემზადო და ნანას ბაზარში წავყვე.

– კარგი, შვილო, – ლიდა დაიხარა, აკოცა, მშვიდობიანი ღამე უსურვა და ოთახიდან ჩაფიქრებული გავიდა.

ინგამ მთელი ღამე ლოგინში იწრიალა. ქარის ზუზუნს ფიქრებს სტაცებდა და ცარიელ ქუჩებში ფანტავდა.

გამთენიისას ჩაეძინა. როდესაც დედამ გააღვიძა, საშინლად დაღლილი ჩანდა.

– ცუდად გეძინა?

– ისე რა, – უპასუხა ქალიშვილმა და წამოდგა, ხალათი მოისხა.

ათი საათისთვის ნანაც გამოჩნდა. ქალებმა ყავა დალიეს, ლიდას მეთაურობით სია შეადგინეს და ბაზრისკენ გაემართნენ. გზადაგზა დაქალმა ყველაფერი გამოჰკითხა. როდესაც ასაკი შეიტყო, გაუკვირდა:

– ძალიან უფროსი ხომ არ არის?

– არა, ასაკი არ ეტყობა. მშვენივრად გამოიყურება. თან, ზედმეტად წესიერი კაცია, ვუყვარვარ. სულ მეუბნება, ბედნიერები ვიქნებითო. იმის მიმართ მეც ნორმალური გრძნობა გამიჩნდა. რაღაც ნაირად შევეჩვიე კიდევ, – აუხსნა ინგამ.

– მოხარული ვარ, როგორც იქნა, გვეღირსა შენი გათხოვება, – ემოციებს ვერ თოკავდა ნანა.

მეგობრებმა ბაზარში ხორავი შეიძინეს. იქვე ტაქსი გააჩერეს და დადიანის ქუჩისკენ გაემართნენ. ლიდამ შეუქო ნავაჭრი. სამივემ წინსაფრები აიფარა და საქმეს შეუდგნენ. ოჯახში დიდი ფაციფუცი, ჯამ-ჭურჭლის ჭანჭურები ატყდა. გემრიელი სუნები ერთმანეთში აირია და სადღესასწაულო სუფრის მოლოდინში სამზარეულოში გაირინდა. მშობე-

ლი თავისი უტყუარი ალლოთი გრძნობდა, რომ ქალიშვილი ბედნიერი იყო და მისი სანეტარო განწყობა გრიპით გადასდებოდა. საღამო ხანს დაღლილი ქალები სავანში მოემზადნენ.

– დედა, რაღა ხომ არ გვაკვირდება? – იკითხა ინგამ.

– არა, ყველაფერი ესწრება. ღვინოს, ლიმონათს და პურს ხვალ დილით ვიყიდო, – დააწყნარა მშობელმა.

ინგამ ნანა გააცლია.

– დროზე დაეწვეთ და დავიძინოთ, ხვალ მძიმე დღე გვაქვს, – ტელევიზორი გამორთო ლიდამ.

– კარგი, – დაეთანხმა ქალიშვილი და საწოლი ოთახისკენ გააბიჯა.

დილით ინგამ ბინა დააღაგა, შემდეგ ნანას და დედამისს სამზარეულოში მიემარა. ბოლოს, აეროპორტში წასვლის დროც დადგა. გაკოხტავდა, ლამაზად გამოეწყო და ნანასთან ერთად საქმროს დასახვედრად გაემშრა.

– სახეზე გატყობ, რომ ნერვიულობ. დაწყნარდი, – ამშვიდებდა მეგობარი.

– არა, არ ვნერვიულობ, – იტყობარს არ იტყვხდა ინგა.

დარბაზში შეკრებილთ დიქტორმა ამცნო, რომ თვითმფრინავი დაემშა.

– როგორ გამოვიყურები? – თმას ისწორებდა ინგა.

– ძალიან კარგად.

ამასობაში მგზავრებიც გამოჩნდნენ.

– ჰერბერტი! – დაუძახა ინგამ და ხელი დაუქნია.

– ეს არის? – იკითხა ნანამ.

– კი, – დაეთანხმა და მაღალი, სიმპათიური მამაკაცისკენ გაემართა. მონატრებული წვეილი ერთმანეთს გადაეხვია. ქალმა ხელკავი გაუყარა და დაქალისკენ წაიყვანა, – გაიცანი, ჩემი მეგობარი, ნანა.

– ჰერბერტი, – გერმანელმა თავი დახარა და ქალს ისე წარუდგა.

– დღეს დედაჩემიც უნდა გაგაცნო, – თვალეში შესცივინებდა ინგა, – საღამოს ჩემთან ვიკრიბებით.

– მოხარული ვარ, – უპასუხა საქმრომ, შემდეგ თბილისის ამბები იკითხა. სამივენი ქალაქისკენ გამოემართნენ. ჰერბერტმა ქალები ინგას სახლთან ჩამოსვა:

– ცოტას დავისვენებ და რომელ საათზე მოვიდე?

– რვისთვის, – უპასუხა ინგამ.

– აბა, საღამომდე, – დაემშვიდობა.

მეგობრებმა თვალის დახამხამებაში აირბინეს კიბე.

– მოგეწონა? – გამოძვლელად ჰკითხა ინგამ.

– კი, კარგი კაცია. ასაკი მაინცდამაინც არ ეტყობა, – დაამშვიდა დაქალმა.

– მეც მომიყვებით, რა ხდება? – ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა ლიდა.

ქალები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე აფრქვევდნენ შთაბეჭდილებებს. მშობელი ხან ერთს, ხან მეორეს უყურებდა და ეცინებოდა.

მოსაღამოვდა. რვას წუთები აკლდა, როდესაც ელზა და თამარიკო მოვიდნენ. ზუსტად რვა საათზე ხარი გაისმა. ინგა წამოხტა და კარის გასაღებად გაიქცა. ზღურბლზე ჰერბერტი იდგა, ხელში ვარდების უხარამხარი თაიგული ეკავა. სტუმარს ლიდაც შეეგება.

– გაიცანი, დედაჩემი, ქალბატონი ლიდა.

– ჰერბერტი, – ხელზე აკოცა სასიძომ.

– მობრძანდით, მობრძანდით, – შემოიპატიჟა ლიდამ სტუმარი.

ჰერბერტმა ლაბადა გაიხადა და მასპინძლებს სასტუმრო ოთახში შეჰყვა. საპატარძლომ დაქალები წარუდგინა და ყველანი სუფრასთან მიიპატიჟა.

– ღვინო ჩამოასხი, – მიმართა ინგამ საქმროს და ხაჭაპური გადაულო. გერმანელმა ჭიქები შეავსო, ერთი წამით სუფრა მოათვალიერა, სასმისი ასწია:

– მე და ინგამ გადავწყვიტეთ ვიქორწინოთ, – წარმოთქვა რუსულად, საცოლისკენ დაიხარა და აკოცა.

ბედნიერ წვეილს ყველანი გაბრწყინებული თვალებითა და ღიმილით შესცქეროდნენ. გახარებულმა ლიდამ დალოცა ქალიშვილი და სასიძო, ბედნიერება, გამრავლება და სიყვარული უსურვა. დაქალებმაც ადღევრძელეს. ჰერბერტმა ჯიბიდან პატარა ლურჯი კოლოფი ამოიღო, გახსნა და შიგ მოთავსებული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ინგას თითზე გაუკეთა.

– დიდი მაღლობა, – გაიღიმა საპატარძლომ და ბეჭედს სიყვარულით დახედა.

– როდის აპირებთ ჯვრისწერას? – იკითხა ლიდამ.

– სამშაბათს სამი დღით მივლინებაში მივდივარ, ჩამოვალ თუ არა, შაბათს დავიწერთ ჯვარს, – აუხსნა სასიძომ.

სუფრის თამაღობა ლიდამ ითავა და

მთელი პროცესი დიდი მონდომებით ჩაატარა. რამდენიმე საათში სტუმრები წამოიშალნენ.

– ჰერბერტ, ხვალ, სამსახურის შემდეგ თეატრში ხომ არ წავიდეთ? – შესთავაზა ინგამ.

– სიამოვნებით, – დაეთანხმა საქმრო, ყველას დაემშვიდობა და სადარბაზოში გავიდა.

ინგა სასტუმრო ოთახში შებრუნდა, დედამისს შეხედა:

– მოგეწონა?

– მთავარია, შენ მოგწონდეს შეილო. ისე, არა უშავს, ნორმალური კაცი ჩანს, – გაუღიმა ლილამ.

ინგა დილით ადრინადად ადგა. ოთახებში ბუმბულივით დაფარფატებდა, ტანსაცმელი სამჯერ გამოიცვალა. ბოლოს, დედის რჩევის შემდეგ, ერთ-ერთზე შეჩერდა.

– მიხდება? – მშობლის წინ გაიჭიმა და ტანს აქეთ-იქით ატრიალებდა.

– შენ რომ ბედნიერს გხედავ, მეც ბედნიერი ვარ. ვიხლება, ვიხლება, – დამშვიდა ლილამ.

– დღეს დამაგვიანდება, თეატრში მივდივართ და არ ინერვიულო, – გააფრთხილა ინგამ.

– კარგი, შეილო, – მიეფერა დედა და კარამდე მიაცილა.

მოსალამოვდა. ლიდა ტელევიზორთან იჯდა, ფიქრებით ქალიშვილის ირგვლივ ტრიალებდა. კარზე გრძელი ხარი გაისმა. მძიმედ წამოდგა, გაალო:

– მოხვედი? – შეეგება ინგას, მაგრამ მისი გამოსხელება არ მოეწონა, – მოხდა რამე?

– არაფერი, – უპასუხა ინგამ.

– როგორ, აბა, სახე რას გიგავს?

– არა, დავიღალე, – დააწყნარა ქალიშვილმა.

– თეატრში იყავით?

– კი, იქიდან მოვდივარ, – ინგამ ლაბადა გაიხადა და საწოლი ოთახისკენ გასწია. ლიდა ფეხდაფეხ გაჰყვა.

– მითხარი, მოხდა რამე? – ახლა უკვე შემფოთებული ტონით იკითხა დედამ.

ინგა ტანთ ჩუმად იცვლიდა. ბოლოს, თბილი ხალათი მოიცვა და სასტუმრო ოთახში ტელეფონთან მოკალათდა. ლიდა შვილს მზერას ვერ აშორებდა, თავში ათასი აზრი უტრიალებდა. ინგამ მეგობრებთან დარეკა და თავისთან მისვლა

სთხოვა, მერე კი ტელევიზორს მიუჯდა. ლიდა თავის ოთახში გავიდა, ვალერიანის წვეთები დალია და ქალიშვილს გვერდით მიუჯდა. დედა-შვილი გაბუტულივით იჯდა. ორმოციოდე წუთში ელზა, ნანა და თამრიკო მოვიდნენ. ინგამ სტუმრები მაგიდასთან დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და ლიდას ჩაის ადუღება სთხოვა:

– მე მგონი, ფრიცი სრულ ჭკუაზე არ არის, – გადახედა დაქალებს.

– რატომ? – იკითხა ნანამ.

– სპექტაკლის შემდეგ სახლში ფეხით წამოვედი. გზაში მკითხა, რამდენი კაცი გყოლია ცხოვრებაშიო, – ინგას



სიბრაზისაგან თვალები გაუფართოვდა, – მე ვუთხარი, არავინ მყოლია-მეთქი. საოცრად გაუკვირდა. როგორ, ორმოცი წლის ქალი ხარ და აქამდე არავის მოსწონებინხარო? აუუსხენი, რომ, როგორ არა, მაგრამ მე არ მომწონებია არავინ-მეთქი. ესე იგი, ქალიშვილი ხარო? მე დავეთანხმე. იმან კი მითხრა, რომ ჩემს ასაკში ქალიშვილს ვერ „მოვერევი“ და თუ ჩემზე გათხოვება გინდა, სანამ მივლინებაში ვიქნები, ეს პრობლემა რამენაირად მოაგვარეო...

– რაა? შენი სიწმინდე მისთვის არაფერია?! – აღმოფთება ვერ დამალა ლილამ,

რომელსაც სინზე დალაგებული ქაფქაფა ჩაით სავესე ფინჯნები შემოჰქონდა.

– იმათ სხვანაირად ესმით ეს ყველაფერი, – სიტუაციის განმუხტვა სცადა ელზამ.

– თუ თავი არ აქვს, ცოლი რაღას მოჰყავს?! – გაბრაზდა თამრიკო.

– არა, სხვა მხრივ ყველანაირად წესიერი კაცია, – დაიცვა ინგამ საქმრო.

მაგიდასთან სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა რაღაცას ფიქრობდა.

– მოიცა, მე ვიცი, რასაც ვიზამთ, – გაიღიმა ელზამ, იქ მყოფთ გადახედა, – გინეკოლოგთან წავიყვან, ჩემი ნაცნობი ბიჭია და ის მოავკარებს ყველაფერს, ჰა, როგორი აზრია?

– ეს ყველაზე კარგი ვარიანტია, – დაეთანხმნენ გოგოები.

– ცხოვრებაში არ ვყოფილვარ გინეკოლოგთან, – დაიმორცხვა ინგამ.

– სასირცხვილო არაფერია, ქალი ხარ, ბოლოს და ბოლოს. გინეკოლოგიც ჩვეულებრივი ექიმი, – დაამშვიდა ელზამ. წამოდგა და ტელეფონთან მივიდა, ნომერი აკრიბა, – ვასიკო ხარ? გამარჯობა, ელზა ვარ. ვასიკო, ხვალ სამსახურში რომელ საათზე იქნები? დაქალი მინდა მოვიყვანო... რა დღეა და სამშაბათი... კარგი, პირველისთვის შენთან ვიქნებით, – დაკიდა ყურმილი, – ხვალ პირველ საათზე გველოდება.

– სად უნდა მივიდეთ? – იკითხა ინგამ.

– ვერაზე, ჩაჩავაში, – გაუღიმა ელზამ, – დამშვიდდი, ეგ არაფერია. ვასიკო ყველაფერს მოავკარებს.

სტუმრები მალე წავიდნენ. ინგა თავის ოთახში შევიდა, ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ლიდა გვერდით მიუჯდა:

– ნუ ნერვიულობ. იმათ ასე ესმით და რას იზამ? თუ მოგწონს და გინდა, რომ ცოლად გაჰყვე, მაშინ ეს ნაბიჯიც უნდა გადადგა, – დაამშვიდა ქალიშვილი.

– კარგი, ჩემო დედიკო, – გაიღიმა ინგამ, – დაწყნარდი. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღვთის ნებაა, – კედლისკენ გადაბრუნდა და დასაძინებლად მოეშადა.

ლილამ სინათლე ჩაუქრო, ძილი ნებისა უსურვა და ოთახიდან გავიდა.

**დასასრული იქნება**



ტონგას მინისტრი – გენა მეულლითურთ



# სამი გენერატორის მინისტრი

ახალი ზელანდიის მახლობლად მდებარე ეგზოტიკური კუნძულები ევროპისგან საკმაო მანძილითაა დაშორებული, თუმცა ამ „მიყრუებულ“ ადგილებშიც თურმე ბევრი ემიგრანტია.

ტონგას სამეფოს დედაქალაქ ნუკუალოფას ირგვლივ თეთრი ქვიშით დაფარული პლაჟები, ქოქოსისა და ბანანის პალმებია. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ტემპერატურა 26 გრადუსია, ამიტომ სახლებს კედლების გარეშე აშენებენ: ოთხი ბოდი და მათზე გადაფარებული პალმის ფოთლებისგან დაწნული სახურავი.

ადგილობრივი მცხოვრებლების უმეტესობა კარგად იცნობს უკრაინელი ბორისენკოს ოჯახს – გენა, მარინა და მათი ორი შვილი ცივილიზაციას გაექცნენ და პატარა კუნძულზე ცხოვრება არჩიეს: ათი წლის წინ ტურისტული საგზურით ახალ ზელანდიაში გამგზავრებული ოჯახი იქვე დარჩა საცხოვრებლად.

სამეფოში გენა ბორისენკოს დიდი თანამდებობა უკავია – ის ენერგეტიკის მინისტრია. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ახალ ზელანდიაში ჩასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, გენა სანაპიროზე სეირნობდა და მეფეს და მის ამლას შეხვდა. უცხოელი, მეულლითურთ სტუმრად სასახლეში მიიწვიეს. მეფის სასახლე ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან შენობათაგანია, რომელიც ნამდვილი კედლებით არის აშენებული. ტონგას კუნძულებზე ელექტროსადგურები არ არის, ამიტომ მხოლოდ დედაქალაქის

ცენტრი – სახელმწიფო დაწესებულებები და მდიდართა სახლებია განათებული. ესეც რამდენიმე გენერატორის საშუალებით ხორციელდება, რომელიც მეფემ ახალ ზელანდიაში შეიძინა. სწორედ უკრაინელთა სტუმრობის დღეს სამეფო სახლის გენერატორი დაზიანდა. გენამ – კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, გენერატორი სწრაფად შეაკეთა. კუნძულ ტონგაზე განათებული ადამიანების აშკარა სიმცირის გამო, მეფემ სტუმარს მამინვე სახლი აჩუქა და თავისი სახელმწიფოს ენერგეტიკის მინისტრად დანიშნა...

ოჯახი კუნძულზე ცხოვრებას საკმაოდ ადვილად შეეჩვია, ერთი გამონაკლისით – უკრაინელებმა ადგილობრივთა ენას ვერ აუღეს ალღო.

ტონგას ტრადიციების მიხედვით, კუნძულებზე დაქორწინების ასაკი შეზღუდული არ არის. თუ წყვილს ბავშვი შეეძინა, ის მამინვე ქორწინდება. თუ შშობლები ქრისტიანები არიან, ჯვრის დასაწერად პროტესტანტულ ეკლესიაში მიდიან, ხოლო წარმართები, ისევე, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ, ადგილობრივ შამანს მიმართავენ ბედის გასაგებად და კურთხევის

მისაღებად. მანამდე კი სანამ წყვილს შვილი შეეძინება, შეუძლია მუდმივი ზაფხულით, შესანიშნავი ბუნებითა და ერთმანეთის მოსიყვარულებით დატკბეს. აქ მუშაობაც კი არ არის აუცილებელი – მოკლე, ნამდვილი სამოთხეა.

ეგზოტიკურ კუნძულებზე ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, მასპინძელი პატივისცემის სხვა სახეობებთან ერთად, სტუმარს თავის ცოლთან დაწოლასაც სთავაზობს.

– შესაძლოა, ჩემს წინაპრებშიც ბევრი უცხოელის სისხლი ჩქეფდა, – ჰყვება აბორიგენი, რომელსაც აშკარად ევროპული ნაკვთებიც ურევია. – ეს ტრადიცია – სტუმრისთვის ცოლის შეთავაზება, ჩვენში საუკუნის სიღრმეიდან მოდის. მასხოვს, ერთხელ თეთრი მამაკაცი, ჯო ჩამოვიდა. ჩემს სახლში მივიღე და, ცხადია, ღამით, ჩემმა ცოლმა მასთან სარეცელიც გაიზიარა. ჯო რომ წავიდა, მე და ცოლმა იმ ღამეს ლოგინში ისეთი რამ მოვსინჯეთ, რაც არასდროს გავვიკეთებია: ჯომ ასწავლა და ორივეს ძალიან მოგვეწონა...

ყველა სიკეთის მიუხედავად, სტუმრები ტონგაზე, ჩვეულებრივ მხოლოდ ორ კვირას ძლებენ: ცივილიზაციას მიჩვეულ ხალხს ძალიან გაუჭირდა, გამგზავრებისას კი აღნიშნეს: „კუნძულებზე, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ყოველდღე ერთი და იგივე მოსაბეზრებელია. აქ არავითარი დაბრკოლება არ არის და ცხოვრებაც მალე მოსაწყენი ხდება“.



აბორიგენი: „ჩემი ცოლი ძალიან მიყვარს. თქვენ?“

გასულ კვირას მუშაობა დაასრულა ჟენევის ავტოსალონმა, რომელიც წლებულს 71-დ ჩატარდა. ის პირველია ოთხ ყოველწლიურ ევროპულ საავტომობილო ფორუმს შორის და ამდენად, ყველაზე პოპულარულად და პრესტიჟულად ითვლება. მით უფრო საინტერესოა, რა მოდელები იყო საუკუნის პირველ წელს მასზე წარმოდგენილი.



# ევხოპის ეპიხვედესი ავტოსადონი

ჟენევა ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ქალაქია ევროპაში: რესტორანში თითოეული კერძის ფასი 10 დოლარიდან იწყება, სასტუმროს ნომერს კი, 200-ზე ნაკლებად ვერ ნახავ. ამიტომაც ავტოსალონის დათვალიერებლები, რომლებიც აქ მთელი ევროპიდან ჩამოდიან, საფრანგეთში, შვეიცარიის საზღვრის მახლობლად გაჩერებას ამჯობინებენ და უკვე იქიდან მიემგზავრებიან PAL-EXPO-ს საგამოფენო ცენტრში, რომელიც

**„ნისანის“ ახალი კონცეპტი „ჩაპო“, რომელიც კომპანიამ მოწინავე დიზაინით ევროპელთა გაოცება სცადა**



ჟენევის აეროპორტთან მდებარეობს. ბუნებრივია, ეს გარემოება უზარმაზარ „საცობებს“ წარმოქმნის და ჟენევის პოლიციის სამმართველო იძულებულია, ავტოსალონის დროს, ყველა თავისუფალი თანამშრომელი გაგზავნოს ამ ადგილას, მოძრაობის დასარეგულირებლად. რიგში დგომისაგან უპირველესად, პრესა გაათავისუფლეს: მისი წარმომადგენლები სალონის ოფიციალურ გახსნამდე ორი დღით ადრე შეუშვეს პავილიონში. წლებულს ავტოფორუმზე სულ 8 ათასი ჟურნალისტი იყო აკრედიტებული.

ტრადიციულად, საავტომობილო პრემიერები ორ – მსოფლიო და ევროპულ ნაწილად იყოფა. ამერიკული კომპანიები, როგორც წესი, თავიანთ სიახლეებს დეტროიტში წარმოადგენენ (ამ მოდელების შესახებ „გზის“ წინა ნომერებში გაწვდილი ინფორმაციას), შვეიცარიაში კი ევროპული პრეზენტაციები იმართება ზოლმე. წლებულს ჟენევაში, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა უმსხვილესმა ავტომწარმოებელმა წარმოადგინა თავისი ახალი მანქანები, რომლებიც სულ მალე დადგება

კონვეიერზე, ზოგმა კი – კონცეპტუალური მოდელები, რომლებიც ასევე მალე შეიძლება სერიულებად გადაიქცეს. აღსანიშნავია, რომ დღეს ძალზე გაბეღულ კონცეპტებსაც კი ხშირად უშვებენ წარმოებაში. მაგალითად, მარშან „რენომ“ წარმოადგინა კონცეპტი KOLEOS, წლებულს კი ჟენევაში ჩამოიგნა VEL SATIS, რომელიც მისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ეს მანქანა, უფრო მეტად, მინი-ვენს ჰგავს, მაშინ, როდესაც „რენოს“ მთავარი კონკურენტი – ჯგუფი PSA „პეჟო სიტროენი“ სულ სხვა კატეგორიებში წარუდგა მხახველებს: „სიტროენმა“ მოდელი CS BREAK უჩვენა, რომელიც მარშან შეიქმნა და სრულიად განსხვავებული ძარით გამოირჩევა. „პეჟომ“ დიდი ამბით წარმოადგინა 307-ე მოდელი, რომელიც კონვეიერზე 306-ეს შეცვლის. ახალ მანქანას სამ და ხუთკარიანი ვარიანტებით გამოუმეგებენ, ძრავი კი წინამორბედისა ექნება. ე.წ. წარმომადგენლობითი ავტომობილების კლასში ყველაზე საინტერესო ნიმუშები წარმოადგინეს „იაგუარმა“, „როვერ ჯგუფმა“ და „ფიატის“ ქვედანაყოფმა „ლანჩიამ“. „იაგუარმა“ გამოამზეურა X-Type,

ახალი „იაგუარი“ წარმომადგენლობითი მანქანაა, რომელიც, ამავე დროს, სპორტული „ქცევით“ გამოირჩევა.

კომპანია „შკოდას“ ახალი სედანი – „ფაბია“



რომელსაც საავტომობილო წრეებში დიდი ხანია ელოდნენ. მას 5 მოდიფიკაცია ექნება. მათგან ყველაზე აიაფასიანი – 2,5 ლიტრი-



„რენოს“ შარშანდელი კონცეპტი

ანი V6 ძრავით, 37.400 დოლარი ეღირება, ყველაზე ძვირი კი – 3,0 ლიტრიანი 6 ცილინდრიანი ძრავით, SE კომპლექტაციისა – 44.600. კომპანიის მმართველი დირექტორის, ჯონათან ბრაუნინგის თქმით, X-Type ლოგიკური გაგრძელება S-Type-ის ოჯახისა, რომელიც 1998 წელს გაჩნდა. ხელმძღვანელთა ვარაუდით, ეს მოდელი „იაგუარს“ ახალი ბაზრების დაპყრობაში შეუწყობს ხელს.

„როვერ ჯგუფმა“ წარმოადგინა ახალი ავტომობილების მთელი რიგი, რომლის დიზაინის შემუშავებაში BMW-ს სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ამდენად, შორიდან ისინი ბავარიელ მწარმოებელთა მესამე ან მეხუთე სერიის მანქანებად მოგე-


ვნებათ.

მოდელი MG2R სპორტული ავტომობილის სტატუსზე განაცხადებს პრეტენზიას (სალონის გაფორმების მიხედვით). მას 160 ცხ. ძალიანი ძრავა აქვს.



MG2r უფრო ძლიერი, 180 ცხ. ძალიანი ძრავით არის აღჭურვილი.

„ლანჩია“ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას: მისი პროდუქცია ძვირფას ავტომანქანებზე ტრადიციული შეხედულებების მქონე შეძლებული კლიენტებისთვის არის გათვალისწინებული. მოდელი TRESIS მართვის ელემენტებისა და სალონის გაფორმებაში შეტანილი ცვლილებების მქონე CAPP-ს გაუმჯობესე-



„ვოლვოს“ პირველი „ყველგანმავალი“ შეიძლება ამავე წელს გამოვიდეს სერიულად



KOLEOS წლეულს VEL SATIS მოდელით მოგვევლინა

ბულ ვარიანტს წარმოადგენს.

„ლანჩიას“ მფლობელმა კომპანია „ფიატმა“ „საშუალო კლასისთვის“ განკუთვნილი STILO წარუდგინა ავტომოწარმებელს. ეს მანქანა, უკვე მოძველებულ BRAVAS შეცვლის. მას სამ და ხუთკარიანი ვერსიებად გამოუშვებენ და უკვე წლებადღებულ შემოდგომაზე შესთავაზებენ დილერებს.

სერიული ავტომობილები სალონის თითქმის ნახევარს შეადგენს, საგამოფენო ფართობის მეორე ნახევარს კონცეპტ-კარები (რომელიც, როგორც ავტომწარმოებელ კომპანიებს, ასევე დამოუკიდებელ სადიზაინერო ბიუროებს ჩამოაქვთ) და ცალკეობით გაკეთებული სპორტული ავტომობილები იკავებს.

წლეულს ერთდროულად სამი კონცეპტი წარმოადგინა კომპანია „ვოლვომ“. ერთ-ერთი – SAFETY CONCEPT CAR იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ რა ღონეზე შეიძლება აიყვანო მგზავრთა უსაფრთხოება. თუმცა, „ვოლვოს“ წარმომადგენელთა თქმით, კონცეპტებიდან ყველაზე ადრე სერიულ წარმოებაში ACC-ს ჩაუშვებენ: ეს არის კომპანიის პირველი ნამდვილი „ყველგანმავალი“, რომელიც შევლურმა ფირმამ შეიმუშავა.



## ახალი ხმესტეჟი Ford Streetka

ამერიკული კომპანია „ფორდი“ ამთავრებს ახალი როდსტერის წარმოებისთვის მზადებას. კონცეპტუალური STREETKA პირველად ტურინის საავტომობილო სალონზე, შარშან გამოშვებულა და მზახველთა დიდი მოწონებაც ხვდა წილად.

მანქანას შეზღუდული რაოდენობით გამოუშვებენ. 30.000 ეგზემპლარს „პინინფარინას“ ატელიე დაამზადებს, რომელიც ცნობილია „ფერარის“, მათ შორის ბოლო მოდელის – MODENA-360-ის წარმოებით.

ავტომობილში გამოყენებულია „ფორდ პუმას“ და „ფორდ კას“ ელემენტები. მასის RACING PUMA-ს დაესესხნენ, რომელმაც ახალ მანქანას 1.7 ლიტრიანი 125 ცხ. ძალის მქონე ძრავაც „უსასსოვრა“.

ამ მანქანის შექმნისაკენ კომპანიის ფრანგული PEUGEOT 206 CC-ს დიდმა წარმატებამაც უბიძგა. თუმცა, მისი ფასი „პეუსას“ რამდენადმე გადააჭარბებს. როგორც ვარაუდობენ, ახალი როდსტერი დაახლოებით 18.000 ვირვანქა სტერლინგი ეღირება.



ნიკ კემპბელს, წარმოშობით კანადელ 26 წლის მსახიობს, ჰოლივუდში ახალ „საშინელება-თა დედოფალს“ უწოდებენ. თავის დროზე ეს ტიტული ჯეიმი ლი კერტისის ეკუთვნოდა და ტრილერის კლასიკად ქცეულ ფილმებში — სამ „პელოუინში“ ქალის მთავარი როლის შესრულებით-სთვის დაიმსახურა, მაგრამ 1996 წელს კერტისის კემპბელის სახით საშიში მონინაალმდეგე გამოუჩნდა. ოთხი წლის მანძილზე ნივმა მოახერხა ეთამაშა ფილმ „კივილის“ სამ ნაწილში. ეს ფილმი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „საშინელება“ გახდა. იმის შემდეგ, რაც 2000 წლის თებერვალში ეკრანებზე „კივილი-3“ გამოვიდა, ჟურნალმა „ენტერტაინმენტ უიკლიმ“ ნივი „კომმარების სამყაროს ახალ მბრძანებლად“ აღიარა. თუმცა, მეგობრების გადმოცემით, ამან კემპბელი არც ისე ალაფროვანა.

# ჰოლივუდის ახალი

## „საშინელებათა დედოფალი“

თურმე ამას გარკვეული მიზეზები ჰქონდა. თავი ახალ კინოპროექტზე — „დამხრჩვალ მონაზე“ მუშაობის პირველსავე დღეს, ნივი გადასაღებ მოედანზე აღრინდელ „დედოფალს“ შეეჩხა. „ახლავე დამიბრუნე ჩემი გვირგვინი!“ — მრისხანე ხმით მოითხოვა კერტისმა. ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ სხვა დროს საკმაოდ ენამოსწრებული ნივი დაიბნა და პასუხად რაღაც გაურკვეველად წაიხუტბ-

ნიკ კემპბელი „ყვირილში“

უტა. ამან კი თვით ჯეიმი და გადამღები ჯგუფიც საკმაოდ გაახალისა და გაამხიარულა. ერთ-ერთ ინტერვიუში კი ნივმა აღიარა: „საერთოდ არ მომწონს, როცა „საშინელებათა დედოფალს“ მიწოდებენ. არ იფიქროთ, რომ კერტისის შურისძიების მეშინია. უბრალოდ, არ მინდა მთელი ცხოვრების მანძილზე რომელიმე ერთ ჟანრს მივეჯაჭვო. ამქვეყნად ყველაზე მეტად თავის უფლებას ვაფასებ და ჩემს დამოუკიდებლობაზე ვერანაირ თავდასხმას ვერ ავიტან“.

ბელის ირონიით კი კემპბელი მუდმივად ხვდება ისეთ სიტუაციებში, რომელიც მისი თავისუფლებისმოყვარე ხასიათისთვის სერიოზული გამოცდა ხდება. ჯერ კიდევ სამსახიობო კარიერის დაწყებამდე ნივმა პირობა დადო, რომ არასოდეს გახდებოდა სერიალებში მონაწილე მსახიობი. მას მკაცრად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ დიდი ეკრანის ვარსკვლავი გამხდარიყო. ამის მიუხედავად, თავისი პირველი როლი მაინც ტელესერიალ „ვასეირნებაში“ შესრულა, რომელზეც მუშაობა კანადაში მიმდინარეობდა. ნივმა სე-

რიალში ორი სეზონის მანძილზე გაძლო, მერე კი საკუთარი ნებით მიატოვა „საპანის ოპერა“, თუმცა იმ დროს სხვა წინადადებებიც არ ჰქონდა. ახალი სამუშაო რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობის შემდეგ მიიღო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს კვლავ სერიალი იყო, ამჯერად ამერიკული. მას „ხუთულის კომპანია“ ეწოდებოდა. ყველაზე სამწუხარო კი კემპბელისთვის ის იყო, რომ კონტრაქტის პირობების მიხედვით, მისი დარღვევა მსახიობს მხოლოდ დიდი თანხის გადახდის შემდეგ შეეძლო.

„ექვსი წლის მანძილზე ოქროს გალის ტყვედ ვიქეცი. სერიალმა სახელი და ფული მომიტანა, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, ამ დროის განმავლობაში რამდენ საინტერესო კინოპროექტზე მომიწია უარის თქმა და მხოლოდ იმის გამო, რომ მათი გადაღების დრო ჩემს სამუშაო განრიგს ემთხვეოდა“, — წუწუნებდა ნივი. უილბოლის მიუხედავად კემპბელი მაინც ახერხებდა სერიალზე მუშაობისას გაჩენილი ხანმოკლე შესვენებების დროს კინოში გადაღებას. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ კინემატოგრაფისადმი მისი ეს დაუოკებელი ლტოლვა, ბოლოს და ბოლოს, პირად ცხოვრებას დაუნგრევდა.





ჯეფ კოლტან ერთად, განქორწინებამდე

კემპბელმა ჯეფ კოლტი 15 წლის ასაკში გაიცნო. იმ დროს ნივი ტორონტოს მუსიკალური თეატრის დამწეები მსახიობი იყო, ჯეფი კი თეატრის ბუფეტში, ბარმენად მსახურობდა. ამის მიუხედავად, ჯეფიც არ იყო მოკლებული შემოქმედებით ამბიციებს და გამუდმებით გადიოდა სხვადასხვა როლის სინჯზე კინოსა და ტელევიზიაში. მათ თითქმის რვა წელი იცხოვრეს ერთად. ამ პერიოდში ოფიციალურად სამი წელი იყვნენ დაქორწინებულნი.

ამ დროის მანძილზე ნივი თინეიჯერთა კერპი გახდა, ჯეფი კი სერიალებში მცირე როლებს ვერ გასცდა. თანდათანობით გარშემომყოფებმა მას „მისტერ კემპბელი“ შეარქვეს და ისე ექცეოდნენ, როგორც ცნობილი ცოლის ჩრდილში მყოფ უბრალო ადამიანს. ამის გარდა, კაცს გამუდმებით უხდებოდა კემპბელის ზედმეტად გულმხურვალე თავიანთსმცემელთა მოგერიება, რომლებიც ნივს არც ერთი წუთით არ ასვენებდნენ.

ერთხელ ფანატი ნივს პირდაპირ „ქალთა ოთახში“ შეუვარდა. მან კაბინის კარის ქვეშ ბლოკნოტი შეაცურა და ავტოგრაფი მოითხოვა. ნივმა საშველად ჯეფს უხმო და რომელმაც მაშინვე მოაშორა ცოლს თავხედი თავიანთსმცემელი. კოლტი მზად იყო, კიდევ მილიონი ტანჯვა გადაეტანა სიყვარულისთვის, მაგრამ ერთხელ მისი მოთმინების ფიალაც აივსო. ეს მაშინ მოხდა, როცა ნივმა მათი ურთიერთობის ყველაზე ინტიმურ მომენტში ქმარს არა ჯეფი, არამედ მაიკლი უწოდა. მაიკლი სერიალში მისი პარტნიორის სახელი იყო. მეორე დღესვე შეურაცხყოფილმა კოლტმა გაყრა მოითხოვა. საბრალო ნივს ღრმა დებრესია დაეუფლა. მსახიობმა გადაწყვიტა, რომ ის ბავშვობაში დადებული ფიცის დარღვევისთვის დაისაჯა. მაშინ ნივმა მოწმედ ღმერთი მოიხმო და დაიფიცა, რომ აღარასოდეს გათხოვდებოდა.

მას გონებაში მწარე მოგონებები ამოუტივტივდა: გოგონას მოსიყვარულე მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ნივისთვის ეს ნამდვილ ტრაგედია იქცა. მას ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა, ორი ადამიანი, რომელსაც ძალიან ბევრი საერთო რამ აკავშირებს, ერთმანეთს დაშორდეს. ნივის მშობლებს: დედას – მარნი ნივს და მამას – ჯერი კემპბელს თეატრის სამყაროსთან უშუალო შეხება ჰქონდათ. მარნი პატარა თეატრალური კლუბის მფლობელი იყო, ხოლო ჯერი სკოლაში დრამატულ ხელოვნებას ასწავლიდა. თეატრის სიყვარულის გარდა, მათ თავიანთი ორი შვილის – ნივისა და მისი უფროსი ძმის, კრისტინანის სიყვარულიც აერთიანებდათ.

განქორწინების შემდეგ ბავშვებზე მზრუნველობა მამამ ითავა. თავიდან ის შვილებს ყურადღებასა და სითბოს არ აკლებდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, კვლავ დაოჯახდა და ნივმა დიდი ძალისხმევით ფასად მოახერხა მამის ახალი ცოლის მიღება. მაგრამ მაშინ, როცა გოგონა თავის დედინაცვალს მიეჩნია, მამამისი ისე განქორწინდა. სწორედ მაშინ წარმოთქვა გოგონამ საბედისწერო ფიცი – რადგან დარწმუნებული იყო, რომ ქორწინებას ადამიანებისთვის მხოლოდ უსიამოვნებები მოაქვს.

თუმცა 13 წლის ნივს არ შეეძლო თავის განცდებზე დიდხანს ეფიქრა. ის უკვე ტორონტოს ეროვნულ საბალეტო სკოლაში სწავლობდა და მისი მეცადინეობის განრიგი ძალიან დატვირთული იყო – გოგონა საბალეტო კლასში დღეში შვიდ საათს ატარებდა.

ნივი ბალეტით ადრეული ბავშვობიდან იყო გატაცებული – იმ დროიდან, როცა 6 წლის ასაკში მამამ პირველად წაიყვანა „მაკნატუნას“ სანახავად. 9 წლის ასაკში მისი ოცნება ახდა – ნივი საბალეტო სკოლაში

მიიღეს. ეს საკმაოდ რთული იყო, რადგან იმ წელს ძალიან დიდი კონკურსი მიეწყო – თითოეულ ადგილზე პრეტენზიას ასობით ბავშვი აცხადებდა. ხუთი წლის შემდეგ კი ნივმა სკოლის დატოვება გადაწყვიტა.

თავისუფლებისმოყვარე გოგონამ ვერ აიტანა მუდმივი ფსიქოლოგიური სტრესი და გაუთავებელი ინტრიგები კულისებს მიღმა. ატმოსფერო სკოლაში იმდენად მძიმე იყო, რომ მიტოვებამდე ცოტა ხნით ადრე, ნივმა სერიოზული ნერვიული შეტევა გადაიტანა. ამის შედეგად საბრალო გოგონას მთლად გასცვივდა თმა. ნივმა გამელოტებასთან ბრძოლა მხოლოდ რთული სამედიცინო პროცედურების გავლის შედეგად მოიგო. მას შემდეგ მცირე ნერვიულობის დროსაც კი, მას ბლუჯა-ბლუჯა სცვივა თმა და ისევ ექიმებთან ვიზიტი უწევს, რომლებიც ყოველ ჯერზე თავის კანში 20-ზე მეტ ნემსს უკეთებენ. ბოლო მკურნალობა მსახიობმა ჯეფ კოლტთან განმარტების შემდეგ ჩაიტარა.

ამჟამად ნივ კემპბელი მსახიობ ჯონ კიუსაკთან მეგობრობს, რომელმაც უნიჭო რეჟისორის შთამბეჭდავი სახე შექმნა ვუდი ალენის ფილმში – „ტყვიები ბროდვეის თავზე“. მათ ხშირად ხედავენ ერთად რესტორნებში, დისკოთეკებსა და პოლივუდურ წვეულებებზე. როცა ჟურნალისტები დაჟინებით ცდილობენ, გაარკვიონ – ხომ არ აპირებს მსახიობი ისევ გათხოვებას, ნივი მკაცრად პასუხობს – „არა“...

**ნივი და ჯონ კიუსაკი სულ უფრო ხშირად გამოდიან ხალხში ერთად**



# დაკვილოდომა

## ჰოლივუდის საუკეთესო „წვეულაბა“

ყოველი წლის თებერვალში, ლოს-ანჯელესის სასტუმროში — BEVERLY HILLS ტრადიციულად ტარდება უცხოური პრესის ჰოლივუდური ასოციაციის მიერ დაფუძნებული, კინემატოგრაფიული პრემიის — „ოქროს გლობუსის“ გადაცემის

ცერემონია. სწორედ ამ პრიზის გადაცემისას ხდება ხოლმე ცნობილი, რამდენად შეძლებს სულიერებით მდიდარი ევროპა ჰოლივუდის „უსულო“ პროდუქციის ფინანსური წარმატების უზრუნველყოფას.




ამიური კინოს წარმომადგენელი, „ოქროს გლობუსის“ მფლობელი ენგ ლი



სტივენ სოდერბერგი ორჯერ წარადგინეს „გლობუსზე“ და ორჯერვე გაუცრუვდა იმედი



„გლობუსის“ კიდევ ერთი ახალი მფლობელი – კემერონ ქროუ



„გლადიატორის“ შემქმნელი, ორგზის „გლობუსოსანი“ რილდი სკოტი

უცხოური პრესის ჰოლივუდური ასოციაცია ლოს-ანჯელესში აკრედიტებულ და უცხოურ პრესაში ჰოლივუდის სიახლეთა მიმომხილველ ჟურნალისტთა ყველაზე ცნობილი ჟურნალისტური ორგანიზაციაა. ფაქტობრივად, იგი ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა – მაშინ, როცა ჰოლივუდში, უცხოელი ჟურნალისტების რაოდენობა ძალზედ მცირე, ხოლო მათი მდგომარეობა ძალზედ უიმედო იყო: კინომანტები მათ არასერიოზულად აღიქვამდნენ, რადგან ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდნენ თავიანთი პროდუქციის უცხოეთის ბაზარზე გასაღების მნიშვნელობას. ოფიციალური სტატუსი რომ გაემყარებინათ, 1928 წელს უცხოელი ჟურნალისტები ჯერ უცხოელი კორესპონდენტების ჰოლივუდურ ასოციაციაში გაერთიანდნენ, ხოლო შემდგომ, 1935 წელს, უცხოური პრესის გაერთიანება ჩამოაყალიბეს. ამ ორგანიზაციას დიდხანს არ უარსებია, სამაგიეროდ თავად გაერთიანების იდეა აიტაცეს და 1943 წელს BRITISH DAILY MAIL-ის კორესპონდენტმა შექმნა საზღვარგარეთული პრესის ჰოლივუდური ასოციაცია, რომელიც დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს. თავიდან ეს ასოციაცია, რომელიც 900 გაზეთს, მსოფლიოს სხვადასხვა რადიოსად-

გურსა და ჟურნალს აერთიანებდა, იმდენად მდიდარი არ გახლდათ, რომ კინემატოგრაფისტებისთვის საკუთარი პრიზი მიენიჭებინა. სამაგიეროდ, ყოველწლიურად, კენჭისყრის საფუძველზე თავის ფავორიტებს ირჩევდა და საკმაო გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე. დღეს ამ ორგანიზაციის გავლენა ძალზედ დიდია – ყოველი ჰოლივუდური ფილმი ხომ მოგების ნახევარზე მეტს სწორედ საზღვარგარეთ გაქირავების ხარჯზე იღებს. „ოქროს გლობუსების“ გადაცემის პირველი არაფორმალური ცერემონია 1944 წლის დასაწყისში, სტუდია 20-TH CENTURY FOX-ში შედგა. მაშინ ამ პრიზს სპირალის ფორმა ჰქონდა, ხოლო უკვე მომდევნო წელს „ოქროს გლობუსებს“ ის სახე მიეცა, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს: კვარცხლბეკზე დადებული ოქროს ბირთვი, რომელსაც შემოხვეული აქვს კინოფირი. მომდევნო წლებში ნომინაციების რიცხვი სულ უფრო მატულობდა. 1955 წლიდან „ოქროს გლობუსით“ სატელევიზიო ნამუშევრებსაც აჯილდოებენ – ეს ერთ-ერთი იმ იშვიათ ჯილდოთაგანია, რომელიც კინოსა და ტელევიზიას აერთიანებს. 24 „გლობუსიდან“ 13 გადაეცემა კინონამუშევრებს, ხოლო 11 – ტელე-

ფილმებს. „ოქროს გლობუსის“ კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა დრამატული და კომედიური ჟანრის ფილმების გამიჯვნა, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ კომედიის დისკრიმინაცია: „ოსკარის“ აკადემიკოსები, როგორც წესი, თვლიან, რომ ხელოვნების ნაწარმოები აუცილებლად სერიოზული უნდა იყოს და ამიტომ კომედიებს „ოსკარის“ მიღების ძალიან მცირე შანსი აქვთ. ამასთან, „ოქროს გლობუსის“ საუკეთესო ფილმისათვის, არცთუ ისე იშვიათად ენიჭება ორ აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს. მაგალითად, ასე მოხდა 1961 წელს, როცა ასოციაციამ საუკეთესო ფილმებად აღიარა სტენლი კუბრიკის ისტორიული ეპოპეა „სპარტაკი“ და ბილი უაილდერის კომედია „ბინა“, ხოლო 1995 წელს „გლობუსი“ მიენიჭა „ფორესტ გამპსს“ და მულტფილმ „მეფე ლომს“. მიუხედავად იმისა, რომ „ოსკარი“ მაინც ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ რჩება, „ოქროს გლობუსის“ გადაცემის ცერემონია ჰოლივუდში საუკეთესო „წვეულებად“ ითვლება, რადგანაც აქ გარსკვლავები გაცილებით თავისუფლად გრძნობენ თავს, ვიდრე „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე. „გლობუსის“ კიდევ ერთ უპირატესობად შეი-



ტომ ჰენქსი ფილმში CAST AWAY

ძლება ჩაითვალოს ისიც, რომ საღამოზე სტუმრები პატარ-პატარა მაგიდებს უსხედან, ცოტ-ცოტას სვამენ, ჭამენ და სცენაზე მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ადიან. მიუხედავად იმისა, რომ ცერემონიას პირდაპირ ეთერში 240 მილიონი ტელემყურებელი უყურებს, აქ მაინც შინაურული ატმოსფერო სუფევს და ხშირად, სასაცილო შემთხვევებიც ხდება. „ოქროს გლობუსზე“ უკვე ტრადიციად იქცა, რომ რომელიმე ნომინანტი, ზუსტად იმ დროს, როცა სცენაზე იწვევენ, გასულია – მაგალითად ტუალეტში (წელს ეს იყო მსახიობი რენე ზელვეგერი, რომელიც წლის საუკეთესო კომედიურ მსახიობად აღიარეს)...

ჯერ კიდევ არსებობის პირველ წლებში უცხოური პრესის ჰოლივუდურმა ასოციაციამ მეტისმეტად შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება მიიღო – ჯილდოები „ოსკარის“ მინიჭებაზე გადაეცა, რათა კინოაკადემიკოსების გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო. ამერიკული კინოაკადემია კი, პირიქით, გარკვეულწილად დამოკიდებულია უცხოელი ჟურნალისტების შეფასებაზე.

„ოქროს გლობუსის“ საფუძველზე შესაძლებელია მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზების გაკეთება მომავალ „ოსკაროსნებზე“. მაგალითად, შარშან „გლობუსის“ ცამეტ ლაურეატთაგან შვიდი „ოსკარის“ მფლობელიც გახდა. უკანასკნელი 57 წლის მანძილზე კი ნომინაციაში „წლის საუკეთესო ფილმი“, „ოქროს გლობუსის“ და „ოსკარის“ ფიურის გადაწყვეტილება 41-ჯერ დაემთხვა ერთმანეთს.

რაც შეეხება წლევეანდელ სეზონს, საერთოდ ძნელია ოსკარის ფავორიტის განსაზღვრა, რადგან წლის ბოლოს სა-

უკეთესო კინემატოგრაფისტების დამდგენი ამერიკელ კრიტიკოსთა რეგიონული ორგანიზაციები ერთსულოვანნი ვერ აღმოჩნდნენ – ისინი კი, თავის მხრივ, უცხოური პრესის გადაწყვეტილებებზე ახდენენ გავლენას. დამკვირვებლები იმედოვნებდნენ, რომ „ოქროს გლობუსების“ გადაცემა ნათელს მოჰქვენდა სიტუაციას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან პრიზები აქაც საკმაოდ თანაბრად განაწილდა. ორ-ორი „გლობუსი“ მიიღო ოთხმა ფილმმა: რილდი სკოტის ისტორიულმა ეპოპეამ „გლადიატორი“, სტივენ სოდერბერგის ნარკომაფიასთან ბრძოლის შესახებ გადაღებულმა „ტრაფიკამ“, კემერონ კროუს ნახევრად ავტობიოგრაფიულმა სურათმა როკ-მუსიკოსების შესახებ – „თითქმის სახელოვანი“ და ენგ ლის რომანტიკულ-ორიენტალისტურმა დრამამ „ჩასაფრებული ვივუზი, დამალული დრაკონი“. თუკი ენგ ლის ფილმი „ოსკარის“ მთავარ ნომინაციაში მოხვდება, ეს ფაქტი ისტორიაში შევა – ჯერ არც ერთი აზიური კინოსურათი ამ კატეგორიის ნომინანტი არ ყოფილა.

წლევეანდელი „ოქროს გლობუსის“ მთავარი გმირი იყო სტივენ სოდერბერგი – „ოქროს გლობუსის“ არსებობის მანძილზე, „საუკეთესო დრამატული ფილმის“ ნომინაციაში წელს პირველად მოხვდა ერთი და იმავე რეჟისორის ორი ფილმი – „ერინ ბროკოვიჩი“ და „ტრაფიკი“. და მიუხედავად იმისა, რომ უცხოელმა ჟურნალ-

„მთავარი ნომინანტი“ – „გლადიატორი“



ჯულია რობერტსი ფილმში „ერინ ბროკოვიჩი“

ისტებმა წლის საუკეთესო დრამატულ ფილმად „გლადიატორი“ აღიარეს, სოდერბერგს მაინც აქვს „ოსკარის“ მიღების დიდი შანსი. „გლადიატორი“ ხომ მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად, მაინც სპეცეფიკებითა და უაზრო ორთაბრძოლებით დახუნძლულ პომპეზურ ბლოკასტერად რჩება, „ერინ ბროკოვიჩი“ და „ტრაფიკი“ კი პრობლემური, სოციალური კინოს ბრწყინვალე ნიმუშებია.

„გლობუსი“ არ ენიჭება მსახიობებს და აქ მისი გავლენა ამერიკელ კინოაკადემიკოსებზე გამოიციხულია. რაც შეეხება „სამსახიობო“ ნომინაციების რეალურ ფავორიტებს, რომელთა დაჯილდოება 21 მარტს გაიმართება, ჰოლივუდურ წრეებში უპირველესად ჯულია რობერტსსა და ტომ ჰენქსს ასახელებენ: რობერტსი სტივენ სოდერბერგის „ერინ ბროკოვიჩიში“ ასრულებს მთავარ როლს, ჰენქსი კი – თანამედროვე რობინზონზე გადაღებულ ფილმში CAST AWAY.



ამბავი ტელეგრაფის გამოგონებისა, ფაქის „ნინაპრის“ და მცისიერი ფულადი გზავნილების ტრანსკონტინენტური კომპანიისა

მოსამართლისა და შერიფის დასავლური ყავშირი

1832 წელს სემუელ მორზემ ტელეგრაფი გამოიგონა. 1837 წელს ამერიკის კონგრესმა მხარი დაუჭირა 35.000 დოლარის (დღევანდელი მასშტაბით ეს დაახლოებით 500.000-ს უდრის) გამოყოფას, ვაშინგტონსა და ბალტიმორს შორის ექსპერიმენტული სატელეგრაფო ხაზის მშენებლობისთვის.

თავდაპირველად, მორზეს სურდა, მიწისქვეშ გაეყვანა იზოლირებული სადენი, მაგრამ სულ რამდენიმე კილომეტრის გაყვანაზე 20.000 დაიხარჯა, ამიტომ გადაწყვიტეს, ბოძებზე გაეხატა „შიშველი“ სადენი, იზოლაციად კი, ბოთლების „ყელი“ გამოეყენებინათ: ეს ხერხი იაფიც აღმოჩნდა და ტექნოლოგიურიც.


ვაშინგტონი-ბალტიმორის ხაზის გაყვანა დადგენილ ვადაში დასრულდა. სწორედ ამ დროს ბალტიმორში იმართებოდა ე.წ. ვიგთა პარტიის ყრილობა, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა წამოეყენებინა. ვაშინგტონში სემუელ მორზეს სთხოვეს, კაპიტოლიუმში, უზენაესი სასამართლოს დარბაზში დაეყენებინა აპარატი, რათა ოპერატიულად მიეღოთ ინფორმაცია ყრილობის მიმდინარეობის შესახებ. ცნობების დამტარებელმა შიკრიკებმა, თავიანთ გასაკვირად აღმოაჩინეს, რომ სატელეგრაფო გზავნილები საკუთრივო მატარებლებს უსწრებდა.

1845 წელს სემუელ მორზემ საბუთაოდაიყვანა ფოსტის ყოფილი უფროსი ამოსკენდალი, რომელმაც ინვესტორთა ჯგუფი მოიზიდა. პირველი 15.000-ის დაგროვებისთანავე პარტნიორებმა კერძო სააქციონერო კომპანია – MAGNETIC TELEGRAPH დააფუძნეს. 1846 წლის გაზაფხულზე ამ კომპანიამ დაასრულა მსოფლიოში პირველი კომერციული ხაზის მშენებლობა, რომელიც ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს აერთიანებდა. მორზე იწყებს ლიცენზიების გაყიდვას და სატელეგრაფო კომპანიები ელვისებურად მრავლდება. ამრიგად, XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ამერიკაში უკვე ორმოცდაათზე მეტი სატელეგრაფო კომპანია მუშაობდა. ამავე დროს ჩნდება ალტერნატიული ტექნოლოგიები, მაგალითად, ვინმე როიალ ჰაუსის გამოგონება, რომელიც ცნობების ანბანურად ბეჭდვას უზრუნველყოფდა. ამის შედეგად



სემუელ მორზე ამერიკელ კანონმდებლებს მის მიერ გამოგონილ სატელეგრაფო აპარატის შესაძლებლობებზე მოახსენებს. 1837 წ.

# კავშირგაბულობის იმპერია



თომას ედისონის სატელეგრაფო აპარატი, რომელმაც რევოლუცია მოახდინა საფონდო ბაზარზე

გად შეიქმნა სიტუაცია, რომელიც ჩვენთვის მობილური კავშირის თანამედროვე ბაზრით არის ცნობილი – ბრიძოლა სტანდარტებს შორის. სტანდარტების შეუთავსებლობა უამრავი სასამართლო პროცესისა და ტელეგრაფისადმი უნდობლობის მიზეზი გახდა.

1851 წელს კანონის ორი მსახურის – მონროს ოლქის შერიფის, პირამ სიბლისა და ერთ-ერთი სატელეგრაფო პატენტის მფლობელის, მოსამართლე სემუელ სელდენის ისტორიული შეხვედრა მოხდა. იმავე წელს მათ შექმნეს კომპანია – NEW-YORK AND MISSISSIPPI VALLEY PRINTING TELEGRAPH COMPANY, რომელსაც შემდგომ WESTERN UNION TELEGRAPH COMPANY დაარქვეს.

ოპაიოსგან აღმოსავლეთით მდებარე ხუთ შტატში ორი კონკურენტი სისტემა მოქმედებდა, რომელსაც 13 სხვადასხვა კომპანია ფლობდა. კონკურენციის მიუხედავად, სატელეგრაფო მომსახურების

ფასი ძალიან დიდი იყო – სულ მცირე მოცულობის ტელეგრაფა 20 დოლარი ღირდა. სატელეგრაფო ბიზნესით გაწვდილებულმა კომპანიებმა მეპატრონეებმა სიზარულით მიიღეს სიბლის წინადადება – მიეყიდათ მისთვის თავიანთი საქმე. იმავე წელს სიბლიმ მორზეს ტელეგრაფის პატენტის შეძენაც მოახერხა, რომელიც იმ დროს ყველაზე სრულყოფილი იყო.

1860 წელს აშშ-ის კონგრესი გამოსცემს კანონს – PACIFIC TELEGRAPH PACT, რომლის თანახმად უნდა ჩატარებულიყო ტენდერი ტრანსკონტინენტური ხაზის შესაქმნელად. WESTERN UNION-თან ერთად, თავდაპირველად მასში კიდევ ორი კომპანია მონაწილეობდა. მაგრამ როცა დაიანგარიშეს, რომ 2000 მილის (1 მილი – 1,800-ოდე კილომეტრს უდრის. – რედ.) სიგრძის ხაზის გაყვანა დაახლოებით 10 წელიწადს გაგრძელდებოდა, ორივე ჩამოშორდა ამ საქმეს. ტენდერში გამარჯვებულმა WESTERN UNION-მა ხაზი 112 დღეში ააშენა. ამ ხაზით გაგზავნილი პირველი ტელეგრაფა პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნს გაუგზავნეს: ის აშშ-ისთვის კალიფორნიის შეერთების ამბავს იუწყებოდა. პრეზიდენტი აღფრთოვანებული იყო. იმ დღიდან ქვეყნის მთავრობა „უესიუნ იუნიონის“ მომსახურებით სარგებლობდა. კომპანია სატელეგრაფო ინდუსტრიის ლიდერი გახდა და გააფორმა კონტრაქტი – თომას ედისონის გამოგონებათა პატენტების შეძენის უპირველესი უფლების შესახებ.

## ფოსტაისტიკის აუნონავი სიტყვა

მალე დღის წესრიგში ე.წ. ძველ სამყაროსთან სატელეგრაფო კავშირის საკითხი დადგა. მაგრამ „უესთერნ იუნინონი“ არ ჩქარობს ევროპაში ატლანტის ოკეანის ფსკერზე კაბელის გაჭიმვას, რადგან მისი კონკურენტების ყველა ცდამ დაადასტურა – იდეა ფრიად საეჭვო იყო. 1864 წელს კომპანია ალტერნატიულ ხაზს აპროექტებს – რუსეთის ალასკის, ბერინგის სრუტისა და ციმბირის გავლით. და თუმცა ამ პროექტს აღსრულება არ ეწერა, მას საოცრად შთამბეჭდავი ირიბი ეფექტი მოჰყვა.

1862 წელს ამერიკელმა ელჩმა სანკტ-პეტერბურგში საიმონ კამერონმა ოფიციალურად შესთავაზა ტრანსციმბირული ტელეგრაფის მშენებლობა (როგორც „უესთერნ იუნინონის“ ტრანსოკეანური პროექტის ნაწილისა) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ვიცე-კანცლერს, თავად ალექსანდრ გორჩაკოვს.

იმხანად, რუსეთი, ყირიმის ომის (1853-56 წწ.) გამო, უძძიმეს ფინანსურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პოლონეთის მორიგი აჯანყება, კავკასიაში მიმდინარე ომი და ბატონყმობის გაუქმების შემდგომი რეფორმები მთელ ძალებს ართმევდა ხელისუფლებას. ერთ-ერთ რთულ პრობლემად, ამერიკაში არსებული რუსეთის საკუთრების მართვა გადაჰქცეოდა: 1856 წლის პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა პრაქტიკულად დაკარგა სამხედრო ფლოტი, რომელიც მანამდე კალიფორნიისა და ალასკის რუსულ ამერიკასთან რეგულარულ კავშირს უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, რუსი მონადირეები, რომლებიც ალასკაში სელაპის ტყავს შოულობდნენ, სულ უფრო ხშირად იუწყებოდნენ იქ არსებული ოქროს დიდი მარაგის შესახებ. ალექსანდრე მეორეს ემინოდა, რომ ალასკას მალე მიაშურებდა ოქროს მადიებელთა დიდი ტალღა – იმის მსგავსი, რომელმაც 1845 წელს კალიფორნიის სამხრეთი ნაწილი მექსიკას მოსწყვიტა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა აზრი, რომ უმჯობესი იყო, გაეყიდათ ალასკა, ვიდრე ფუჭად დაეკარგათ რამდენიმე წელიწადში. მიღებულ თანხას, აღმოსავლეთით ახალშემოერთებული მიწების ათვისებას მოახმარდნენ.

საიმედო სატელეგრაფო კავშირის შექმნა, როგორც ორ დიდ სახელმწიფოს, ისე ჩრდილო ამერიკასა და ევრაზიის შორის, რუსეთის გავლით, ორივე ქვეყნის გეოპოლიტიკურ გეგმებს ესადაგებოდა.

1863 წელს საფოსტო დეპარტამენტის მთავარმართებელმა, თავადმა ივან ტოლსტოიმ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთსა და ამერიკას შორის სატელეგრაფო კავშირის დამყარების შესახებ.

ახალი ტელეგრაფის ტრასის დადგენა და მშენებლობა, ამ ტერიტორიის მეცნიერულ შესწავლასთან ერთად დაიგეგმა, რადგან ამერიკა უკვე იკვლევდა ალასკის შესაძლო შეძენის საკითხს. სატელეგრაფო ექსპლდირიის შემადგენლობაში ჩართეს ბოტანიკოსი, ზოოლოგი, პალეონტოლოგი, ენთომოლოგი, იხტიოლოგი და მოლუსკების სპეციალისტიც კი. ფლორისა და ფაუნის უნიკალური ნიმუშების გარდა, ექსპლდირიამ გეოგრაფიული ცნობებიც მოაგროვა და მომავალი ხაზის მარშრუტიც მონიშნა, მაგრამ გაჩაღებული სამუშაო მოულოდნელად შეწყდა.

ხაზის მარშრუტის განხილვისთვის თავად ტოლსტოისთან გამართული მორიგი შეხვედრის დროს, ჰირამ სიბლიმ დაიჩივლა, რომ რუსულ-ამერიკული კომპანია HUDSON BAY ალასკის გადასაკვეთად თითქმის 6 მლნ დოლარს მოითხოვს. „საოცარია! ამ ფასად ჩვენ მას მთლიანად გავყიდდით!“ – აღმოხდა იმპერიის მთავარ ფოსტაისტიკერს. სიბლიმ უმაღ აცნობა ამის შესახებ პრეზიდენტ ფრანკლინ პირსს. ექვსი კვირის შემდეგ, 1867 წლის 18 მარტს, დაიდო ხელშეკრულება აშშ-ის მიერ რუსეთისაგან ალასკის 7,2 მლნ დოლარად ყიდვის შესახებ.

## პირველი სატელეკომუნიკაციო ომი

1876 წელს ალექსანდრ ბელმა გამოიგონა ტელეფონი და შექმნა BELL TELEPHONE. „უესთერნ იუნინონი“, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული კავშირგაბმულობის ახალი სახეობის პერსპექტიულობა, 1870-იან წლებში ცდილობს, დაისაკუთროს ძირითადი სატელეფონო პატენტები და ედისონს სთავაზობს, გამოიგონოს საკუთარი ტელეფონი, რომელიც სულ სხვა პრინციპებს დაეყრდნობა. გადამცემ მოწყობილობად ბელის ტელე-

ფონში რკინის მემბრანას იყენებდნენ, ედისონმა ის ნახშირის მიკროფონითა და დიაფრაგმით შეცვალა. ედისონის ტელეფონს უფრო ძლიერი სიგნალი ჰქონდა. „უესთერნ იუნინონს“ კი მიეცა საფუძველი, ნებისმიერ სასამართლოში დაემტკიცებინა, რომ ბელის კომპანიის საპატენტო უფლება არ დაურღვევია.

ბელთან პაექრობის პარალელურად, „უესთერნ იუნინონის“ თავკაცი უილიამ ვანდერბილტი უოლ-სტრიტელი რკინიგზის მაგნატის, ჯეი გოულდის შემოტევებს იგერიებდა. ეს უკანასკნელი კარგა ხნის მანძილზე ცდილობდა „უესთერნ იუნინონს“ „გადაეღაპავს“ და ყველა პერსპექტიულ პატენტს ყიდულობდა. ყველაზე ძლიერი დარტყმა მან კომპანიას 1874 წელს მიაყენა, როცა შეისყიდა ედისონის მიერ გამოგონებული კვადრაპლექსის პატენტი. მოწყობილობა ერთდროულად ორი მიმართულებით ცნობების გაგზავნას უზრუნველყოფდა. ამ გამოგონებისთვის ედისონმა იმ დროისათვის რეკორდული თანხა – 100.000 დოლარზე მეტი მიიღო. და თუმცა „უესთერნ იუნინონს“ ედისონის მრავალარხიანმა ტელეგრაფმა 15 მლნ დოლარი მოუტანა, ორ ფრონტზე წარმოებულმა ომმა კომპანიას ძალა გამოაცალა. 1879 წელს ბელის კომპანიასთან შერკინებას ბოლო მოელო. მხარეებმა ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს: „უესთერნ იუნინონი“ თმობს ყველა სატელეფონო პატენტსა და მოწყობილობა-დანადგარს, ბელი კი შორს დაიჭერს თავს სატელეგრაფო ბიზნესისაგან.

ტელეგრაფს თავისთავად, დიდი შე-

**XX ს. 20-იან წლებში ნიუ-იორკის ცენტრში განთავსებული მგაბბინისა და მთელ მსოფლიოში გაბნეული განყოფილებების მფლობელი „უესთერნ იუნინონი“ ამერიკული წარმატების თავისებურ სიმბოლოდ იქცა**



მოსავალი მოჰქონდა. კერძოდ, გადატრიალება მოახდინა საფონდო ბირჟაზე: 1866 წელს „უესთერნ იუნიონმა“ საბირჟო კოტირებები დროის რეალურ რეჟიმში გადასცა. 1871 წელს კი კომპანიამ პირველი ფულადი გზავნილი განახორციელა – ოპერაცია, რომელიც ასი წლის შემდეგ მისი მომსახურების ძირითად სახეობად იქცა.

### ფაქსის „წინაპრები“

1920 წელს „უესთერნ იუნიონმა“ მსოფლიოში პირველად, ატლანტიკის მიღმა ფოტოგამოსახულება გადასცა. ამ ტექნოლოგიას ათწლეულების მანძილზე იყენებდნენ. ოკეანის ორივე მხარეს მცხოვრებ ჟურნალისტებს თავიანთი რეპორტაჟების ფოტოსურათებით ოპერატიულად გაფორმების საშუალება მიეცათ.


30-იანი წლების შუა პერიოდში მიღწეული მსოფლიოში „უესთერნ იუნიონის“ კურიერთა 14 ათასიანი არმია მოქმედებდა, რომელიც მზად იყო, პლანეტის ნებისმიერ კუთხეში მიეტანა ტელეგრაფი. კომპანიის სარეკლამო ლოზუნგი – DON`T WRITE – TELEGRAP! („ნუ დაწერთ – ტელეგრაფით გააგზავნეთ!“) ამერიკელთა ცხოვრებას ცვლის.

ჩვეულებრივი ტელეგრამების გარდა, კომპანიას მათი უამრავი ვარიაცია შემოაქვს: ადრესატები იღებენ მისალოც **SANTAGRAMS** – პატარა საშობალო საჩუქრებთან ერთად; **DOLLYGRAMS** და **BUNNYGRAMS** თან ერთვის თოჯინები და სათამაშო ცხოველები, ერთხელ კი ოპერატორმა, იმის ნაცვლად, რომ მისალოცი ტექსტი წაეკითხა, ტელეფონით უმღერა ადრესატს დაბადების დღის მისალოცი **HAPPY BIRTHDAY**. ეს კურიოზი გახეთქილი ახსენეს და ამის შემდეგ, ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით, კომპანია იძულებული გახდა, შეეშუშავებინა თავისი მომსახურების სახეობათაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული – „მომღერალი ტელეგრამა“.

დიდი დებრესია, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ახალი ტექნოლოგიების



**XIX ს. მეორე ნახევარში გაჩენილი სხვადასხვა სტანდარტის სატელეგრაფო აპარატები, რომლებმაც მსოფლიოში პირველი სატელეკომუნიკაციო ომი გამოიწვია**



შექმნის კატალიზატორად იქცა. ტელეგრაფს სულ უფრო ხშირად იყენებენ ბიზნესში და კომპანია პირდაპირი ხაზებით აკავშირებს ოფისებს კავშირგაბმულობის ადგილობრივ განყოფილებებთან. გარდა ამისა, კანტორიდან უკვე არა მარტო ცნობების, არამედ გამოსახულების გაგზავნაც არის შესაძლებელი – გაჩნდა თანამედროვე ფაქსების პროტოტიპი. მოგვიანებით, კომპანია ქმნის და ნერგავს ტელექსს, რომელიც მრეწველებს ერთმანეთთან ცნობების ურთიერთგაცვლის საშუალებას აძლევს.

„უესთერნ იუნიონის“ სისტემა ე.წ. „ოთხი ცხრიანის“ (99,99%) სამთავრობო სტანდარტს პასუხობს. კომპანია კავშირგაბმულობით უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანეს ამერიკულ დაწესებულებებს: თეთრ სახლს, თავდაცვის სამინისტროს, ფედერალურ სარეზერვო სისტემას (იმავე ცენტრალურ ბანკს. – რედ.), პოლიციას...

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები სატელეგრაფო ინდუსტრიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. „უესთერნ იუნიონს“ ინფორმაციის უმავთულო საშუალებებით გადაცემის დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი (მაგალითად, 1904 წელს რადიო-ტელეგრაფით მომსახურებას უწევდა საოკეანო ლაინერების მგზავრებს). 1964 წლისათვის ბოძებზე გაჭიმული სა-

ტელეგრაფო სადენების „ობობას“ მთლიანად ცვლის ტრანსკონტინენტური მიკროტალღოვანი სისტემა. სახმელეთო სადგურებს „უესთერნ იუნიონი“ სათანამგზავრო კავშირგაბმულობას უთავსებს. დაბოლოს, ამერიკულ კომპანიათაგან პირველი „უესთერნ იუნიონი“ საკუთარ თანამგზავრს – **WESTAR 1**-საც უშვებს ორბიტაზე.

### სასწრაფო საფინანსო დახმარება

დღეს ტელეგრაფი, როგორც კავშირგაბმულობის სახეობა, უკვე კარგა ხანია რელიკვიად იქცა. 1990 წლიდან „უესთერნ იუნიონის“ მოღვაწეობა, სასწრაფო ფულადი გზავნილების სფეროზე კონცენტრირებული და სადღეისოდ კომპანია ამ ბაზარზე უპირობო ლიდერად გვევლინება. მისი სამოღვაწეო ასპარეზი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ე.წ. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების სივრცეში უამრავი ახალი სუვერენული სახელმწიფო შეიქმნა და გადაუდებელი საფინანსო დახმარების სფერო ერთბაშად გაიზარდა.

„უესთერნ იუნიონი“ საშუაოს, აქტიური სამომავლო მოქმედებების რეკონსტრუქციის პოულობს; კოსოვოში მისი თანამშრომლები პირდაპირი სანგრებში დახმავდნენ მოხილური ტელეფონებით, „ნოუთუქები-თა“ და ფულით დატენილი ტომრებით და ოჯახებში მემორების მიერ გაკეთებული გზავნილების ადრესატებამდე დროულად მიტანას უზრუნველყოფდნენ, ჰოსპიტლებსა და საველე ბანაკებში კი, დაჭრილებსა და ღვენილებს ურიგებდნენ ფულს...


თავისი არსით რომანტიკულია თვით კომპანიის სახელწოდება („დასავლური კავშირი“) – ის ამერიკელებს ავონებს შუა დასავლეთის მოსაზღვრე ქალაქებში გატარებულ ჰეროიკულ წარსულს და იმ დროის სახასიათო ნიშნებს – ე.წ. „სეელუნს“, მის ფიცხ კლიენტურასა და „სეელუნის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ფოსტას, რომლის შესასვლელთანაც შლაპიანი და კოლტით შეიარაღებული ფოსტამისტერი, მის გვერდით კი, „უესთერნ იუნიონის“ ამავე იარაღით აღჭურვილი ტელეგრაფისტი დგას...

აშშ-ში „უესთერნ იუნიონი“ უკვე კარგა ხანია „მშობლიურ“ სახელად იქცა. ამერიკის ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში განთავსებული მისი ექსპოზიცია კი, არსებითად, თვით ქვეყნის ისტორიას მოგვითხრობს...



# კვირის (19 - 25 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

## პირი - 21/III-20/IV



ამ კვირაში მრავალ ახალ ნაცნობს შეიძენთ, ხოლო უკვე არსებული კავშირებიდან სერიოზულ საგრებელს ნახავთ. განსაკუთრებით პოზიტიური დღეა სამშაბათი, რომელიც, სხვათა შორის, სასიყვარულო ურთიერთობებისთვისაც საკმაოდ წარმატებული იქნება.

## კორი - 21/IV-21/V



არც ისე იღბლიანი კვირა მოგვლით. განსაკუთრებულ დაძაბულობას კი კვირის დასაწყისში იგრძნობთ. მოსალოდნელია სტრესები, გადაღლა და კონფლიქტები, რომელიც ძირითადად, ურთიერთუნდობლობის საფუძველზე წარმოიშვება. ეცადეთ, შეინარჩუნოთ ოპტიმიზმი და შევება ფილოსოფიასა და ხელოვნებაში კიდე.

## მარცხედი - 22/V-21/VI




ორშაბათს, ოთხშაბათს ან შაბათს გელით ახალი შენაძენი. თუ ასე არ მოხდა, გულს ნუ გაიტუნებთ, ეს კვირა მაინც მშვენივრად ჩაივლის. აქტიური, გონებაბაზვილი და, საერთოდ, ძალზედ მომხიბვლელი იქნებით. სწორედ ამ მიზეზით უკვე დღეებში სტუმრად მივიპატივებენ. უარს ნუ იტყვით დროსტარებაზე.

## კირჩხივი - 22/VI-22/VII



ამ კვირაში მეტისმეტად ამბიციური იქნებით. ამაში ცუდი არაფერია, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი ამბიციების მიღმა რეალური საქმე ღვას. მოკლედ, თუ არ გადაამლამებთ და თავს სამყაროს ცენტრად არ წარმოიდგენთ, ყველაფერი მშვენივრად წარიმართება.

## ლომი - 23/VII-23/VIII



საკმაოდ უცნაური კვირა გექნებათ. სამშაბათს სიფრთხილე გმართებთ გზებზე - ამ დღეებში მომატებულია ტრავმებისა და ავარიების რისკი. ოთხშაბათს მოსალოდნელია კონფლიქტი, რომლის დროსაც კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ხუთშაბათს სერიოზული საუბარი გელით სამსახურში. სხვა ყველაფერი ნორმალურად იქნება...

## ქალწული - 24/VIII-23/IX



თუკი ამ კვირაში ორ-სამჯერ მაინც ერთსა და იმავე მომხიბვლელ უცნობს შეხვდებით - იცოდეთ, რომ ბედი თავად გიბიძგებთ რომანტიკული თავგადასავლისკენ. ოღონდ, გაითვალისწინეთ - პირველი ნაბიჯი აუცილებლად თქვენ უნდა გადადგათ. სხვათა შორის, სამსახურშიც სწორედ თქვენი ინიციატივა მისცემს დასაბამს ახალ საინტერესო პროექტს.

## სასწორი - 24/IX-23/X



ყველანაირი სამუშაოს შესრულებაზე დასთანხმდით. თუკი არაფერ არაფერს შემოთავაზებთ, თავად გამოჩნხვით დამატებითი ფინანსების შოვნის საშუალება. თუ მაინც ვერ წააწყდებით სამუშაოს, ამ კვირაში უფულოდ ჯდომა მოგიწევთ.

## ღრიანკალი - 24/X-22/XI



ნეტავი, ყველა ორშაბათი ასეთი გქონდეთ: კვირის დასაწყისში პრაქტიკულად ნებისმიერი საქმე გამოვივათ - თუ, რა თქმა უნდა, ყველას ერთბაშად არ შეეჭიდებით. ხუთშაბათისთვის შეგიძლიათ დაიცხროთ ენერჯია - საყიდლებზე წახვიდეთ და მეგობრებთან ერთად ბოლო დროს მომხდარი მოვლენები მიმოიხილოთ.

## მეზოლდოსანი - 23/XI-21/XII



ამ კვირაში არც ისე გულლია იქნებით, რაც, შეიძლება ითქვას, უკეთესიც იქნება თქვენთვის. მარტობა წარსულის გაანალიზებასა და ძაღების მოკრებაში დაგეხმარებათ. ასე რომ, განმარტოვდით. უკეთესი იქნება, თუ ქალაქარეთ გაემგზავრებით.

## თხის რქა - 22/XII-20/I



გემინოდეთ უცხოპლანეტელებისა და სავაჭრო აგენტების! სწორედ ამ პერსონაჟებს ძალუქს ეს კვირა ჩაგაშხამონ. პირველებს - იმით, რომ, შესაძლოა მათი არსებობა დაიჯეროთ. მეორეებს კი უნარი შესწევთ, აბსოლუტურად გამოუსადეგარი ძვირად ღირებული ნივთის ყიდვაზე დაგითანხმონ. თუ ორივე ცდუნებას მოერივეთ, ყველაფერი რიგზე იქნება.

## მარცხედი - 21/I-19/II



თუ კვირის დასაწყისში კაზინოში შესვლას ვერ მოახერხებთ, ლატარიის ბილეთი მაინც შეიძინეთ: ორშაბათს და სამშაბათს ბედი აუცილებლად გაგიღიმებთ. მომდევნო დღეებში კი კვლავ ფორტუნის იმედზე ნუ იქნებით და სამსახურში დოკუმენტებზე მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ.

## თევზები - 20/II-20/III



აფორიაქებული, დატვირთული და, ამასთან, ძალზედ სასიამოვნო და მხიარული კვირა გელით. დროდადრო თავს კომედიური ჟანრის ფილმის გმირად იგრძნობთ, მაგრამ ყურებს ნუ ჩამოყრით - კომედიას ხომ ყოველთვის ბედნიერი დასასრული აქვს. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, შესაძლოა, ძალზედ მოულოდნელად, დიდი ხნის ოცნება ავიხდეთ.

# მხოლოდ ქალაქისთვის რას ნიშნავს თქვენთვის კომპლიმენტი?

ცნობილია, რომ სასიამოვნო სიტყვის მოსმენა ყველა ქალს სიამოვნებს. როგორ იღებთ კომპლიმენტს, თუ მას საყვარელი მამაკაცი გუზუნებთ? პასუხების მოცემული ვარიანტებიდან ამოარჩიეთ ყველაზე გულწრფელი:

### 1) „გამორჩეულად მიმზადებული ქალი ხარ“

- ა) სთხოვთ, რომ გაიმეოროს კიდევ ერთხელ;
- ბ) გიხარიათ და მაშინვე გადაკოცნით;
- გ) გარბინართ, რათა სარკეში ჩაიხედოთ;
- დ) ფიქრობთ: „საჭიროა მეტი სიფრთხილე“.

### 2) აღფრთოვანებულია თქვენი ჩაცმის სტილით:

- ა) მიგაჩნიათ, რომ ის ჭკვიანია;
- ბ) ჩაფიქრდებით, რამდენად გულწრფელია;
- გ) მატყუარად თვლით, მაგრამ ღუმელს ამჯობინებთ;
- დ) გადაწყვეტთ, მკვეთრად შეცვალთ რაიმე თქვენს გარეგნობაში (ვარცხნილობა, მაკიაჟი).

### 3) „გაოცებული ვარ შენი ნიჭიერებით“:

- ა) თავადაც იცით, რომ ნიჭიერი ხართ;
- ბ) გიჩნდებათ სურვილი ჰკითხოთ: „რატომ?“;
- გ) ამითვე პასუხობთ;
- დ) ცდილობთ აუხსნათ, რომ ის ცდება.

### 4) „შესანიშნავად მღერი“:

- ა) ეკითხებით: „როგორც მარია კალასი?“;
- ბ) მაშინვე უმღერებთ;
- გ) განუცხადებთ, რომ მისი სიმღერის მოსმენა გსურთ;
- დ) ფიქრობთ, რომ ის დაგცინით.

### 5) ძირითადად, თქვენი ჭკუა და ინტელექტი აღაფრთოვანებს:

- ა) თქვენც აღფრთოვანებული ხართ მისი ჭკუა-გონებით და არც მაღავთ ამას;
- ბ) ღირსეულად იღებთ მის შეფასებას;
- გ) ეკითხებით: „ნუთუ მართლა?!“;
- დ) სთხოვთ, რომ თავისი მოსაზრება დაგისაბუთოთ.

### 6) „მერილინ მონროს ჰგავხარ“:

- ა) ეს პირველად არ გესმით;
- ბ) ფიქრობთ: „საინტერესოა – მე ხომ უფრო ახალგაზრდა ვარ?!“;
- გ) დაფიქრდებით: „იქნებ მართლაც ასეა?“;
- დ) გაოცებთ მისი გულუბრველობა.

### 7) „ამოუცნობი ქალი ხარ“:



- ა) თვლით, რომ შესაფერისი კომპლიმენტია;
- ბ) გიხარიათ, რომ მან ეს შეამჩნია;
- გ) ფიქრობთ – „ამას დავიხსომებ!“;
- დ) სურვილი გეპაღებათ, რომ შეეკამათოთ.

### 8) „ძალიან ლამაზი ფეხები გაქვს“:

- ა) გადაწყვეტთ, ატაროთ მოკლე კაბები;
- ბ) გსურთ, ეს ამბავი მაშინვე აცნობოთ ახლობლებს;
- გ) ამოწმებთ ამას, ვიტრინებს რომ ჩაუვლით;
- დ) გსურთ ეს „ადმოჩენა“ დაქალღმობს გაუზიაროთ.

### 9) „შესანიშნავი სუნამო გასხია“:

- ა) აწვდით ხელს, რათა

- გეამბოროთ;
- ბ) ეუბნებით, რომ ეს ნამდვილი ფრანგული სუნამოა;
- გ) სთხოვთ გამოიცნოს, რომელი სუნამოა;
- დ) ამას კომპლიმენტად არ თვლით.

### 10) „აუცილებლად უნდა სცადო კინოში გადაღება“:

- ა) მაშინვე ეკითხებით, ხომ არ ჰყავს ნაცნობები ამ სფეროში;
- ბ) გიხარიათ, რომ, როგორც იქნა, თქვენი მონაცემები ვილდკამ სათანადოდ შეაფასა;
- გ) ეს მოსაზრება სასაცილოდაც არ გყოფნით;
- დ) ეკითხებით: „რა ჟანრის ფილმში სჯობს, ვცადო ბედი?“.

## დათვალეთ, რომელი ვარიანტი სჭარბობს, თქვენს პასუხებში:

ა) საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, გიჭირთ თვითკრიტიკა, მეტი სმეტად თამამი და ხშირად, თავხედიც ბრძანდებით.

ბ) თქვენი თავდაჯერებულობა არცთუ ისე უსაფუძვლოა – ის საკუთარი ღირსებების ღრმა რწმენას ემყარება. იცით, რომ შეგიძლიათ დამოუკიდებლად მიხედოთ საქმეებს.

გ) ღიდად არ განადვლებთ სხვისი აზრი, ეს კი არცთუ ისე კარგი თვისებაა. კომპლიმენტები თქვენზე გავლენას ვერ ახდენს, ხშირად კი ღირსეულად ვერც აფასებთ საკუთარ თავს.

დ) სრულიად არ იცნობთ საკუთარ ღირსებებს. ძალიან თვითკრიტიკული ხართ, არ გყოფნით ძალა, რომ თავდაჯერებული და საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული იყოთ. ამავე დროს, თქვენ ინტელიგენტი ადამიანი ხართ, გაქვთ იუმორის გრძნობა და საკმაოდ კარგი და სწრაფი რეაქციის უნარი.

თუ პასუხებში მაქსიმალური ვარიანტების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა, ე.ი. რთული ხასიათი გქონიან და ორივე ვარიანტის პასუხები შეესაბამება თქვენს პიროვნებას.


# აბუჩად აგდება თუ გამოხვედვები?

ადამიანების მიერ ცხოველებზე ჩატარებულ გენეტიკურ ექსპერიმენტებს შეიძლება მათი აბუჩად აგდებაც ეწოდოს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა თავვის გენებთან მეღუზის გენები შეაჯვარეს და შედეგად მომწვანო ფერის ბლანტი, უბალნო და მანათობელი თავვისმაგვარი არსება მიიღეს. ახლა კი მეცნიერებს სურთ, ისინი, მსგავს ცხოველებთან გაუშვან და მათ შთამომავლებსაც დააკვირდნენ.




# შეხიზნება „მამის დღეს“ შედგება

ლეილა ალი რინგზე ჯეკი ფრეზერის წინააღმდეგ იბრძოლებს. ამ მოჩხუბარი გოგონების სახელები არაფერს გვეუბნება, მაგრამ გვარები მრავლისმთქმელია. მას შემდეგ, რაც მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის თხუთმეტრაუნდიან ბრძოლაში ფრეზერმა გაიმარჯვა, 30 წელიწადი გაივლიდა, ახლა კი ერთმანეთს მათი ქალიშვილები შეხვდებიან რინგზე. ბრძოლა 2001 წლის ივნისში – როგორც ვარაუდობენ, კონკრეტულად 15 ივნისს (ამ დღეს ამერიკაში „მამის დღეს“ აღნიშნავენ) შედგება.



# ბილ გეისის სახელი 6 ათასი დოლარი ღირსად

დედამიწის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა – ბილ გეისმა საკუთარ ქონებას კიდევ 6.000 დოლარი მიუძღვნა. ეს თანხა „მაიკროსოფტის“ მეპატრონემ სასამართლოში მოუგო ბიზნესმენ ერიკ ვინერონს, რომელმაც კარიბის ზღვის კუნძულ მარტინიკზე გახსნა რესტორანი და სასტუმრო სახელწოდებით BILL GATES. სასამართლოზე ვინერონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამ დასახელებას არაფერი ჰქონდა საერთო კომპიუტერულ მაგნატთან, რადგან BILL ნიშნავს „ბანკოტს“, ხოლო GATES – „ჭიშკარს“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ყურად არ იღო ბიზნესმენის ახსნა-განმარტებები და გეისს დაუჭირა მხარი, რომელიც ვინერონს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში სდებდა ბრალს. „უილბლო“ საქმოსანს ბილ გეისისთვის 6.000 დოლარის გადახდა და თავისი დაწესებულებებისთვის ახალი სახელის შერჩევა მოუწვეს.



# დაადემეთ მობილუხი!

ინგლისის ჩემპიონმა კოლინ ხაფტონმა ბადმინტონის ისტორიაში პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, რადგან თამაშის დროს მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ა.წ. 1 ბებერელიდან ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი წესები შემოიღო, რომლის მიხედვით მსაჯები მოთამაშეებს სამი ფერის ბარათს უჩვენებენ: ყვითელი – გაფრთხილება, წითელი – მეორე გაფრთხილება და შავი – მოედნიდან გაძევება, რაც მოთამაშის შეჯიბრებიდან გამოთიშვასაც ნიშნავს.

# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა კახა თარგამაძემ, მიხეილ სააკაშვილმა და დავით თევზაძემ. ვულოცავთ ბატონ კახას, ბატონ მიხეილს, ბატონ დავითს და ვუსურვებთ წარმატებებს!

**ტაუნი მეგობრებო, ტაუნი!**

---

(მკითხველის გვარი, სახელი)

---

---

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეაესოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (20 მარტის) 13 საათამდე.

**„ფანტაზია“**



**ტაში მგობრავაძე, ტაში!**



**„ფანტაზიორგოს“  
მკითხველი**

**ერთი გუნდი**

ახალი სახე

ზორენა  
გაგალიშვილი

თეატრისა და კინოს  
ინსტიტუტი

658/9

დიზაინერი  
ქეთა დარსაველიძე

